ბარი ჩაფიძე

პედაგოგიკის ფორმულა

36
ეროვნული ფონდი
ინტელექტუალური საკუთრება

გარი ჩაფიძე

პედაგოგიკის ფორმულა

თბილისი, 2014

ეს წიგნი პროფესორ გარი ჩაფიძის პედაგოგიური მეცნიერებათა მოგზაურობაა სასიტყვეთში. ისე კი მესიტყვეში, მწერალი მეტია, ვიდრე მეცნიერი, როცა ეს ასეა, როცა სტუდენტი ახალგაზრდობა გამოიცნობს ამას, მარადიული პრობლემა ვიკითხოთ წიგნი თუ არა... ქრება თავისთავად! იმიტომ, რომ აზრობრივად წიგნი უკვე გადაშლილია, მან გამოიწვია ორმაგი ინტერესი, ერთის მხრივ: მწერლის, მეორეს მხრივ მეცნიერის, რომელმაც ამოხსნა პედაგოგიური ფორმულა, უფრო მეტიც, თითქოს და შეერწყა მას!

რედაქტორი დარიკო ონიანი,
აკადემიკოსი

ISBN 978-9941-0-6081-6

ვიბადებით, ვიზრდებით, ვვითარდებით... ვდგებით დიდი ცხოვრების კარიბჭესთან, ვეუფლებით მეცნიერების მწვერვალებს... მოვივლით ქვეყნებს და ყოველთვის რაღაცას ვეძებთ, ეს რაღაცა კი საწყისია! საწყისი, რომელიც ჩვენი ბავშვობიდან, ჩვენი ოჯახიდან, მშობლებიდან და პედაგოგებიდან მოდის, რომელიც კულტურის განუყოფელი ნაწილია. დიახ ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების აღზრდა რთული და ხანგრძლივი პროცესია, რომელშიც მთელი საზოგადოება მონაწილეობს; თუმცა მთავარი მნიშვნელობა მაინც აღმზრდელობით დაწესებულებებს ენიჭება, რამეთუ სასწავლო პროცესი, პედაგოგიკა და კულტურა განუყოფელია, სწორედ სასწავლო–აღმზრდელობით დაწესებულებებში ცხოვრობენ მოზარდები ნამდვილი ცხოვრებით, საკუთართან ერთად განიცდიან სხვათა ზემოქმედებას, კორექტივები შეაქვთ საკუთარ მოთხოვნილებებში გემოვნებასა იდეალებსა თუ ინტერესებში, იძენენ ცოდნა–ჩვევებს და ამით გარკვეულ აღზრდას იღებენ. აღზრდის სრულყოფილება კი დიდადაა დამოკიდებული მოზარდის პიროვნების ესთეტიკურ კულტურაზე, მხატვრული ინტერესების, მოთხოვნილებების გემოვნებისა თუ სპეციალური უნარ–ჩვევების ჩამოყალიბება–განვითარებაზე.

პედაგოგიკის მეცნიერება მოსწავლეთა ესთეტიკურ აღზრდას განიხილავს, როგორც მიზანმიმართულ პროცესს, რომლის დროსაც მოზარდმა

უნდა იგრძნოს, გაიცნობიეროს, სოციალურ ურთიერთობათა სილამაზე, ბუნებისა და ხელოვნების მშვენიერების არსი, ჩამოუყალიბდეს ესთეტიკური შეფასების უნარი.. ეს მას საშუალებას მისცემს თვითონაც მიიღოს მონაწილეობა ,,სილამაზის კანონების მიხედვით“ საზოგადოებრივ ცხოვრების გარდაქმნაში.

ესთეტიკური აღზრდის მთლიან სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს თეატრს. იგი ხელს უწყობს პიროვნების მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას. მოზარდს უვითარებს გონებას, ნებისყოფას, გრძნობებს, გემოვნებას. თეატრალური ხელოვნება კულტურის კოლეჯის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა, იგი სინთეზური დარგია, ამიტომ მოზარდზე მისი ზემოქმედება კომპლექსური ხასიათისაა. თეატრალური სპექტაკლი კოლექტიური შემოქმედების ნაწარმოებია. დრამატურგიის, მუსიკის, მხატვრობის შერწყმა თეატრალურ სანახაობას ქმნის. პიესა, რომელშიც მწერლის ჩანაფიქრია განსახიერებული, დრამატული ხელოვნების ნიმუშია, მაგრამ იგი ჯერ კიდევ არ არის თეატრალური ნაწარმოები, დასრულებულ სახეს პიესას სცენური სიცოცხლე აძლევს. ამასთან სპექტაკლის ზემოქმედების ძალა დიდად არის დამოკიდებული მხატვრის კომპოზიტორის შემოქმედებით უნარსა და შესაძლებლობაზე, ჭეშმარიტად მაღალმხატვრულ სპექტაკლს მხოლოდ ამ კომპონენტთა სრული ჰარმონიის

შემთხვევაში მივიღებთ. ასეთი ჭეშმარიტი, მაღალმხატვრული სპექტაკლი კი ხელს უწყობს მოზარდი თაობის ესთეტიკურ აღზრდა–განათლებასა და სტუდენტთა პროფესიულ დაოსტატებას!

თეატრის ესთეტიკურ ზეგავლენას განაპირობებს მისი სინთეზური ხასიათი, შთაბეჭდილება, რომელსაც ახდენს თეატრი ხელოვნების სხვა დარგებთან ერთად. თეატრში ნანახი სპექტაკლი ახალგზარდებში აღვიძებს აქტიური მოქმედების სურვილს. მსახიობის ცოცხალი კონტაქტი მაყურებელთან აღძრავს აქტიურ ემოციურ დამოკიდებულებას სპექტაკლში მომხდარი ამბის მიმართ, მოზარდს სამოქმედოდ განაწყობს, რაც ნანახისა და გაგონილის ესთეტიკურ შეფასებაში ვლინდება.

დასის კონტაქტი მაყურებელთან ორმხრივი პროცესია. ერთი მხრივ, თვით სპექტაკლმა უნდა გამოიწვიოს ესთეტიკური გრძნობები მაყურებლში, გააღვიძოს მასში ინტერესი თეატრის მიმართ, მეორე მხრივ, მაყურებელს უნდა ჰქონდეს უნარი, რომ მონაწილეობა მიიღოს, ჩაებას კონკრეტულ შემოქმედებით პროცესში.

ბუნებრივია, ის ურთიერთობა, რომელიც მსხაიობსა და მაყურებელს შორის მყარდება, მაყურებლისგან ძლიერი აღქმის, წარმოსახვისა და აზროვნების უნარს მოითხოვს. იმისათვის, რომ მაყურებელმა სწორად აღიქვას სასცენო ხელოვნება, საჭიროა წინასწარი განწყობილების შექმნა

– საჭიროა გაძლიერდეს მაყურებლის წარმოსახვა, ფანტაზია და ა. შ. ყოველივე ამას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მაშინ, როდესაც საქმე ეხება მოზარდ მაყურებელს, მოზარდის ყურადღება მერყევია, წარმოსახვის უნარი სუსტად განვითარებული. სპექტაკლის აღქმისას სწორედ ამას უნდა გაეწიოს ანგარიში.

სპექტაკლის ემოციურ ძალას ისიც აძლიერებს, რომ მისი აღქმა მასობრივი ხასიათისაა. სპექტაკლის მიმდინარეობის დროს აუდიტორიის საერთო განწყობილება თავისებურად გადადის ცალკეულ მაყურებელზე. გარკვეულ გრძნობებს იწვევს მასში. ეს საერთო განწყობილება გავლენას ახდენს სცენაზე მიმდინარე მოქმედებაზეც, რაც, თავის მხრივ, დადებითად ან პირიქით უარყოფითად მოქმედებს მსახიობზე.

„ხალხის ფართო მასების ესთეტიკური აღზრდის საქმეში თეატრი ყველაზე ძლიერი საშუალებაა“, მაგრამ როდი შეუძლია ამ თეატრს მექანიკურად, თავისთავად საპატიო მისიის შესრულება, როგორც უკვე ითქვა, ეს შესაძლებელია მხოლოდ მიზანმიმართული პედაგოგიური მუშაობის პროცესში, როცა კარგად არის გათვალისწინებული თეატრალური ხელოვნებისადმი მოსწავლეთა ინტერესის ცვალებადობის ასაკობრივი დინამიკა, შინაარსობრივი განსაზღვრულობანი და, რაც მთავარია, კონკრეტული პედაგოგიური პროცესის აგების ოპტიმალური მეთოდური საზღვრები.

მრავალწლიანმა ექსპერიმენტულმა მუშაობამ დაგვარწმუნა, რომ სხვადასხვა ასაკის მოსწავლეთა კოლეჯის სტუდენტთა ემოციურ–შეფასებითი დამოკიდებულების გამოწვევა, მისი სასურველი მიმართულებით ფორმირება და თეატრალური ხელოვნების პროფესიის არჩევა მხოლოდ მაღალი იდეურ–მხატურული დონის სპექტაკლს შეუძლია.

თეატრალური ხელოვნების აღმზრდელობითი მიზნისათვის გამოყენება განსაკუთრებით ეფექტურია იმ შემთხვევაში, როცა მოზარდებისათვის განკუთვნილი სპექტაკლი აგებულია მათი ასაკის გათვალისწინებით, როცა, კარგად ვიცით, რისი ათვისება და გათავისება შეუძლია მოზარდს მოცემულ კონკრეტულ ასაკობრივ საფეხურზე.

კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ სპექტაკლის იდეური შინაარსისა და მხატვრული ფორმისადმი დამოკიდებულება მოსწავლის ასაკობრივი განვითარების ეტაპების მიხედვით განსხვავებულია. უმეტეს შემთხვევაში მოზარდი მაყურებელი ღრმად განიცდის პიესას, მაგალითად, უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვს იმდენად სჯერა ის, რაც სცენაზე ხდება, რომ მის მონაწილედაც კი გრძნობს თავს, იგი ხმამაღლა აფრთხილებს თავის საყვარელ გმირს, რათა საშიშროებისაგან დაიცვას, მოზარდები სულგანაბული სხედან, როდესაც გმირისათვის კრიტიკული მომენტი დგება, როგორც კი საშიშროება გაივლის და გმირი

იმარჯვებს, სრული სიწყნარე მხიარული ყიჟინით და ტაშისცემით იცვლება.

ვისაც საშუალება ჰქონია დაჰკვირვებოდა საბავშვო სპექტაკლის შემდეგ შინ მიმავალ პატარებს, მისთვის ნათელია, რაოდენ გამოცოცხლებას, სიხალისესა და მხიარულებას იწვევს მათში ნანახი სპექტაკლი, ბავშვები გამოთქვამენ თავიანთ შეხედულებას როგორც დადებითი, ისე უარყოფით გმირებზე, უჩნდებათ აზრის გაზიარების სურვილი. მათთან საუბრისას ნათელი ხდება თეატრალური ხელოვნების ზემოქმედების თავისებურებაც და ისიც, რომ შეიძლება ბავშვებმა სწორად ვერ გაიგონ ნანახი ან დაიბნენ მის შეფასებაში, ამიტომ საჭიროა მოზარდებს ვასწავლოთ სპექტაკლის სწორი შეფასება. ამით სტუდენტებს დახმარებას გავუწევთ სინამდვილის შეცნობაში და მომავალი პროფესიის არჩევაში რამეთუ, მაყურებელიც და მსახიობიც სპექტაკლის შემქმნელები არიან, მაყურებელს, ისევე როგორც შემსრულებელს, სჭირდება მომზადება, რათა სპექტაკლი აღიქვას და მის ძირითად აზრს ჩასწვდეს.

თუ მოზრდილ მაყურებელს სჭირდება სპექტაკლისათვის მომზადება, ეს მით უფრო აუცილებელია მოზარდებისათვის, მათ აუცილებლად ესაჭიროებათ პედაგოგის დახმარება, რამეთუ სპექტაკლის ნახვის შემდეგ მცდარი დასკვნები არ გამოიტანონ. ამიტომ არის აუცილებელი, რომ თეატრალურ წარმოდგენაზე დასწრების ორგანი-

ზაციამ გარკვეული ადგილი დაიჭიროს საგანმანათლებლო სისტემის სააღმზრდელო მუშაობაში.

თეატრალურ შთაბეჭდილებებს გამოუცდელი და მოუმზადებელი მაყურებელი ხშირად მცდარ დასკვნამდე მიჰყავს. არასწორი შეფასება მტკიცედ იკიდებს ფეხს მოზარდის გონებაში და შემდეგ მისი შეცვლა რთულდება. ამიტომაა აუცილებელი მოზარდი მაყურებლის მომზადება სპექტაკლის აღსაქმელად. რაც, ცხადია, სწავლების ადრეული საფეხურებიდანვე უნდა იწყებოდეს.

გამოკვლევები ადასტურებს, რომ უმცროსკლასელებს უჭირთ ნანახისა და განცდილის მართებულად გაგება, მათთვის რთულია გაერკვნენ სცენაზე შექმნილ სიტუაციაში. ეს იმიტომ ხდება, რომ ბავშვისათვის უჩვეულოა სპექტაკლის თავისებური გაფორმება, სასცენო მოქმედება, თეატრალური ხელოვნების მართებულად ათვისებისათვის საჭირო პედაგოგის რჩევა და საღმზრდელო მუშაობის წარმართვა. თეატრალური ხელოვნების მართებულად ათვისებისათვის საჭიროა ვიზრუნოთ, რომ მოზარდს ესთეტიკური აღქმის უნარი ჩამოუყალიბდეს.

როგორ უნდა წარიმართოს მუშაობა ამ მიზნის მისაღწევად: უპირველეს ყოვლისა, ცხადია, საჭიროა შეირჩეს შესაფერისი დონისა და ხასიათის მასალა. ამ თვალსაზრისით მეტად მომგებიანი და მნიშვნელოვანია სასკოლო ცხოვრების ამსახველი პიესებისა და იდეურად გამართული ზღაპ-

რების ინსცენირება–ჩვენება. ერთიც და მეორეც ბავშვისათვის ნაცნობი, ახლობელი სამყაროა და მეტი დაინტერესების საგანიც არის. გარემოება, ცხადია, გათვალისწინებულია საბავშვო თეატრის მუშაობაში, უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვები ძირითადად თოჯინების თეატრში დაჰყავთ. ეს ბუნებრივია.

თოჯინების თეატრის განვითარების პირველ ეტაპზე მისი დრამატურგია ხელის თოჯინის შესაძლებლობათა გამოყენებას ემყარებოდა. პერსონაჟის როგორც სიტყვიერი, ისე ფიზიკური მოქმედება დამოკიდებული იყო იმ პირობითობაზე, რაც ხელის თოჯინას ახასიათებდა. ასეთი თოჯინა შეიძლებოდა ყოფილიყო სასაცილო გარეგნობითა და ჟესტიკულაციით, თოჯინები განსხვავდებიან მოწყობილობითაც, პიესებს, რომელთა მთავარი მოქმედი გმირები ცხოველები არიან, იგავის ხასიათი აქვთ ვინაიდან მათში წინა პლანზე მორალის თემაა წამოწეული. ამიტომ თოჯინებიც ასეთი ხასიათის მკაფიოდ გადმოცემასთანაა მისადაგებული. საერთოდ კი ბავშვებისათვის იწერება შინაარსიანი ადვილად ასათვისებელი მხატვრული პიესები, სადაც ნათელი აზრი შეუნიღბავადაა მოცემული. ამავე დროს სპექტაკლში გამოყენებული მასალა საინტერესო და გასაგები უნდა იყოს მათთვის. წინააღმდეგ შემთხვევაში სპექტაკლი დაკარგავს აღმზრდელობით მნიშვნელობას. სწორედ ამიტომ არის მიზანშეწონილი

ზღაპრული სიუჟეტების გამოყენება. ზღაპრული ფანტაზია ბავშვის ცხოვრებას თავისებურს ხდის. როცა პიესის ავტორის ფანტაზია ფრთებს შლის, მაშინ იგი ბავშვსაც საშუალებას აძლევს აჰყვეს მას, მთელ ქვეყანას შემოუაროს, მეორე მხრივ, ეს პოეტურად განაწყობს ნორჩ მაყურებელს. ზღაპრების უმრავლესობა აშიშვლებს ბოროტებას, გამოხატავს ხალხის მაღალ მისწრაფებას, ამიტომ ზღაპარი საუკეთესო მასალაა ბავშვის სულიერი ზრდისა და ჯანსაღი ფანტაზიის განვითარებისათვის.

ასეა ჩვენი კოლეჯის კულტურის ცენტრშიც, სადაც არაჩვეულებრივ თოჯინების სპექტაკლებს უჩვენებენ მომავალ თაობას!

ბავშვი ყოველდღიურ ცხოვრებაში გამუდმებით რაღაც სიახლეს აწყდება. მისთვის ბევრი რამ ჯერ კიდევ შეუცნობელია და უჭირს სინამდვილეს ჩასწვდეს. პედაგოგიური ზემოქმედების შედეგად მოსწავლე ახერხებს ამოიცნოს მთავარი აზრი, მიაგნოს სპექტაკლის დამახასიათებელ ნიშნებს. ზღაპრის საშუალებით უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვი სამყაროს უფრო ფართოდ წარმოიდგენს და სპექტაკლის შინაარსაც ბუნებრივად აღიქვამს. დროის ხანგრძლივობა და სიმცირე მასზე არ მოქმედებს, ვინაიდან პატარებს არა აქვთ დროისა და მანძილის ზუსტი აღქმის უნარი. ამიტომაცაა, რომ ბავშვები შესანიშნავად ეგუებიან ზღაპრულ სიტუაციას.

მოზარდობის ხანაში თეატრალური ხელოვნებისადმი დამოკიდებულებაში გამოხატულებას პოულობს ასაკის საერთო ტენდენციები, ეს ასაკი თავისთავად იყოფა ორ ნაწილად: უმცროსი მოზარდობის ასაკი IV-VI და უფროსი მოზარდობის ასაკი – VII-VIII კლასები.IV-VI კლასების მოსწავლეებს ძირითადად იტაცებთ ის, რაც სცენაზე ხდება, მაგრამ არ აინტერესებთ არც ჟანრი, არც სტილი, არც შემსრულებლისა და რეჟისორის ხელოვნება. მათი დაინტერესების მიზნით საჭიროა შეირჩეს საგმირო პერიოდული ხასიათის ნაწარმოებები, ვინაიდან ამ დროს მათ სხვაზე მეტად საგმირო სათავგადასავლო ნაწარმოებები იტაცებთ.

თავისთავად ცხადია, ნებისმიერ მოზარდს ის სპექტაკლი უფრო დააინტერესებს, რომელშიც ნაცნობ ცხოვრებისეულ კონფლიქტებს თუ მისწრაფებებს ნახავს. ასეთი სპექტაკლის სცენური სიცოცხლე მოზარდისათვის საკუთარი ქცევის სამომავლო ორიენტირად იქცევა. იგი მიეჩვევა ცხოვრებისეულ საკითხებზე პასუხის გაცემას და მიზნის მისაღწევად ღირსეული საშუალებების ძიებას.

კულტურისა და ხელოვნების კოლეჯის სტუდენტთათვის თეატრალური ნიუანსები ყოველდღიური ცხოვრებაა, ამიტომაცაა საჭირო ახალგაზრდას, მოზარდს ვასწავლოთ თეატრალური ხელოვნების სპეციფიკა, სასცენო გარდასახვის

თავისებურებანი, თეატრალური სანახაობის ესთეტიკური ღირებულებები თუ გნებავთ, თვით თეატრის ისტორია და თეორია. ამის მოგვარება კი უმთავრესად აღმზრდელი მასწავლებლის საქმეა. საჭიროა პედაგოგის გამოცდილი თვალი, ფაქიზი გემოვნება, ღრმა ერუდიცია, რათა თეატრთან მოსწავლის დაახლოების პროცესი სწორად წარმართოს. ეს გულისხმობს სპექტაკლზე დასასწრებლად მოზარდის წინასწარ მომზადებას, პიესის უშუალო აღქმას და შემდეგ ნანახის ღრმა ემოციურ–ესთეტიკურ ანალიზს.

ერთ–ერთი მთავარი, უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, უმთავრესი ფაქტორი, სპექტაკლის მაღალმხატვრულობასთან ერთად მაყურებლის ცნობიერებაა, ეს საკითხიც პედაგოგიკასთან მიმართებაში უნდა განვიხილოთ, რამეთუ პედაგოგმა იმგვარად უნდა წარმართოს მუშაობა, რომ აღსაზრდელებს გაუჩნდეს ხელოვნებასთან ურთიერთობის, მასზე მსჯელობის, მისი ეთიკური შეფასების სურვილი, მხოლოდ ამგვარად გაჩნდება პედაგოგიური ხელოვნება, რომლის მომდევნო ნაწილიც იქნება პედაგოგიკა და კულტურა, ამისათვის კი აუცილებელია ზედმიწევნით ვიცოდეთ ძველი ქართული კულტურის კერების არსებობის შესახებ, რამეთუ ქართული ლიტერატურა ერთ–ერთი უძველესი ლიტერატურაა. იგი ჩვენს ერამდე რამდენიმე საუკუნით ადრე აღმოცენდა. მასალის მოუღწევლობის გამო ძნელია მსჯელობა წარმარ-

თობის ხანის ქართულ ლიტერატურაზე, მაგრამ ჩვენ ეროვნული ლიტერატურის განვითარების ზოგადი ხაზების გათვალისწინებით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მან გამოიყენა ადგილობრივი შესაძლებლობანი და უცხოეთთან კულტურული ურთიერთობით გაიმდიდრა თავისი საგანძური.

ბიზანტიელი რიტორიკოსი და ფილოსოფოსის თემისტის (IV ს.) ცნობით, დასავლეთ საქართველოში, ფოთის ახლოს, არსებობდა კოლხეთის (ფაზისის) აკადემია – ფილოსოფიურ–რიტორიკული განათლების ცენტრი – სადაც, საფიქრებელია, სწავლობდნენ და შემოქმედებით მუშაობას ეწეოდნენ როგორც საზღვარგარეთიდან მოვლინებული ახალგაზრდები, ისე ადგილობრივი მკვიდრნიც. სამწუხაროდ, იქაურ ქართველთა კულტურულ–ლიტერატურულ მემკვიდრეობას არ მოუღწევია, რის გამოც ამ აკადემიაში ქართველთა მწიგნობრულ–საგანმანათლებლო მუშაობაზე არაფერი ვიცით. ასე რომ, ხელშესახები მასალა ამ პერიოდიდან არ გაგვაჩნია. იგი მხოლოდ V საუკუნიდან გვაქვს; საყოველთაოდ ცნობილია, რომ ჩვენამდე მოღწეული პირველი ქართული ორიგინალური თხზულება – გამოჩენილი მწერლისა და მოაზროვნის, მხატვრული სიტყვის აღიარებული დიდოსტატის იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამება“ V საუკუნის სამოცდაათიან წლებში უნდა იყოს დაწერილი. ამიტომაც ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიას, ისე რო-

გორც ძველი ქართული წერილობითი კულტურის კერების ისტორიას (მოღწეული მასალის მიხედვით) V საუკუნიდან ვიწყებთ, მათ განვითარებას მხოლოდ V-XVIII საუკუნეებში შეიძლება გავადევნოთ თვალი.

ქართული კულტურა ინტენსიურად ვითარდებოდა როგორც საკუთრივ საქართველოში, ისე საზღვარგარეთ. ქართველმა მოღვაწეებმა ნაყოფიერი კულტურულ–აღმშენებლობითი და ლიტერატურულ–საგანმანათლებლო საქმიანობა გააჩაღეს სამშობლოში, სირია–პალესტინაში, ბიზანტიაში, რუსეთში ქართველთა სამოღვაწეო პუნქტებში – ჩვენში თუ უცხოეთში – გაშლილი იყო მრავალმხრივი მუშაობა. იქმნებოდა ხუროთმოძღვრებისა და ფერწერის დიდებული ნიმუშები, ჩქეფდა ლიტერატურული ცხოვრება იწერებოდა ორიგინალური თხზულებანი, ითარგმნებოდა უცხოური ძეგლები, მრავლდებოდა ხელნაწერები, დგებოდა სხვადასხვა ხასიათისა და შინაარსის კრებულები, მდიდრდებოდა ეროვნული კულტურა.

რადგან ძველი ქართული კულტურის ნაკრებს შორის როგორც საქართველოს ცალკეულ მხარეებში (აღმოსავლეთში, სამხრეთში, დასავლეთში) ისე მის ფარგლებს გარეთ (ახლო აღმოსავლეთში, დასავლეთში, რუსეთში), გარდა ტერიტორიული სიახლოვით გამოწვეული კავშირებისა, შეინიშნებოდა მჭიდრო შემოქმედებითი ურთიერთობა და აქტიური თანაშმრომლობა, ამიტომ მა-

სალას მიმოვიხილავთ ტერიტორიულ–გეოგრაფიული პრინციპით – სათანადო ქრონოლოგიური რიგის დაცვით. ეს უკეთ წარმოაჩენს ამა თუ იმ მხარის როლს ქართული კულტურის განვითარების ისტორიაში.

განუსაზღვრელია ის წვლილი, რომელიც საზღვარგარეთის ქართულმა სავანეებმა შეიტანეს ჩვენი კულტურის ისტორიაში, მაგრამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა მაინც საკუთრივ საქართველოს ტერიტორიაზე – ჩვენს მიწა–წყალზე არსებულმა კერებმა მოიპოვეს. არსებითად და ძირითადად მათ განსაზღვრეს ქართული კულტურის განვითარების გეზი და მიმართულება. საქართველოს ეკუთვნის პრიორიტეტი ქრონოლოგიური თვალსაზრისითაც.

ამიტომაც საუბარს საქართველოს – პირველ ყოვლისა – აღმოსავლეთ საქართველოს კულტურის კერების მიმოხილვით დავიწყებთ.

საუკუნეთა მანძილზე აღმოსავლეთ საქართველოს მთელი ტერიტორია ქართული მწერლობის კერებით იყო დაფარული. მწერლობა ვითარდებოდა როგორც დიდ, ისე მცირე ქალაქებში, ზოგჯერ სოფლებშიც კი.

ძველი ქართული მწერლობის კერებად იქცნენ სატახტო ქალაქები (თბილისი, გრემი, თელავი). რეზიდენციები ბატონიშვილებისა (მუხრანი, ბელოთი) და დიდებულებისა (ცურტავი, მძოვრეთი,

ტანძია, ახალგორი, დუშეთი და სხვა), ერთიმეორის მიყოლებით აღმოცენდნენ მწერლობის კერები საციცინოში (მძოვრეთი), სამუხრანბატონოში (მუხრანი), საყაფლანიშვილოში (ტანძია) ქსნის საერისთავოში (ახალგორი, ბელოთი), არაგვის საერისთავოში (დუშეთი, გრემიხევი) და ა. შ.

ცალკე უნდა აღინიშნოს ის მრავალმხრივი კულტურულ–საგანმანათლებლო საქმიანობა, რომელიც გაშლილი იყო ძვ. კათედრალებსა (სვეტიცხოველი, ბოლნისი, რუისი, ურბნისი, წილკანი, სამთავისი, ნაკრესი, ალავერდი, ნინოწმინდა, ბოდბე) და მონასტრებში (შიომღვიმე, ლარგვისი, იკორთა, კაბენი, ქვათახევი, ფიტარეთი, ზედაზენი, გარეჯა, იყალთო).

ზემოთქმული. რასაკვირველია, არ ნიშნავს, რომ მხოლოდ ამ პუნქტებში ჩქეფდა კულტურულ–შემოქმედებითი მუშაობა. ცნობილია, რომ ხელნაწერებს ამრავლებდნენ, ახალ ნუსხებს ამზადებდნენ მეჯვრისხევში, ვეჯინში, ხირსაში, ახმეტაში, სიღნაღში, სართიჭალაში და სხვ. ზოგიერთი პუნქტი მცირე კერაც კი იყო (მაგალითად ქვიშხეთი).

აღმოსავლეთ საქართველოში ადრეული ხანიდანვე დიდ წარმატებას მიაღწია ქართულმა მწერლობამ, არსებითად აქედან დაიწყო ქართული მწერლობის მრავალსაუკუნოვანი ისტორია, აქ დაირწა აკვანი ქართული კულტურისა, აქ შეიქმნა დიდი ნაწილი ქართული მწერლობის შედევრებისა.

აღმოსავლეთ საქართველოში ადრევე აღმოცენდა და სწრაფი ტემპით განვითარდა საეკლესიო–სასულიერო მწერლობა. აქაურ სავანეებში ენერგიულად მოღვაწეობდნენ გამოჩენილი მწიგნობრები – მწერლები, მთარგმნელები, კალიგრაფები, რომელთაც არაერთი თხზულებით გაამდიდრეს მშობელი ხალხის სულიერი საუნჯე.

აღმოსავლეთ საქართველოშივე აღმოცენდა და განვითარდა საერო ლიტერატურა. ნაყოფიერად იღვწოდნენ ცნობილი ქართველი საერო მწერლები, რომლებიც გულმოდგინედ თხზავდნენ თუ თარგმნიდნენ და ახალ–ახალ ძეგლებს მატებდნენ ეროვნულ საგანძურს (აქაურ მწიგნობართა დასახელება შორს წაგვიყვანს).

აღმოსავლეთ საქართველოში შექმნილი საერო ლიტერატურის ძეგლების სიმრავლე და მაღალი ღირსება უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ არსებითად აღმოსავლეთ საქართველოში ჩამოყალიბდა ქართული საერო ლიტერატურის ოქროს ფონდი, აქ შეიქმნა ის დიდი ეროვნული საუნჯე, რომელიც კანონიერი სიამაყის გრძნობით აღავსებს თითოეულ ჩვენგანს და ნათლად წარმოაჩენს იმ წვლილს, რაც ქართველობას შეუტანია ზოგადსაკაცობრიო კულტურის საგანძურში.

ბუნებრივად იბადება კითხვა, რამ განაპირობა ძველი ქართული მწერლობის ისე მძლავრად განვითარება აღმოსავლეთ საქართველოში, რამ უზრუნველყო მისი ზრდა და წინსვლა გაუთავებელი

ომების ხანაში, რამ შეუწყო ხელი აქაური კერების დაწინაურებას?

უცილობელია, აღმოსავლეთ საქართველოში მწერლობის ასეთ განვითარებასა და კულტურულ–საგანმანათლებლო კერების მომრავლება–გაძლიერებას დიდად შეუწყო ხელი ქვეყნის პოლიტიკურმა და სოციალ–ეკონომიკურმა ვითარებამ. მართალია, V-X საუკუნეებსა და გვიან ხანაშიც აღმოსავლეთი საქართველო დაყოფილი იყო პოლიტიკურ–ადმინისტრაციულ ერთეულებად. მაგრამ საქართველოს სხვა სამეფო–სამთავროებთან შედარებით აქ მაინც მეტად შეიგრძნობოდა ცენტრალური ხელისუფლების ძალა, საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით აღმოსავლეთ საქართველო ძლიერი იყო პოლიტიკურად და ღონიერი ეკონომიკურად.

მწერლობის განვითარებას შესამჩნევად შეუწყო ხელი კულტურულმა გარემოცვამ, ლიტერატურული ცხოვრების ინტენსიურმა მაჯისცემამ, განათლების დონის თანდათანობითმა ამაღლებამ, სწავლულთა რიცხვის შეუჩერებელმა ზრდამ, ქართველთა ეროვნულ–პოლიტიკურმა გათვითცნობიერებამ. გარკვეული როლი შეასრულა აგრეთვე, ქართველთა ურთიერთობამ სხვა ხალხებთან. უცხო ლიტერატურულ სამყაროსთან ქართველ მწიგნობართა მიერ ბერძნულ, სომხური, სირიული, კოპტური, არაბული, სპარსული, რუსული და სხვა ენებიდან თარგმნილი წიგნე-

ბით ყოველდღიურად მდიდრდებოდა ქართული მწერლობა. აღსანიშნავია, რომ ქართველ მოღვაწეებს მჭიდრო უშუალო კავშირ–ურთიერთობა ჰქონდათ მეზობელი ხალხების კულტურულ–ლიტერატურულ კერებთან, მეცნიერული აზროვნების ცენტრებთან. ჩვენი მწიგნობრები უშუალოდ ადგილზე – იერუსალიმში, კონსტანტინოპოლში, მოსკოვში, პეტერბურგში და სხვაგან ეცნობოდნენ და ეწაფებოდნენ უცხოეთის სულიერ კულტურას, ხოლო შემდეგ ეროვნულ ნიადაგზე გადმოჰქონდათ უცხოური ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშები. ქართული მწერლობის გამდიდრებასა და განვითარებაზე უთუოდ გავლენა ჰქონდა უცხოელი მწერლების – ნიზამი განჯელის, ხაყანის, იოანე ერზინკაელის, იონათანის, ვივადის, ვაგიფისა და სხვათა ყოფნას ჩვენში.

აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კერების გაძლიერებასა და დაწინაურებას საგრძნობლად შეუწყო ხელი აქაურ მოღვაწეთა ცხოველმა ურთიერთკავშირმა როგორც ადგილობრივ, ისე უცხოეთის სამეცნიერო–ლიტერატურულ წრეებთან.

VIII-IX საუკუნეებიდან სამხრეთი საქართველო, განსაკუთრებით ტაო–კლარჯეთი, ქართული კულტურის მძლავრ კერად იქცა. ამ მხარის პოლიტიკურ გაძლიერებასა და კულტურულ დაწინაურებას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ აღმოსავლეთი საქართველო არაბთა გავლენის

სფეროში იმყოფებოდა და ქართული სახელმწიფოებრიობის ცენტრმა, ტაო–კლარჯეთში გადაინაცვლა.

ადრეული ხანიდან მოყოლებული გვიან ხანამდე (XVI ს.) სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე ქართული კულტურის მრავალი კერა არსებობდა. მწიგნობრულ–ლიტერატურული საქმიანობა გაჩაღებული იყო ჯაყელთა და თმოგველთა სასახლეებში, ქალაქებში, ციხეებსა და ციხე– ქალაქებში (კალმახი, აწყური, ახალციხე, თმოგვი, ვარძია) მონასტრებში (ოპიზა, ხანძთა, შატბერდი, პარეხი, ბერთა, მიძნაძორი, წყაროსთავი, ოშკი, ხახული, პარხალი, საფარა, ზარზმა, ვარძია, ვანის ქვაბები) და კათედრალებში (ანჩი, იშხანი, ბანა, ტბეთი, აწყური, კუმრდო).

დასახლებულ კერებში ძალზე განვითარდა ქართული ლიტერატურა, კერძოდ, სასულიერო–საეკლესიო მწერლობა უპირატესად ჰაგიოგრაფია და ჰიმნოგრაფია; ლიტერატურულ ასპარეზზე გამოვიდნენ მხატვრული სიტყვის შესანიშნავი ოსტატები (გრიგოლ ხანძთელი, არსენ საფარელი, სტეფანმე მტბევარი და სხვა) ნიჭიერი მთარგმნელები (გრიგოლ ოშკელი, დავით ტბელი და სხვ) დახელოვნებული კალიგრაფები (გრიგოლ ოპიზელი, გაბრიელ შატბერლდელი, იოანე ბერა, იოანე ჩირა, სტეფანე ოშკელი და სხვ) დაიწერა და ითარგმნა ბევრი პირველხარისხოვანი ძეგლი, დამზადდა ფასდაუდებელი კრებულები.

ერთობ ძნელია მსჯელობა სამხრეთ საქართველოში საერო ლიტერატურის განვითარებაზე, რადგან სათანადო მასალა თითქმის არ მოგვეპოვება. შეიძლება დავასახელოთ მხოლოდ ორიოდე კერა, სადაც ელემენტების სახით თავს იჩენს საერო ლიტერატურა, თმოგვი, სადაც სარგის პირველი (XII-XIII სს.) და სარგის მეორე (XIIIს) მოღვაწეობდნენ (თუ ის ძეგლები, რომელთაც ამ პირთა სახელებით ვიცნობთ, ნამდვილად თმოგვშია დაწერილი და არა თბილისში ან კიდევ სხვაგან) და ვანის ქვაბთა მონასტერი, სადაც, შეძლებისდაგვარად, გამოვლინდა მონაზონ ქალთა პოეტური ნიჭი.

ჩვენამდე მოღწეული ლიტერატურული მემკვიდრეობა საფიქრებელს ხდის, რომ კულტურულ–საგანმანათლებლო საქმიანობა დასავლეთ საქართველოში IX-X საუკუნეებში უკვე გაჩაღებული ყოფილა. ასეთი ვარაუდის საფუძველს იძლევა, ერთი მხრივ, IX საუკუნის უცნობი ავტორის ჰაგიოგრაფიული თხზულება „ცხოვრება და წამებაი წმიდისა მოწამისა კონსტანტინე ქართველისაი“, ხოლო მეორე მხრივ ის მწიგნობრულ–შემოქმედებითი მუშაობა, რომელიც გაშლილი იყო ბაგრატ მესამის (975–1014) კარზე. მართალია, IX-X საუკუნეები, რამდენადმე, გვიანი ხანაა (ეს გარემოება კიდევ უფრო მკვეთრად იჩენს თავს, თუ მოვიგონებთ როდის გაიშალა ლიტერატურული საქმიანობა საქართველოს აღმოსავლეთსა და

სამხრეთ მხარეებში), მაგრამ როგორც ცნობილია, დასავლეთი საქართველო ზოგად ქართულ სახელმწიფოებრივ–პოლიტიკურსა და კულტურულ მშენებლობაში, გარკვეული მიზეზების გამო, ამ დრომდე აქტიურ მონაწილეობას ვერ იღებდა.

მას შემდეგ, რაც ქუთაისი იქცა დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ–ადმინისტრაციული და ეკონომიკური ცხოვრების ცენტრად, იქ ფართოდ გაიშალა მწიგნობრულ საგანმანათლებლო მუშაობა, გამოცოცხლდა და აყვავდა ლიტერატურული ცხოვრება. კულტურულ–შემოქმედებითი საქმიანობის ტალღა თითქმის მთელ დასავლეთ საქართველოს გადაწვდა. მუშაობა გაიშალა მეფე–მთავართა სასახლეებში (ქუთაისში, ზუგდიდში, ოზურგეთში), მონასტრებში (გელათში, ჯრუჭში, მარტვილში, წალენჯიხაში, ხობში...) კათედრალურ ტაძრებში (გელათში, მოქვში, ცაიშში, ბედიაში, შემოქმედში, ცაგერში...) მდიდარი წიგნსაცავები შეიქმნა, აგრეთვე კაცხის, ვანის, უდაბნოს ლაბეჭინის, ნიკორწმინდის, საირმის, ნამარნევისა და სხვა ეკლესია–მონასტრებში.

დასავლეთ საქართველოს მწერლობის კერებში ნაყოფიერად მოღვაწეობდნენ ადგილობრივი კადრები (სტეფანე სანონისძე, იაკობ დუმბაძე, პეტრე ჩხატარაისძე, ანტონ ცაგარელ–ჭყონდიდელი, გიორგი ბაგრატიონი, დადიანები და სხვანი), აგრეთვე, აღმოსავლეთ საქართველოდან გადასული მწერლები (თეიმურაზ პირველი, ფეშანგი, არ-

ჩილი, ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი, ანტონ პირველი, ზაქარია გაბაშვილი, ბესიკი, ელიზბარ ერისთავი, ალექსანდრე ამილახვარი, იოანე ქართველიშვილი, სოლომონ ლიონიძე და სხვანი) უცხოეთიდან დაბრუნებული ქართველი მეცნიერები (არსენა იყალთოელი, იოანე პეტრიწი).

დასავლეთ საქართველოში გარკვეულ წარმატებას მიაღწია როგორც სასულიერო–საეკლესიო მწერლობამ, ისე საერო ლიტერატურამ, შეიქმნა მრავალი ორიგინალური მხატვრული ძეგლი, ითარგმნა საყურადღებო ფილოსოფიურ–თეოლოგიური თუ სხვათა თხზულებანი, შედგა სხვადასხვა შინაარსის კრებულები, დამზადდა ძვირფასი ხელნაწერი წიგნები.

ქართული კულტურის, კერძოდ, ლიტერატურის ისტორიაში განსაკუთრებული როლი შეასრულეს საზღვარგარეთ არსებულმა კერებმა, სადაც საუკუნეების მანძილზე ვითარდებოდა ლიტერატურული აზროვნება და იქმნებოდა ორიგინალური თხზულებანი, ითარგმნებოდა ძეგლები და მზადდებოდა ხელნაწერები, ფართოვდებოდა ქართველთა გონებრივი ჰორიზონტი.

აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის სიტყვით რომ ვთქვათ, „საზღვარგარეთ მყოფი ქართველთა სავანეების კულტურული მნიშვნელობა ფრიად დიდი იყო. იმ დიდი კულტურული მემკვიდრეობის გარდა, რომელიც საქართველოს წარსული საუკუნეების განმავლობაში დაუნჯებული ჰქონ-

და, უცხოეთში მყოფი მონასტრების წყალობით საქართველოს შეეძლო მაშინდელი განათლებული ქვეყნების კულტურული განვითარების ყოველი წარმატებისთვისაც თვალყური ედევნებინა. ყველაფერი რაც კი იქ ახალი და მნიშვნელოვანი იწერებოდა ანდა კეთდებოდა, უცხოეთში დაარსებულს ქართველთა სავანეებში მომუშავე ქართველი მოღვაწეების, მწერლების, მეცნიერებისა და ხელოვანთა წყალობით საქართველოსაც საშუალება ჰქონდა სცოდნოდა საუკეთესო თხზულებანი ან ითარგმნებოდა ანდა გადმოქართულებული იყო ხოლმე“.

ამ სიტყვებში ისე ამომწურავადაა დახასიათებული და წარმოჩენილი ქართული საზღვარგარეთული კერების მნიშვნელობა და როლი ქართული ეროვნული კულტურის განვითარებაში, რომ ძნელია რამე დავუმატოთ. მართლაც, ამ კერების მეშვოებით ქართველობა თვალს ადევნებდა იმდროინდელი მწიგნობრული წრეების საქმიანობას, ეცნობოდა მათ წარმატებას, ითვისებდა და თარგმნიდა ყოველივე კარგსა და საყურადღებოს, ქმნიდა წინაპირობას ეროვნული ლიტერატურის შემდგომი ზრდა–განვითარებისათვის.

ქართველებს ადრეული ხანიდანვე ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდათ ახლო აღმოსავლეთთან, ეგვიპტის, პალესტინისა და სირიის ბევრი უდაბნო ქართველ მოღვაწეთა საიმედო თავშესაფრად

იქცა. ჩვენმა წინაპრებმა უკვე IV-V საუკუნეებში მიაშურეს ამ ქვეყნების სავანეებს.

ეგვიპტეში უკვე IV საუკუნეში მოღვაწეობდა ცნობილი ქართველი მოაზროვნე ევაგრე პონტოელი, ხოლო V საუკუნეში იქაურ უდაბნოში ქართული ბაზილიკაც აშენდა. ამ ეკლესიის ნანგრევები 30 წლის წინ გამოვლინდა (თებეს ნევროპოლში) და ძველი წერილობითი წყაროების ჩვენება მატერიალური კულტურის ძეგლითაც დადასტურდა.

კიდევ უფრო მრავლად ჩანან ქართველები პალესტინაში (იერუსალიმსა და მის ახლო არსებულ სავანეებში), სინის მთაზე, შავ მთაზე (სირიაში).

ქართველთა ლტოლვა ახლო აღმოსავლეთისაკენ განაპირობა ქართული ეკლესიის აღმოსავლურმა (იერუსალიმურმა) წარმომავლობამ, ქართველთა ინტერესმა ქრისტიანობის კერისადმი, ბიბლიური ადგილებისადმი, ქართველ მოღვაწეთა მისტიკურ–ასკეტურმა მიდრეკილებამ და სწრაფვამ ბერმონაზვნური ცხოვრებისაკენ, განსაკუთრებით კი – ქართველთა დაინტერესებამ ქრისტიანული მწერლობით და ამ მწერლობის ცენტრებით.

საუკუნეთა მანძილზე ახლო აღმოსავლეთში ქრისტიანული მწერლობის უმთავრესი ცენტრი და გამოჩენილ მწიგნობართა სამოღვაწეო ასპარეზი იყო. იერუსალიმი, საბაწმინდა, პალავრა, სინა, ანტიოქია, შავი მთა – ამ მწერლობის სახელგანთქმული კერებია. ქართველი მოღვაწენი, – იჩენდ-

ნენ რა დიდ ინტერესს ქრისტიანულ მწერლობისადმი, – განსაკუთრებით ეტანებოდნენ ამ მწერლობის ცენტრებს. მათ ჯერ სხვათა სადგომებს მიაშურეს, ხოლო შემდეგ ქართული კოლონიები დააარსეს. საკუთარი სავანეები შექმნეს და კულტურულ–ლიტერატურული მუშაობაც გააჩაღეს.

თავდაპირველად ქართველებმა პალესტინის სამონასტრო კოლონიზაცია დაიწყეს, ყოველ შემთხვევაში V საუკუნიდან მაინც. განსაკუთრებით აღსანიშნავია ცნობილი მწერლისა და მოაზროვნის პეტერ ქართველის (411–481) ფრიად ნაყოფიერი საქმიანობა. V საუკუნის პირველ ნახევარში მან ააგო ქართული სავანეები როგორც იერუსალიმში, ისე ბეთლემის მახლობლად. ეს უკანასკნელი რამდენიმე წლის წინათ აღმოჩნდა არქეოლოგიური გათხრების შედეგად (გათხრებისა, რომელსაც იტალიელი მეცნიერი ვ. კორბო ხელმძღვანელობდა). ახლად გამოვლენილმა ხუროთმოძღვრულმა ძეგლმა შემოგვინახა ქართული დამწერლობის უძველესი ნიმუშები, წარმოაჩინა ქართლის სამეფოს ეკონომიკური ძლიერება, ნათლად გამოალვინა პეტრე ქართველის წვლილი პალესტინის სამონასტრო კოლონიზაციაში, გააფართოვა ჩვენი წარმოდგენა ქართველთა მოღვაწეობაზე ახლო აღმოსავლეთში. ქართულ წარწერიანმა ნაგებობამ ნათელყო პეტრე ქართველის კულტურულ–აღმშენებლობითი საქმიანობის ეროვნული მიზანდასახულობა.

მომდევნო ხანაში ქართველებს მრავლად ვხედავთ პალესტინისა და სირიის სამონასტრო ცენტრებში, სადაც მათ ეროვნული კოლონიები და მნიშვნელოვანი მწიგნობრულ–ლიტერატურული კერები დააარსეს. ამის შედეგად გვიანი ხანის ქართველ მოღვაწეებს ახლო აღმოსავლეთისაკენ იზიდავდათ არა მხოლოდ მსოფლიო ქრისტიანული მწერლობა, არამედ წინამორბედ თანამემამულეთა მიერ შექმნილი ლიტერატურული მემკვიდრეობაც.

ახლო აღმოსავლეთის ქართული კულტურის კერებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია საბაწმინდა, სინა, ჯვარი და შავი მთა.

IV-VI საუკუნეებიდან ქართველები ახლო აღმოსავლეთისაკენ ისწრაფოდნენ და ნაყოფიერად მოღვაწეობდნენ იქაურ ასკეტურსა თუ სამწერლო ასპარეზზე, IX საუკუნიდან მათ დასავლეთისაკენ აიღეს გეზი და თანდათან დაიწყეს ბიზანტიის სამონასტრო კოლონიზაცია, რაც პირდაპირი შედეგი იყო ქართულ–ბიზანტიური ურთიერთობის გაძლიერებისა. დროთა განმავლობაში ქართველ მოღვაწეთა დასახელებამ ბიზანტიაში ფართო ხასიათი მიიღო და ქართულ–ბიზანტიური სახელმწიფოებრივ–პოლიტიკური და საზოგადოებრივ–კულტურული ურთიერთობის გაცხოველების შედეგად სულ უფრო შესამჩნევი გახადა. ამასთანავე, ბიზანტია იქცა ქრისტიანული სამყაროს აღიარებულ ცენტრად, კონსტანტინოპოლმა

დიდად გაუსწრო მაჰმადიანთა მფლობელობაში მყოფ იერუსალიმს, ბიზანტიურმა ლიტერატურამ მსოფლიო სახელი და ავტორიტეტი მოიპოვა. ამან კიდევ უფრო გააძლიერა ქართველთა სწრაფვა ბიზანტიისაკენ.

დასავლეთისაკენ ჯერ კიდევ გრიგოლ ხანძთელი (759–861) ისწრაფოდა, მან 826 წლის ახლოს მოირა კონსტანტინოპოლი და მისი საზღვრები. მალე დასავლეთს ეწვია მეორე გამოჩენილი მოღვაწე ილარიონ ქართველი (822–875), რომელმაც არა მხოლოდ გაიცნო იქაურობა, არამედ დააარსა ქართული სავანე ოლიმპზე (მცირე აზიაში) 864 წლის ახლოს. მის სახელთანაა დაკავშირებული, აგრეთვე, ბიზანტიის ცენტრში კიდევ ერთი მონასტრის (რომანას) დაარსება 876 წელს. ორივე სავანე ადრევე იქცა მწერლობის კერად.

XI საუკუნეში ქართველები მოღვაწეობდნენ კონსტანტინოპოლის სავანეებშიც. აქ უნდა მოვიხსენიოთ ხორა (XI ს.) და განსაკუთრებით ტრიანდაფლივი, სადაც გაიშალა ცნობილი მწიგნობრის თეოფილე ხუცესმონაზვნის (XI ს) საქმიანობა. ქართველ მოღვაწეებს ლიტერატურული მუშაობა გაუშლიათ ჟალიას ქართულ მონასტერშიც (კუნძულ კვიპროსზე). დასავლეთის ქართულ სავანეებს შორის ყველაზე მეტი მნიშვნელობა ათონისა (X ს.) და პეტრიწონის (XI ს.) სავანეებმა მოიპოვეს.

ქართველობა ბიზანტიაში ეტანებოდა არა მხო-

ლოდ სავანეებს, არამედ სასწავლებლებსაც. ჯერ კიდევ გიორგი ათონელმა წაიყვანა იქ აღსაზრდელად 80 ბავშვი, ხოლო რამდენადმე გვიან დავით აღმაშენებელმა იქაურ სკოლებში განათლების მისაღებად გაგზავნა 40 ახალგაზრდა. ცალკე უნდა მოვიხსენიოთ კონსტანტინე მონომახის მიერ 1044–1047 წლებში კონსტანტინოპოლში დაარსებული უაღრესად მნიშვნელოვანი სასწავლო–სამეცნიერო დაწესებულება.

მანგანის აკადემია, რომელიც რენესანსის მძლავრ კერად იქცა და დიდი როლი შეასრულა ბიზანტიური კულტურის ისტორიაში. იქ ლექციებს კითხულობდნენ სახელგანთქმული მეცნიერები რომელთაც, სხვებთან ერთად, უსმენდნენ ქართველი მოღვაწენიც (არსენ იყალთოელი, იოანე, პეტრიწი, და ა. შ..) იქ მიიღეს მათ საფუძვლიანი სწავლა–განათლება, იქ მოემზადნენ თეოლოგიასა და ფილოსოფიაში, იქაური ტრადიციები დანერგეს ქართულ სავანეებში (შავ მთაზე, პეტრიწონში, გელათში, იყალთოში). ზოგიერთი მათგანი, მანგანის აკადემიაში მთარგმნელობით საქმიანობასაც ეწეოდა (არსენ იყალთოელი).

ბიზანტიაში ქართველთა მომრავლებასა და ქართული კოლონიების დაარსებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი კულტურის ისტორიისათვის. კონსტანტინოპოლის, ათონის, პეტრიწონის და სხვა სავანეთა ქართველობას ახლო კავშირი ჰქონდა ბიზანტიური კულტურის გამოჩენილ

მოღვაწეებთან. მას შეეძლო თვალი მიედვენებინა ბიანტიური მწვერლობის ზრდა–განვითარებისათვის და კვალდაკვალ მიჰყოლოდა მას, ქართული ლიტერატურა გაემდიდრებინა ახალი ორიგინალური შრომებით, ბერძნულიდან თარგმნილი წიგნებით და ეროვნული მწერლობა აემაღლებინა. ზოგად ქრისტიანული ლიტერატურის დონემდე. დასავლეთში აღმოცენებულმა ქართულმა კოლონიებმა კარგად გაართვეს თავი რთულ ამოცანას: მათ მიერ შექმნილ კულტურულ–ლიტერატურულ მემკვიდრეობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ეროვნული მწიგნობრობის ზრდა–განვითარებისათვის. ამასთანავე, დასავლეთში მოღვაწე ქართველმა მწერლებმა გარკვეული წვლილი შეიტანეს საკუთრივ ბიზანტიური ლიტერატურის განვითარებაშიც.

ქართველებს და რუსებს ადრევე ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდათ. მათ მეგობრობას ღრმა ისტორიული ფესვები აქვს.

რუსეთ–საქართველოს ხანგრძლივმა სახელმწიფოებრივ–პოლიტიკურმა ურთიერთობამ მოამზადა ნიადაგი ამ ორი ქვეყნის საზოგადოებრივ–კულტურული და მეცნიერულ–ლიტერატურული ურთიერთობისათვის. ჩვენამდე მოღწეული მცირე მასალიდანაც ნათლად ჩანს, რომ რუსეთ საქართველოს კულტურული ურთიერთობა ადრეული ხანიდან იწყება შემდგომ ხანაში რუსეთ–საქართველოს სამხედრო–პოლიტიკური ურთიერ-

თობის გაძლიერების შესაბამისად, ცხოველდება რუსულ–ქართული კულტურულ–ლიტერატურული ურთიერთობა, იზრდება ქართველთა ინტერესი რუსული კულტურისადმი, რუსული ლიტერატურისადმი.

XVII-XVIII საუკუნეებში რუსეთი იქცა სულით დაუცემელი და ქედმოუდრეკელი ქართველი მამულიშვილების – პოლიტიკური მოღვაწეებისა და მწიგნობრების თავშესაფრად. საგულისხმოა, რომ ჩვენი წინაპრები რუსეთისაკენ მხოლოდ სამხედრო–პოლიტიკური მიზნებით არ ისწრაფვოდნენ. ისინი, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც თურქ–ოსმალებმა კონსტანტინოპოლი აიღეს (1453 წ.) და საქართველო დასავლურ–ბიზანტიური კულტურის ცენტრებს მოსწყვიტეს, მოძალებულ მაჰმადიანთა რკალში მოექცნენ ქართველები ისწრაფვოდნენ კულტურის, განათლების, სწავლისაკენ მას შემდეგ, რაც გაცხოველდა რუსეთ–საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა, ჩვენი წინაპრების სწრაფვამ რუსულ–ევროპული კულტურისადმი ერთობ ინტენსიური სახე მიიღო. ქართველებისათვის ნათელი გახდა რუსული კულტურისა და განათლების მაღალი დონე და დიდი მნიშვნელობა. მათი დასკვნით „როსია ახალი ათინა არს“ (ი. ხელაშვილი) „მზემ სამხრეთ ჩრდილოს იწყო ბადება“ (მ. ბარათაშვილი). ასეთი რწმენის გამომუშავების შემდეგ ქართველთა სწრაფვას მოსკოვისაკენ პოლიტიკურ მიზნებთან

ერთად კულტურულ–საგანმანათლებლო ინტერესებიც აძლიერებდა.

მოსკოვი – რუსეთის სახელმწიფობერივ–პოლიტიკური ცენტრი – მალე გახდა ქართველთა კულტურის კერა, რუსული შემოქმედებითი აზრის, რუსი ხალხის დიდი კულტურული ცხოვრების ცენტრი რუსეთს გადახვეწილი ქართველებისათვის მშობლიური გახდა. რუსეთში თავშეფარებული ქართველები არა მარტო თურქ–ოსმალთა და ირანელებისაგან იყვნენ დაზღვეულნი, არამედ შექმნილი ჰქონდათ ხელსაყრელი პირობები, რათა სამშობლოში იძულებით შეწყვეტილი მეცნიერულ–ლიტერატურული საქმიანობა ჯეროვნად გაეგრძელებინათ და რუსულ–ევროპული მეცნიერებისა და მწერლობის გაცნობისა და ათვისების შედეგად ეროვნული კულტურა გაემდიდრებინათ. ეს რუსეთის მხრივ სამხედრო–პოლიტიკური დახმარების მიღების იმედსაც აძლიერებდა.

ქართველთა მოწინავე წრეებში კარგად ჰქონდათ შეგნებული რუსული მეცნიერებისა და განათლების მნიშვნელობა: საქართველოს შორსმჭვრეტელი და წინდახედული მმართველობის თაოსნობით მოსკოვსა თუ სხვა ცენტრებში განათლების მისაღებად გაიგზავნა ქართველი ახალგაზრდობა. ბევრი ქართველი სწავლობდა მოსკოვსა და პეტერბურგში, ბევრმა მათგანმა დაამთავრა სლავურ–ბერძნულ–ლათინური აკადემია.

მოსკოვი, პეტერბურგი, ასტრახანი, მოზოკი,

მირგოროდი და სხვა პუნქტები ქართველთა კულ-ტურულ–შემოქმედებითი მოღვაწეობის მნიშვ-ნელოვანი კერები იყო. ქართველი ემიგრანტების ახლოს იყვნენ რუსეთის სამეფო კართან, მეგობ-რობდნენ და თანამშრომლობდნენ რუსეთის გამო-ჩენილ მოღვაწეებთან. ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდათ ადგილობრივ საზოგადოებრიობასთან აქტიურად მონაწილეობდნენ სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში, ეწეოდნენ მრავალმხრივ მეცნი-ერულ–შემოქმედებითსა და მწიგნობრულ–საგან-მანათლებლო საქმიანობას. თხზავდნენ ორიგინა-ლურ ძეგლებს და თარგმნიდნენ რუსულ წიგნებს, რუსულიდანვე თარგმნიდნენ ბერძნული, სერბი-ული, ფრანგული, გერმანული ენებიდან მომდინა-რე ტექსტებს.

რუსეთის ქალაქებში დასახლებულმა ქართვე-ლობამ საფუძვლიანად გაიცნო და შეისწავლა რუ-სულ–ევროპული მეცნიერება და ლიტერატურა, გააჩაღა მრავალმხრივი ორიგინალურ–შემოქმე-დებითი და მთარგმნელობითი საქმიანობა, აით-ვისა და გადმოაქართულა მრავალი გამოჩენილი მოაზროვნის მემკვიდრეობა, მაღალ საფეხურ-ზე აიყვანა ეროვნული კულტურა და მეცნიერე-ბა. ყოველივე ეს განაპირობა ქართველთა მწიგ-ნობრულმა ინტერესმა და შრომისმოყვარეობამ, ერთი მხრივ, და ადგილობრივმა კულტურულმა გარემომ და მჩქეფარე ლიტერატურულმა ცხოვ-რებამ, მეორე მხრივ დიახ ქართული ცნობიერება,

ქართული კულტურა და აზროვნება, რომელიც საზღვარგარეთის ქვეყნებისთვისაც კი უმნიშვნელოვანესია, ჩვენი ეროვნული ღირსების, ეროვნული დიდების, ქართული მენტალიტეტის უკვდავების ქვაკუთხედს ჰკრავს.

ძველი ქართული კულტურის საზღვარგარეთულ კერათა შორის ეროვნული განვითარებისათვის ყველაზე მეტი მნიშვნელობა ჰქონდა ათონის სავანეს. როგორც კორნელი კეკელიძე შენიშნავდა, „არც ერთ სამონასტრო დაწესებულებას ისეთი მნიშვნელობა არ ჰქონია ჩვენი მწერლობისა და კულტურის ისტორიაში, როგორც ათონის ივერთა მონასტერს. უიმისოდ ჩვენი კულტურის ისტორიას, შეიძლება, სხვა სახე და ხასიათი მიეღო“.

ათონის სავანე მდებარეობს საბერძნეთში, ქალკედონის ნახევარკუნძულის (ბერძნული ქალკიდიკის) აღმოსავლეთ შვერილზე – აიონოროსის (მთაწმინდის), ათონის, ვიწრო, გრძელი და მთაგორიანი ნახევარკუნძულის აღმოსავლეთ ნაწილში, ათონის მთის ქვედა კალთაზე, ეგეოსის ზღვის პირას.

პირველი ქრისტიანი მოღვაწენი ათონზე VIII-IX საუკუნეებიდან ჩანან. ხოლო X საუკუნის ბოლოსთვის იქ ბერძნული მონასტრების ცენტრმაც გადაინაცვლა; 870 წელს იოანე კოლოვუმ დააარსა პირველი სავანე, ხოლო მომდევნო ხანაში სამონასტრო მშენებლობა ისე შესამჩნევად გაიშალა, ერთიმეორის მიყოლებით იმდენი მნიშვენლოვა-

ნი სავანე აღმოცენდა, რომ მალე ათონის მთას მთაწმინდა ეწოდა. რაკიღა ათონზე ბევრ ხალხს ჰქონდა სათვისტომო, ბუნებრივი იქნებოდა, იქ ქართველებსაც დაედოთ ბინა. მართლაც, მას შემდეგ რაც საქართველო–ბიზანტიის ურთიერთობა გაცხოველდა და ქართველები მომრავლდნენ ბიზანტიის სახელმწიფოებრივ–პოლიტიკურსა და საეკლესიო–სამონატრო ასპარეზზე, მათ ათონზე დასახლებაც დაიწყეს – ჯერ ბერძენთა სადგომს შეაფარეს თავი, ხოლო შემდეგ ქართული სავანეც დააარსეს (მართალია ქართველნი X საუკუნის შუა წლებში – 50–იან, განსაკუთრებით 60–იან წლებში, – ჩანან ათონის მთაზე ათოს სავანეში, კლდემენტის მონასტერში, ათანასეს ლავრაში, მაგრამ მათ ეროვნული მონასტერი ჯერ კიდევ არ ჰქონდათ).

965 წელს ათონის მთას ეწვია გამოჩენილი ქართველი მოღვაწე იოანე, რომელსაც ახლდნენ ვაჟიშვილი ექვთიმე და მოწაფენი. მათ ათანასე ათონელის ლავრას მიაშურეს, ათანასეს ახლოს დაისადგურეს. მალე მათ შეუერთდა ცნობილი სარდალი თორნიკე.

იმ პერიოდში ბიზანტიის მცირეწლოვან უფლისწულებს ბასილსა და კონსტანტინეს აუჯანყდა მცირეაზიელი ფეოდალი ბარდა სკრიალოსი. მეამბოხეთა ლაშქარმა თითქმის მთელი მცირე აზია იგდო ხელთ და ბიზანტიის ცენტრალურ ხელისუფლებას საფრთხე შეუქმნა. საიმპერატორო

კარმა დახმარებისათვის ერთგულ დიდებულებს მიმართა. მან გადაწყვიტა, დავით კურაპალატი-სათვისაც მიემართა და დახმარება–შუაკაცობა ათონელ ქართველებს სთხოვა. იოანემ ეს საქმე თორნიკეს მიანდო. ბიზანტიელებს თორნიკეს ხელით დავით კურაპალატს წერილი გამოუგზავნეს და დახმარება სთხოვეს. დავითმა 1200 რჩეული მხედარი გამოყო და სარდლად თორნიკე მიუჩინა. ბიზანტიელთა და ქართველთა გაერთიანებულმა ლაშქარმა დაამარცხა მეამბოხეთა მხედრობა (979 წ.).

თორნიკემ დიდძალი დავლა იგდო ხელთ. იგი გამარჯვებული და ხელდამშვენებული დაბრუნდა ათონზე. იქაურმა ქართველებმა ახალი ეროვნული სავანის დაარსება განიზრახეს (მათ უკვე ჰქონდათ საამისო მატერიალური შესაძლებლობა), მალე (980 წელს) ქართული მონასტრის მშენებლობა დაიწყეს და 983 წელს დაასრულეს კიდეც. ასე დაარსდა ათონის ივერთა (ქართველთა) მონასტერი ივირონი, რომელსაც ჩვენი წინაპრები ასე იხსენიებდნენ: „ლავრაი დიდებული და ყოვლითა შუენიერებითა შემკული“ (გიორგი ათონელი), „დიდი ლავრაი“ (გიორგი მცირე), „დიდი ლავრაი ქართველთაი“ (ეზრა ათონელი), „ლავრაი დიდებული“ (ზოსიმე მონაზონი) და ა. შ.

ათონის ივერთა მონასტერს თავდაპირველად იოანე ხელმძღვანელობდა. მან ენერგიულად იწყო ზრუნვა ქართული სავანის განმტკიცება–გაძლი-

ერებაზე, შესძინა მამულები, მონასტერი უზრუნ-
ველყო შემოსავლით, თანამემამულეები ჩააბა,
როგორც საეკლესიო–სამონასტრო, ისე სამეურ-
ნეო საქმიანობაში და ა. შ.

იოანესა და თორნიკეს მცდელობით, ბიზან-
ტიელთა დახმარებითა და ათონელ ქართველთა
ენერგიული მოქმედებით ივირონი 985 წლისათ-
ვის სავსებით დასრულებულ, ჩამოყალიბებულ
ფეოდალურ–საეკლესიო სემინარიად იქცა.

როდესაც იოანე და თორნიკე მონასტერს აარ-
სებდნენ, მათ, რასაკვირველია, სურდათ ქართ-
ველ მოღვაწეთათვის ეროვნული სავანე შეექმ-
ნათ, მაგრამ მათი აღმშენებლობითი საქმიანობა
მხოლოდ ქართველ მოწესეთა ბედზე ზრუნვით
არ შეიძლება აიხსნას. მათ კარგად ესმოდათ, თუ
რა მნიშვნელობა ჰქონდა ქართველებისათვის ბი-
ზანტიური კულტურის გაცნობას, მწერლობისა
და მეცნიერების ცენტრებთან ახლოს ყოფნას,
ბიზანტიელ მწიგნობართან კავშირურთიერთო-
ბას. ამიტომაც იოანემ და თორნიკემ თავიდანვე
გამოიჩინეს ინტერესი ბიზანტიური ლიტერატუ-
რისადმი და დაიწყეს ზრუნვა მშობლიური მწერ-
ლობის ზრდა–განვითარებაზე, მათ გარკვეული
ყურადღება მიაქციეს ქართული მწიგნობრობის
განვითარებას და შესამჩნევი წვლილი შეიტანეს
ეროვნული წერილობითი კულტურის გამდიდრებ-
ში, იოანესა და თორნიკეს ინიციატივით ათონზე
საკმაოდ ადრე, ყოველ შემთხვევაში, X საუკუ-

ნის 70–იანი წლებიდან მაინც, ფართოდ გაიშალა მუშაობა ხელნაწერთა გამრავლების, ძვირფასი ნუსხების დამზადების მიზნით. მათი თაოსნობით დამზადდა არაერთი ძვირფასი ხელნაწერი. იოანე გულმოდგინედ ადევნებდა თვალს ბიზანტიური მწერლობის წინსვლას, ინტერესით ეცნობოდა ბერძნულენოვან ტექსტებს, არჩევდა სათარგმნელ მასალას. იგი გრძნობდა ხარვეზს, რომელიც ზოგიერთი მნიშვნელოვანი ბიზანტიური ძეგლის ქართული თარგმანის არარსებობით იყო გამოწვეული და ენერგიულად იღვწოდა მდგომარეობის გამოსასწორებლად, განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ იოანეს მოწადინებით გამოვიდა შემოქმედებით ასპარეზზე მისი ვაჟი ექვთიმე (955–1028), რომელსაც წილად ხვდა ათონის ლიტერატურული სკოლის დაარსების დიდი პატივი. არსებითად მის სახელთანაა დაკავშირებული ამ სკოლის ჩამოყალიბება და მისი საქმიანობის წარმართვა, ბიზანტიურ კულტურასთან ქართული მწერლობის შედმგომი დაახლოება და ეროვნული საგანძურის გამდიდრება, ბიზანტიური ლიტერატურული ტრადიციების გადმონერგვა ჩვენს სინამდვილეში და მშობლიური მწერლობის მსოფლიო სარბიელზე გაყვანა.

იოანეს გარდაცვალების შემდეგ – 14 წლის განმალვობაში (1005–1019), – ქართველთა მონასტერს ექვთიმე (ეფთვიმე) ათონელი ხელმძღვანელობდა. იგი ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეში,

– იოანეს ავადმყოფობის გამო, – უძღვებოდა ქართული სავანის მთელ საქმიანობას – საეკლესიო–სამონასტრო, სამეურნეო–ადმინისტრაციულსა და სხვა, აქტიურად იყო ჩაბმული ათონელთა ყოველდღიურ ცხოვრებაში და ენერგიულად ხელმძღვანელობდა თანამემამულეთა მრავალრიცხოვან ჯგუფს. ამგვარივე დატვირთვით მუშაობდა ექვთიმე მამის გარდაცვალების შემდეგაც, როდესაც წინამძღვრის მოვალეობას ასრულებდა.

ექვთიმე ათონელის ღრმა შინაარსიან ცხოვრება–მოღვაწეობაში მთავარი და არსებითი ლიტერატურულ–შემოქმედებითი საქმიანობა გახლდათ. სწორედ მისი თაოსნობით იქცა ათონის სავანე არა მხოლოდ დასავლეთში მყოფ ქართველთა ძირითად საეკლესიო–სამონასტრო ცენტრად, არამედ ქართული კულტურის მძლავრ კერადაც. მართალია ექვთიმე ათონელს მუშაობაში შესამჩნევად უშლიდა ხელს სხვა საქმეებით გადატვირთვა და დღენიადაგ მოუცლელობა, მაგრამ ამან ხელი ვერ ააღებინა კულტურულ–საგანმანათლებლო საქმიანობაზე (ხშირად დღისით ვერ პოულობდა დროს, ღამით მუშაობდა და თავდადებით იღწვოდა მშობლიური ლიტერატურის გამდიდრებისათვის). მისი ბიოგრაფიის სიტყვით, ექვთიმე მრავალმხრივი პრაქტიკული საქმიანობის „თანა კეთილსა მას შრომასა თარგმანებისასა არა დაცადებდა, არცა სცემდა განსუენებასა თავსა თვისსა, არამედ ყოვლადვე იჭირვინ და ღამეთა

ათევენ, რამეთუ უფროისნი წიგნნი ღამით სანთ-
ლითა უთარგმნიან ფრიადსა უცალობისაგან და
საურავთა“.

როგორც აღვნიშნეთ, მწიგნობრული ინტერე-
სი ქართველთა სავანეში ადრევე შეინიშნებოდა,
მაგრამ იქ გაჩაღებული კულტურულ–შემოქმედე-
ბითი საქმიანობის ინიციატორი და სულის ჩამდგ-
მელი, იქაური ლიტერატურული სკოლის ფუძემ-
დებელი და მამამთავარი იყო ექვთიმე ათონელი.
არ დარჩენილა ქართული საეკლესიო–სასული-
ერო მწერლობის არც ერთი დარგი, რომ მისი გან-
ვითარება–გამდიდრებაში ექვთიმეს აქტიური მო-
ნაწილეობა არ მიეღოს. იგი წერდა ორიგინალურ
თხზულებებს ქართულად და ბერძნულად, ეწეოდა
ორმხრივ მთარგმნელობით მუშაობას. საკმარისია
მოვიხსენიოთ ცნობილი ჰაგიოგრაფიულ–მორა-
ლური და ასკეტურ–დოგმატური თხზულება, შუა
საუკუნეებში ფართოდ გავრცელებული რომანი
„სიბრძნე ბალაჰვარისა“ რომელიც მან ქართული-
დან თარგმნა ბერძნულ ენაზე.

ექვთიმე ათონელმა თავის მთავარ მიზნად ქარ-
თულ–ბიზანტიური კულტურულ–ლიტერატუ-
რული ურთიერთობის გაძლიერება და ქართული
მწერლობის საგანძურის ბერძნული ენიდან თარ-
გმნილი თხზულებებით გამდიდრება დაისახა. იგი
ხელმძღვანელობდა საგანგებოდ შემუშავებული
მთარგმნელობითი პრინციპებით, გულდასმით
არჩევდა სათარგმნ მასალას. ითვალისწინებდა

ქართველ მკითხველთა მომზადების დონესა და მოთხოვნილებას, საჭიროებისდა მიხედვით ცვლიდა ტექსტს, იძლეოდა განსხვავებულმ რედაქცია.

ექვთიმე ათონელის საქმიანობამ საყოველთაო აღიარება ჰპოვა. მადლიერი თანამემამულენი კმაყოფილებით აღნიშნავდნენ, რომ ექვთიმემ „განანათლა და შეამკო ნათესავი და ენაი ჩუენი“ (გიორგი ათონელი), „განავრცელა და განანათლა ქართველთა ენაი“ (სვიმონ დვალი) და სხვ. დავით კურაპალატმა მას „ახალი ოქროპირი“ უწოდა. ქართველებს განსაკუთრებით ის ეამაყებოდათ, რომ ექვთიმეს, „სახელი და ღირსებაი არა ხოლო საქართველოსა ოდენ განეფინა, არამედ საბერძნეთსაცა“. სწორედ ამის შეგნებამ აღავსო ისინი კანონიერი სიამაყის გრძნობით და ათქმევინა შემდეგი სიტყვები: „ეგევითარი თარგმანი, გარეშე მათ პირველთასა, არღარა გამოჩინებულ არს ენასა ჩუენსა და ვჰგონებ, თუ არცაღა გამოჩინებად არს“. ექვთიმე ათონელის დამსახურების აღიარებას მოწმობს მისი ცხოვრება–მოღვაწეობის ვრცლად აღწერა, მისი „ცხოვრების“ სვინაქსარული რედაქციები, მის სახელზე დაწერილი საგალობლები (რომელთაგანაც ზოგიერთი ბერძნულ სადღესასწაულოშიც კი შევიდა), ათონელთა მიერ დადებული აღაპები და ა. შ.

ექვთიმე ათონელს გარს ეხვია თანამოღვაწეთა და თანამშრომელთა დასი (იოანე გრძელიძე, არსენ ნინოწმინდელი, იოანე ხახულელი, ზაქა-

რია მირდატისძე და სხვ), რომელმაც გარკვეული წვლილი შეიტანა ქართული წიგნადი ფონდის გადმიდრებასა და ათონის ლიტერატურული სკოლის განვითარებაში.

ათონის ქართველთა მონასტერი არა მხოლოდ იოანესა და ექვთიმეს სიცოცხლეში გამოირჩეოდა, არამედ მომდევნო პერიოდშიც კარგა ხანს იყო ქართული კულტურის მძლავრი კერა. იქ გაგრძელდა მწიგნობრულ–ლიტერატურული საქმიანობა, რომელშიც მონაწილეობდა ქართველ მოღვაწეთა მრავალრიცხოვანი ჯგუფი. ეს მუშაობა კიდევ უფრო ნაყოფიერი გახდა, როდესაც იქ დამკვიდრდა გამოჩენილი ქართველი მოღვაწე გიორგი ათონელი (1009–1065), რომელმაც განაგრძო, განავითარა და გააღრმავა ექვთიმეს მიერ წამოწყებული საქმიანობა. იგი 1044–1056 წლებში ივირონის წინამძღვრად იყო, მრავალმხრივ პრაქტიკულ მოღვაწეობას ეწეოდა და ენერგიულად ხელმძღვანელობდა ქართული სავანის ბინადართა საეკლესიო–სამონასტრო ცხოვრებას. საქართველოს სამეფო კარის ხელშეწყობითა და დახმარებით მან ათონის ქართველთა მონასტერი გაამდიდრა, განამტკიცა, გააძლიერა, აღმშენებლობითი სამუშაოც ჩაატარა და მამულებიც შემოიმატ–შემოიმტკიცა.

გიორგი ათონელის ბიოგრაფიაში, მის მოღვაწეობაში მთავარი და ძირითადი მწიგნობრულ–ლიტერატურული საქმიანობა იყო თავისი შემოქმე-

დებითი მუშაობით, ნაყოფიერი მთარგმნელობითი საქმიანობითა და პრაქტიკული მოღვაწეობით მან დიდი წვლილი შეიტანა ქართული კულტურის საგანძურში. იგი თავგამოდებით იბრძოდა ქართველთა ეროვნულ–სახელმწიფოებრივი ძლიერებისა და სარწმუნოებრივი სიწმინდისათვის, მშობლიური მწიგნობრობის ზრდა–განვითარებისა და კულტურული დონის ამაღლებისათვის.

გიორგი ათონელის ცხოვრება–მოღვაწეობის პერიოდში ათონის ქართულ სავანეში კულტურულ–საგანმანათლებლო მუშაობა კვლავ ინტენსიურად გრძელდებოდა, გიორგი, – ვითარცა მეცნიერულ–ლიტერატურული საქმიანობის მეთაური და მთელი ინტელექტუალური ცხოვრების ხელმძღვანელი, – თავისი პირადი მაგალითით – თავდადებული შრომითა და შემოქმედებითი წვით – სტილს აძლევდა თანამოღვაწეთ და მწიგნობრულ ინტერესს უღვივებდა შთააგონებდა და სამუშაოდ მოუწოდებდა. ნათქვამის საილუსტრაციოდ საკმარისია მოვიხსენიოთ გიორგი ათონელის მოწაფე და თანამოღვაწე გიორგი მცირე.

მწიგნობრულ–ლიტერატურული საქმიანობა ათონის ქართველთა მონასტერში გრძელდებოდა გიორგი ათონელის მომდევნო წინამძღვრები – თეოდორესა და განსაკუთრებით, გიორგი ოლთისარის დროსაც. სწორედ მაშინ მოღვაწეობდა იქ მოზრდილი ჯგუფი (ევტრატი დეკანოზი, ზოსიმე მონაზონი, კვირიკე დიაკონი, სვიმეონ

თავშიშველი, იაკობ დეკანოზი, მიქაელ დაღალი-
სონელი და ა. შ.) რომელმაც შესამჩნევი წვლილი
შეიტანა ათონის ლიტერატურული სკოლის ის-
ტორიაში.

ქართული სავანის საკეთილდღეოდ თავგამო-
დებით იღვწოდნენ როგორც დასახელებული ისე
სხვა წინამძღვრებიც (არსედ ფარსმყოფილი, ევ-
გენი, ვასილი, იოანე ბუქაისძე და ა. შ.) მაგრამ
ივერონის მდგომარეობა მაინც გართულდა და
იქაურ ქართველთა შემოქმედებითი მუშაობა შე-
სუსტდა; ისინი მეტწილად ხელნაწერების დამზა-
დებით კმაყოფილდებოდნენ და მხოლოდ ახალი
ნუსხებით ამდიდრებდნენ იმ წიგნსაცავს, რომე-
ლიც დღესაც ათონის ფასდაუდებელი საგანძუ-
რია და ნათლად წარმოაჩენს ათონელ ქართველ-
თა დიდ მეცნიერულ–ლიტერატურულ ინტერესსა
და გონებრივ ჰორიზონტის სიფართოვეს.

ათონის ქართველთა მონასტერში შემოქმედები-
თი ცეცხლის განელება და ბოლოს ჩაქრობა შემ-
თხვევითი მოვლენა არ ყოფილა. ეს ბუნებრივი
შედეგი იყო იმ დევნა–შევიწროებისა, რომელსაც
ჩვენი წინაპრები განიცდიდნენ აოთნზე ჯერ კი-
დევ XI საუკუნიდან.

უკვე ექვთიმე ათონელის მომდევნო წინამძღვ-
რის გიორგის (1019–1029) დროს აიწყო იყირნოში
ქართველთა შევიწროება–შემცირება და ბერძენ-
თა მომრავლება. მართალია, გიორგიმ ერთგვარად
დაამუხრუჭა ბერძენთა მოძალება და ხელი შე-

ეშალა მათ მტაცებლური განზრახვის შესრულებაში, მაგრამ მალე ბიზანტიელებმა დრო იშოვეს და ქართველთათვის მონასტრის წართმევა მოიწადინეს. ათონელმა ქართველებმა საჭიროდ და აუცილებლად მიიჩნიეს მტკიცედ შეკავშირება და შემჭიდროება, სათანადო საბუთების დაძებნა თუ ახალი დოკუმენტების შედგენა და მათი მეოხებით თავიანთი უფლებების დაცვა–განმტკიცება. მათ საგანგებოდ შეადგინეს „მოსახსენებელა" ქართველ–ბერძენთა ურთიერთობისა ათონის მთაზე, ხაზგასმით აღნიშნეს მონასტრის ქართველთადმი კუთვნილება, შეადგინეს მისი აღმოჩენებისა და განვითარების ისტორია, წარმოაჩინეს იოანეს, თორნიკესა და ექვთიმეს ღვაწლი სავანის წინაშე, დაგმეს და გაკიცხეს ქართველთა უფლებების ხელმყოფელი და ქართული მონასტრის მიტაცების მოსურნე ბიზანტიელები.

რასაკვირველია, „მოსახსენებელმა" ვერ შეაჩერა ბიზანტიელთა შეტევა, მომდევნო ხანაში მათი იერიში კიდევ უფრო საშიში გახდა. აქტიურად იღვწოდნენ ათონელი ქართველები, ენერგიულად მოქმედებდნენ ივირონის მესვეურები, უხვად ეხმარებოდნენ მათ ქართველი მეფე–დიდებულები თუ გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწენი (ბაგრატ მეოთხე, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, გრიგოლ და აბაზ ბაკურიანისძენი, იოანე მწიგნობართუხუცესი, ნიკოლოზ გულაბერისძე, პავლე ქუთათელაძე და ა. შ.) მაგარმ მოძალებულ ბიზან-

ტიელებთან გამკლავება თანდათან უფრო ძნელ-
დებოდა. ამას ერთვოდა გარეშე მტრების ხშირი
თავდასხმაც, რამაც შესამჩნევად დაასუსტა ქარ-
თველთა სავანე.

მომხდურთა თარეშმა შეარყია ივირონის ძლი-
ერება, მონასტერში მდგომარეობა გართულდა
ბერძენ–ქართველთა ურთიერთობა გამწვავდა,
ბერძენთა მტაცებლური ტენდენცია სულ უფრო
შესამჩნევი გახდა. დროთა განმავლობაში ქართ-
ველთა რიცხვმა, – განსაკუთრებით XIII საუკუნი-
დან, როდესაც საქართველოს პოლიტიკური ძლი-
ერება დაეცა, – საგრძნობლად იკლო. მომრავლე-
ბული ბერძნები აქტიურად ამოქმედნენ, ივერთა
მონასტრის მთავარი ტაძრისათვის ბრძოლამ
კულმინაციას მიაღწია. მოძალადეებმა მიიმხრეს
არა მარტო აოთნის მონასტრების საბჭოს თავ-
კაცები, არამედ კონსტანტინოპოლის პატრიარქი
კალისტე პირველი (1350–1363), რომელმაც დააკ-
მაყოფილა ბერძენთა პრეტენზიები და საქმე მათ
სასარგებლოდ გადაწყვიტა.

წინააღმდეგ კალისტეს გადაწყვეტილებისა,
ქართველები გვიან ხანაშიც (1363 წ. 1399 წ. 1513
წ. და სხვ.) ჩანან მონასტრის წინამძღვრებად: მო-
ნასტრის ქართველთადმი კუთვნილებით აიხსნება
ისიც, რომ გაჭირვების ჟამს იქაური ქართველები
თანამემამულეებს მიმართავდნენ და ქართველი
მეფე–დიდებულებიც (ყვარყვარე და მზეჭაბუკ
ათაბაგები, ლევან კახთა მეფე, აშოთან მუხრანბა-

ტონი, ერეკლე მეორე და სხვა შეძლებისდაგვარად მფარველობდნენ და ეხმარებოდნენ. არც ისაა ინტერესს მოკლებული, რომ გვიანი ხანის ქართველი მოღვაწენი (ამბროსი სამცხელი, ფილიპე შაქარაშვილი და სხვა) ივერთა სავანეს „ჩუენ მონასტრად“ იხსენიებდნენ, ასე რომ, კალისტეს ტენდენციურმა გადაწყვეტილებამ ბერძნებს საბოლოო გამარჯვება ვერ მოუტანა, ქართველებს თავიანთ ძველ სავანეზე იმჯერად ხელი ვერ ააღებინა, მაგრამ მომდევნო საუკუნეებში მათ მაინც მოუხდათ პოზიციების დათმობა.

XIX ს. დამდეგიდან ქართველთა მდგომარეობა ათონზე კიდევ უფრო გართულდა. მას შემდეგ, რაც ივერთა მონასტერმა დაკარგა მფარველ–შემწენი ქართველ მეფეთა სახით, ხოლო ქართულმა ეკლესიამ – დამოუკიდებლობა, ბერძნებმა ათონელი ქართველები უფრო მეტად შეავიწროვეს, სულ განდევნეს სავანეთიდან და მთლიანად დაეპატრონენ მას. ამიერიდან რუსეთი უნდა დახმარებოდა გაჭირვებაში ჩავარდნილ ქართველობას, მაგრამ დასავლეთის ამბებმა, მძაფრმა პოლიტიკურმა სიტუაციამ, სამამულო ომმა მისი ყურადღება ჩამოაშორა ათონს. ამით ისარგებლეს ბერძნება და მტკიცედ დამკვიდრნენ ივერთა მონასტერში, რომელსაც დღემდე ფლობენ.

ქართველ მოღვაწეთა ინტერესი აოთნის სავანისადმი ყოველთვის დიდი იყო. იქაური ხუროთმოძღვრული ძეგლები, ფერწერის ნიმუშები, დიდებუ-

ლი ხელნაწერები მწერალთა მეცნიერთა ყურადღების ცენტრში იყო და არის.

XVIII საუკუნის შუა წლებში ათონზე რამდენჯერმე იყო გამოჩენილი მწერალი და მოგზაური ტიმოთე გაბაშვილი. პირველად მან შეისწავლა ათონის სიძველენი.

გასულ საუკუნეში ათონის ქართულ სიძველენი გაიცნეს და შეისწავლეს პ. იოსელიანმა, დ. ბაქრაძემ, ა. ცაგარელმა და ნ. მარმა. ჩვენს საუკუნეში – ა. ხახანაშვილმა რ. ბლეიკმა და სხვებმა. ათონის სავანისა და იქაური ლიტერატურული სკოლის ისტორიის არაერთ საკითხს ნათელი მოჰფინეს ი. ჯავახიშვილმა, კ. კეკელიძემ, ს. ყაუხჩიშვილმა, ა. შანიძემ და სხვა სწავლულებმა. თანდათან გაშუქდა ივირონის ისტორიის ცალკეული ეტაპები, გაირკვა ათონის ლიტერატურული სკოლის მნიშვნელობა და როლი ეროვნული კულტურის განვითარებაში და მაინც, მეტი სამუშაო წინაა, გასაკეთებელი კვლავ ბევრია, დასაზუსტებელია არაერთი საკითხი.

გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა ათონის ივერთა მონასტრის ქართულ სიძველეთა შესასწავლად.

1977 წელს საქართველოს სატელევიზიო ფილმების სტუდიის კინოექსპედიციამ (რეჟისორი – გ. პატარაია, ოპერატორი – ი. ონოფრიშვილი) გაიცნო ათონის ქართული სიძველენი და გადაიღო სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი, რომლითაც ქართველმა საზოგადოებრიობამ უკეთ გაიგო თუ,

რა ეროვნული საგანძური ინახება ათონის მთაზე.

ჩვენი მკითხველებისათვის უთუოდ ცნობილია, რომ რამდენიმე წლის წინ რეჟისორმა გ. პატარაიამ და თბილისის უნივერსიტეტის მეცნიერმა თანამშრომელმა ა. მიქაბერიძემ ათონიდან ჩამოიტანეს და თბილისის უნივერსიტეტს გადასცეს ივირონის ქართული ხელნაწერების მიკროფილმები. მალე დამზადდა მათი პირები საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური ბიბლიოთეკისა და კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტისათვის. უკვე დაიწყო ამ მასალის გულდასმით შესწავლა. არსებითად ახალი ეტაპი დაიწყო ათონის ლიტერატურული სკოლის შესწავლის ისტორიაში. უკვე გვაქვს პირველი საგულისხმო შედეგები: ი. ლოლაშვილმა გამოავლინა და გამოაქვეყნა უცნობი პოეტური ნიმუშები, თბილისის უნივერსიტეტის ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის მიერ მომზადებულ კრებულში „ივირონი–1000„ბ. კილანავამ დაბეჭდა „ილარონ ქართველის ცხოვრების“ ათონური რედაქცია. ბევრ რამეს გვპირდება თბილისის უნივერსიტეტში დაარსებული ათონურ ხელნაწერთა შემსწავლელი სამეცნიერო–კვლევითი ლაბორატორია, რომელსაც ჩვენი მხცოვანი ა. შანიძე ჩაუდგა სათავეში.

უკანასკნელ წლებში ჩვენში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვასა და შესწავლას. საქართველოში

გაშლილი მრავალმხრივი მუშაობა და ჩვენი წარსულით საერთო–სახალხო დაინტერესება განგვიმტკიცებს რწმენას, რომ ქართული კულტურის საზღვარგარეთული კერების, კერძოდ, ათონის ივერთა მონასტრის სიძველეებზე ზრუნვა და მისი შესწავლა საპატიო ადგილს დაიჭერს ქართველი სამეცნიერო–ლიტერატურული საზოგადოებრიობის საქმიანობაში. ივირონის – ამ უდიდესი სამეცნიერო–საგანმანათლებლო და მწიგნობრულ–ლიტერატურული კერის, – კომპლექსური შესწავლა ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა.

ბულგარეთში, ქალაქ პლოვდივიდან 26–30 კილომეტრის დაშორებით, როდოპის ქედის ჩრდილო კალთაზე, მდინარე ასენიცის მარჯვენა მხარეს, ხეობაში მდებარეობს პეტრიწონის სავანე, რომელიც სიდიდით მეორეა ბულგარეთში. მომხიბვლელი ტყის მასივები ქმნიან მშვენიერ სანახაობას, განსაკუთრებული სიდიადით წარმოაჩენენ ქართველთა მონასტერს, ქართველი და ბულგარელი ხალხების მეგობრობის ისტორიული ფესვების დამადასტურებელ ძეგლს.

პეტრიწონის სავანეს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული კულტურის ისტორიაში. მან უსაზღვრო ზეგავლენა მოახდინა ქართული ლიტერატურისა და ფილოსოფიის განვითარებაზე. ბულგარელ მეცნიერთა ერთობლივი აზრით, პეტრიწონმა დიდი როლი შეასრულა ბულგარეთის ისტორიაშიც.

ბულგარეთში ქართული სავანის არსებობა ჩვენი საზოგადოებრიობისათვის გვიან გახდა ცნობილი. თუ არ ვცდებით, ჩვენში პირველი ცნობა მასზე 1878 წელს გამოქვეყნდა. იგი ეკუთვნის ბულგარეთის განმათავისუფლებელი ომის მონაწილეს, კაპიტან გიორგი ჯორჯაძეს.

პირველი ქართველი მეცნიერი, რომელიც შეეხო ამ საკითხს, იყო პროფესორი ა. ცაგარელი. მან 1894 წელს გამოაქვეყნა ცნობები როგორც მონასტერზე, ისე მის დამაარსებელზე. შემდგომი კვლევა–ძიებით დაზუსტდა პეტრიწონის სავანის ადგილმდებარეობა, გაირკვა მისი დაარსების ისტორია და ვითარება, დადგინდა, რომ იგი დაუარსებია გრიგოლ ბაკურიანისძეს.

გრიგოლ ბაკურიანისძე ბიზანტიის სახელმწიფოებრივ ასპარეზზე დაწინაურებული ქართველი დიდებულია – ტაოელი ერისთავთერისთავის – ბაკურიანის შვილი. მან ენერგიულად გაიკვლია გზა ცხოვრებაში, ყურადღება დაიმსახურა და ბიზანტიის იმპერიის აღმოსავლეთი პროვინციების ჯარების მთავარსარდლის პოსტი დაიკავა, როდესაც ალექსი კომნინოსმა გვირგვინი დაიდგა (1081 წ.) გრიგოლ ბაკურიანისძემ, – ვითარცა ახალი იმპერატორის უერთგულესმა მოკაშვირემ – იმპერიის დასავლეთი პროვინციების ჯარების მთავარსარდლობა მიიღო.

ბიზანტიის დაწინაურებულ მოხელესა და გამოჩენილ მხედართუფროსს სამშობლოსთან კავში-

რი არასოდეს გაუწყვეტია. მან თავის ხალხსა და ქვეყანასთან მჭიდრო ურთიერთობა და კეთილ-განწყობილება შეინარჩუნა, რითაც „ყოველთა ქართველთა მასპინძლის“ სახელიც კი მოიპოვა. იგი ისევე როგორც მისი ძმა აბაზი, ენერგიულად იღვწოდა თანამემამულეთა საკეთილდღეოდ. აღ-სანიშნავია მისი ზრუნვა უცხოეთში მცხოვრებ ქართველებზე. კერძოდ, ივირონის ბინადრებზე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, ამაგი, რაც მან პეტრიწონის სავანეს დასდო.

გრიგოლ ბაკურიანისძეს, ჯერ კიდევ აღმოსავ-ლეთში ყოფნისას ჰქონდა სურვილი მონასტრის დაარსებისა. მაგრამ სამხედრო–სახელმწიფოებ-რივი საქმეებით გადატვირთვის გამო განზრახ-ვის შესრულება მხოლოდ ხანდაზმულობის ჟამს მოახერხა. 1083 წელს „თემსა შინა ფილიპოლო-სისა, საზღვართა შინა სოფლისა, მის რომელსა პეტრიშონ ეწოდების“, დააარსა ქართული სავანე, რომელსაც პეტრიწონის მონასტერი ეწოდა (რად-გან უკანასკნელ ხანს სოფელი პეტრიწონი დავიწ-ყებას მიეცა და დაწინაურდა სოფელი ბაჩკოვო, საიდანაც მიემართება მთავარი გზა სავანისაკენ ახალი მას ბაჩკოვოს მონასტერს უწოდებენ).

გრიგოლ ბაკურიანისძემ პეტრიწონის მონას-ტერში ააგო დიდი ტაძარი ღვთისმშობლის სა-ხელზე, აგრეთვე ორი მომცრო ეკლესია იოანე ნათლისმცემლისა და წმინდა გიორგისა, სენაკე-ბი, სათავსოები და ა. შ. სამონასტრო ანსამბლის

ახლოს, მთავარი ტაძრიდან ორასიოდე მეტრის დაშორებით. ააგო საძვალე – ერთნავიანი ორსართულიანი შენობა, რომლის ზედა სართულში ეკლესიაა. ქვემოთ – ძვლებით სავსე აკლდამები (ესაა ერთადერთი ძველი ნაგებობა, რომელმაც ჩვენამდე მოღწია თავდაპირველი სახით).

საძვალის მხატვრობა, რომელსაც ადრე მონასტრის თანამოასაკედ მიიჩნევდნენ, ხოლო უკანასკნელი გამოკვლევებით XII საუკუნითაა დათარიღებული, ინტერესს იწვევს სიუჟეტთა სიმრავლით. თემატურ–შინაარსობრივი სიმდიდრით გამომსახველობითი ძალით. მისი შესრულებული – იოანე ივეროპული, რომელსაც ზოგი მკვლევარი ქართველად მიიჩნევს, ფერწერის ჩინებულ ოსტატადაა აღიარებული.

გრიგოლ ბაკურიანისძემ პეტრიწონის მონასტერს მშენებლობის დასრულებისთანავე შეუდგინა ტიპიკონი, რომელიც მნიშვნელოვანი პირველხარისხოვანი წყაროა. იგი გვაცნობს სავანის დაარსების ამბავს, დამაარსებლის ვინაობას, მონასტრის იურიდიულ წეს–წყობილებას. გვაწვდის მასალებს სოციალურ ურთიერთობაზე. მხარის ეკონომიკურ მდგომარეობაზე და ა. შ. შეიცავს საინტერესო ცნობებს საქართველო–ბულგარეთ–ბიზანტიის ურთიერთობის ისტორიიდან, ის საყურადღებოა საეკლესიო ორგანიზაციისა და სამონასტრო ცხოვრების შესასწავლად, ამასთანავე იგი ქართული სალიტერატურო ენის ძვირფასი

ძეგლია. მასში შემონახულია მდიდარი ლექსიკა.

ტიპიკონიდან ჩანს, რომ გრიგოლ ბაკურიანისძემ მის მიერ დაარსებულ სავანეს უსაზღვრო დახმარება აღმოუჩინა – შესწირა სოფლები ციხეები, სახნავ–სათესი ადგილები, საძოვრები, ტყეები, საეკლესიო ნივთები, წიგნები და სხვ. აუშენა სასნეულო, სასტუმროები და ა. შ. მანვე განსაზღვრა მოღვაწეთა რაოდენობა, ეროვნული შემადგენლობა და ცხოვრების წესები, დაადგინა წინამძღვარი გამიჯნა მონასტრის თანამდებობის პირთა ფუნქციები. სავანე გაათავისუფლა ყოველგვარი (სამეფო საპატრიარქო და სხვ) გადასახადისაგან. ერთი სიტყვით პეტრიწონის მონასტერს მან შეუქმნა იდეალური პირობები, როგორც მატერიალურად ისე უფლებრივად.

ტიპიკონი დაუმზადებიათ ბერძნულად და ქართულად. მისი არსებობა მეცნიერთათვის ადრევე იყო ცნობილი, მაგრამ სრული ტექსტი კარგა ხანს არ ჩანდა. ძიებამ სასურველი შედეგი დიდხანს ვერ გამოიღო: თავდაპირველად აღმოჩნდა არა ძველი ტექსტი, არამედ მისი ახალბერძნული თარგმანი. XVIII საუკუნისა. იგი 1888 წელს გამოქვეყნდა. ჩვენი საუკუნის დამდეგს ტიპიკონის პირვანდელი ბერძნული ტექსტი XVIII საუკუნის ხელნაწერის მიხედვით გამოსცა ლ. პტიმ.

ქართული ტექსტის შემცველი ხელნაწერი თავდაპირველად აღმოჩნდა სოფიის საჯარო ბიბლიოთეკაში. 1949 წელს იგი ნახეს, შეისწავლეს და

მისი ღირსება–ნაკლოვანება გამოავლინეს, ა. შანიძემ და ნ. ბერძენიშვილმა. ქართული ტექსტი და ლათინური თარგმანი გამოაქვეყნა მ. თარხნიშვილმა.

უკეთესი ხელნაწერი – ქართულ–ბერძნული ტექსტის ძველი ნუსხა აღმოჩნდა საბერძნეთში, კუნძულ ხიოსზე, კორაისის სახელობის ბიბლიოთეკაში. მართალია, ხიოსის ხელნაწერის ქართული ტექსტის დედანი არ აღმოჩნდა, მაგრამ მისი მნიშვნელობა მაინც განუსაზღვრელია – ის დედნიდანაა გადაწერილი XIII საუკუნეში.

ხიოსის ხელნაწერის ბერძნული ტექსტი და მისი ქართული თარგმანი გამოაქვეყნა ს. ყაუხჩიშვილმა ქართული ტექსტი და მისი რუსული თარგმანი გამოკვლევითა და სრული მეცნიერული აპარატით გამოსცა ა. შანიძემ (1971 წ.).

პეტრიწონის სავანეში არსებობდა სასწავლებელი, სემინარია, რომელიც ამზადებდა ქართველ მუშაკებს კულტურულ–საგანმანათლებლო საქმიანობისათვის. ფრანგი მეცნიერის ლ. პტის სიტყვით: – ჩვენ აქ გვაქვს მეტად იშვიათი, შეიძლება ერთადერთი მაგალითი ბიზანტიაში სემინარიის არსებობისა ამ სიტყვის თანამედროვე მნიშვნელობით“.

პეტრიწონის სავანის მომდევნო ხანის ისტორია ნაკლებადაა ცნობილი, ამიტომ ჩვენ მხოლოდ რამდენიმე ფაქტზე გავამახვილებთ ყურადღებას.

გრიგოლ ბაკურიანისძე ენერგიულად ემსახუ-

რებოდა რა ალექსი კომნინოსს, თავგამოდებით ებრძოდა მის მოწინააღმდეგეებს. მან განსაკუთრებით გამოიჩინა თავი პაჭანიკებთან ბრძოლაში და 1086 წელს შეეწირა კიდეც ურიცხვი მტრის ლაშქარს.

მომდევნო ხანაში პეტრიწონი მარიამ დედოფლის, – საქართველოს მეფის ბაგრატ მეოთხის ასულისა და ბიზანტიის იმპერატორის მეუღლის, – საკუთრება იყო. საგულისხმო ფაქტია: სავანის დაარსებისა და გრიგოლ ბაკურიანისძის გარდაცვალებიდან რამდენი წლის შემდეგ ეს ადგილი ქართველ მანდილოსანს ეკუთვნოდა და მისი მფარველობით სარგებლობდა.

პეტრიწონის სავანეს არც საქართველოს მეფეთა შემწეობა აკლდა – მას ეხმარებოდნენ დავით აღმაშენებელი და თამარ მეფე.

1204 წელს პეტრიწონი ჯვაროსნებმა დაარბიეს.

1205 წელს ბულგარეთის მეფე კოლოიანმა დაამარცხა და განდევნა ჯვაროსნები. პეტრიწონის მონასტერს ამიერიდან კარგა ხანს ბულგარელები ფლობდნენ.

XIV საუკუნის დასაწყისიდან მონასტერი აღმავლობის გზას დაადგა. ბულგარეთის მეფე ივანე–ალექსანდრემ იგი გააძლიერა და განამტკიცა, მან აღადგინა ტაძარი, განაახლა და მოახატვინა საძვალე (მაშინდელი როგორც ივანე–ალექსანდრეს ისე გრიგოლ და აბაზ ბაკურიანისძეთა ფრესკა).

იმ პერიოდში ქართველები კვლავ ჩანან პეტრი-

წონის მონასტერში. ნათქვამის დასტურად შეგვიძლია დავიმოწმოთ მთავარ ტაძარში დაცული ღვთისმშობლის ხატი, რომელმაც შემოგვინახა მრავალმხრივ საინტერესო ქართული წარწერა 1311 წლისა, აგრეთვე XIV საუკუნისავე ქართული წარწერები მთავარი ტაძრის გუმბათის ჯვრისა, საძვალისა და საძვალის ფრესკისა.

გარკვეული ყურადღებას იმსახურებს XIV საუკუნის პეტრიწონული ხელნაწერი – დღესასწაულთა საკითხავნი“, რომელიც ერთხანს სვანეთში ინახებოდა, ამჟამად კი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული.

დასახელებული ქართული სიძველენი ცხადყოფენ, რომ XIV საუკუნეში პეტრიწონის მონასტერში მკვიდრობდნენ ქართველები (ათანასი მოძღვარი ოქროპირ ტაოელა, გრიგოლ კალიგრაფი და სხვ), რომელთაგან ზოგიერთი კულტურულ–საგანმანათლებლო საქმიანობასაც ეწეოდა.

1363 წელს თურქ–ოსმალებმა აიღეს ფილიპოპოლი (თანამედროვე პლოვდივი) და პეტრიწონიც ხელთ იგდეს. ამის შემდეგ მათ არაერთგზის დაარბიეს და გაძარცვეს სავანე და მხოლოდ XIV საუკუნის ბოლოს დართეს ბულგარელებს მისი მართვის ნება.

XVIII საუკუნეში მონასტერში აღმშენებლობითი საქმიანობა გაჩაღდა. ამ დროს ააგეს მთავარი ტაძარი და სატრაპეზო, რომლის მოხატულობა დღე-

საც აოცებს მნახველს. მშენებლობა გრძელდებოდა მომდევნო საუკუნეებშიც. გასული საუკუნის მეორე ნახევარში ზოგიერთი ნაგებობა გარედანაც მოხატეს და ერთ–ერთ კედელზე გრიგოლ და აბაზ ბაკურიანისძეთა პორტრეტებსაც მიუჩინეს საპატიო ადგილი.

ბულგარეთის განთავისუფლებული ომის პერიოდში პეტრიწონის მიდამოებში მწვავე ბრძოლები გაჩაღდა. 1878 წლის იანვარში მონასტერი თურქ–ოსმალთაგან დარბეგვას გადაარჩინა რუსეთის არმიის ოფიცერმა გ.ჯორჯაძემ. მან თავისი რაზმით დროზე მიუსწრო განსაცდელში მყოფ მონასტერს და მტერი უკუაქცია, რითაც დიდი მადლობა დაიმსახურა პეტრიწონელებისა, რომელთაც მას, – ვითარცა ქართველს, – მონასტრის სიძველენი დაათვალიერებინეს, კერძოდ, ქართულწარწერიანი ხატიც აჩვენეს.

მალე მონასტერს ბერძნები დაეპატრონენ და კარგა ხანს ფლობდნენ მას. წლების მანძილზე გრძელდებოდა დავა ბერძნებსა და ბულგარელებს შორის. ეს შეხლა–შემოხლა დამთავრდა 1894 წელს, როდესაც სავანე ბულგარელთა ხელში გადავიდა.

ამჟამად ქართული კულტურის ძველი კერა – პეტრიწონის მონასტერი კარგად მოვლილი და სათანადოდ დაცულია. სისტემატურად მიმდინარეობს სარესტავრაციო სამუშაოები – ნაგებობათა აღდგენა, ფრესკების გაცხოველება. იქაური

მოღვაწენი, აგრეთვე, ექსკურსიამძღოლები დამთვალიერებელთ გულთბილად ესაუბრებიან სავანის ქართულ დამაარსებელზე გამოჩენილ ქართველ ფილოსოფოსზე, იქაურ ქართულ სემინარიაზე.

იერუსალიმის ახლოს IV-V საუკუნეებში აღმოცენდა რამდენიმე ლავრა (ხარიტონის, თეოდოსის, საბასი და ა. შ.), სადაც თავი მოიყარეს ქრისტიანმა მოღვაწეებმა (ბერძნებმა, სირიელებმა, სომხებმა და სხვა). ამ სავანეებს ქართველებმაც მიაშურეს და ზოგიერთი მათგანი ქართულ მწიგნობრულ–ლიტერატორულ კერადაც კი აქციეს.

ჩვენი კულტურისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საბას ლავრას – საბაწმინდას, რომელიც მდებარეობს იერუსალიმის სამხრეთ–აღმოსავლეთით დაახლოებით 13–15 კილომეტრზე. იგი X საუკუნის 80–იან წლებში დააარსა გამოჩენილმა საეკლესიო მოღვაწემ საბა განწმედილმა (439–532) და მაშინვე მიიზიდა მოწესენი სხვდასხვა ქვეყნებიდან. ქართველები იქ ადრევე დასახლდნენ, ხოლო 532 წლისათვის ისე მომრავლდნენ, რომ თავიანთი ეკლესიაც ჰქონდათ.

მომდევნო ხანაში მდგომარეობა საკმაოდ გართულდა განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც პალესტინა ირან–ბიზანტიის პოლიტიკურ ინტერესთა შეჯახების შედეგად საბრძოლო ასპარეზად იქცა. თუ ადრე პალესტინა ქრისტიანული ბიზანტიის სფეროში შედიოდა, 614 წელს ირანელებმა დაიპყ-

რეს, ხოლო 637 წელს არაბთა ხელთ აღმოჩნდა. 969 წლიდან იერუსალიმსა და მის შემოგარენს ეგვიპტელები, ხოლო 1071 წლიდან თურქ–სელ-ჩუკები დაეუფლნენ. მაჰმადიანთა მპყრობელო-ბამ და თვითნებობამ, რასაკვირველია, სათანადო გავლენა მოახდინა საბაწმინდის მკვიდრთა ცხოვ-რებასა და კულტურულ–შემოქმედებით საქმი-ანობაზე. ამ პერიოდში საბაწმინდა რამდენჯერმე დაარბიეს, მაგრამ, მიუხედავად ძნელბედობისა, ბერმონაზვნური ცხოვრება კვლავ გრძელდებოდა და ქართველბიც არ წყვეტდნენ კავშირს ამ სავა-ნესთან. ბევრი ქართველი იქ ხანგრძლივად ცხოვ-რობდა და ლიტერატურულ–საგანმანათლებლო საქმიანობასაც ეწეოდა ზოგიერთი მოღვაწე კი არ ერიდებოდა მოგზაურობის სიძნელეს, დრო-ებით მიდიოდა საბას მიერ დაარსებულ ლავრაში და გარკვეულ დროს ატარებდა იქაურ მოწესეთა წრეში. მაგალითად, ილარიონ ქართველი (IX ს.) ფილიპე შაქარაშვილი (1566 წ.), იოანა გედევანიშ-ვილი (XVIII საუკუნის 80–იან წლებში), გიორგი ავალიშვილი (1820 წ.), პეტრე კონჭოშვილი (1899 წ.) და სხვა სამწუხაროდ, ქართველთა ნაკვალევ-ზე ამ პირებს არავითარი ცნობა არ შემოუნახავთ. შედარებით შედეგიანი იყო რუსი სწავლულის პორფირი უსპენსკის მისვლა საბაწმინდაში. მან გასული საუკუნის შუა წლებში მოინახულა. ეს სავანე და წამოიღო იქიდან ძვირფასი ქართული ხელნაწერი – ჭილეტრატის იადგარი. მეტი შე-

დეგი გამოიღო ცნობილი ქართველი მეცნიერის ალექსანდრე ცაგარელის მოგზაურობამ (1883 წ.) მკვლევარმა, მართალია, საბაწმინდაში, მხოლოდ ერთი ქართული ხელნაწერი ნახა და ისიც გვიანი ხანის (XV ს.) მაგრამ სხვაგან დაცული საბაწმინდური ხელნაწერების შესწავლის საფუძველზე ეს სავანე სავსებით მართებულად მიიჩნია ქართული მწერლობის უძველეს საზღვარგარეთულ კერად.

საბაწმინდაში ადრეული ხანიდან მოღვაწეობდა და კულტურულ–საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდა მწიგნობართა მრავალრიცხოვანი ჯგუფი, იქ იქმნებოდა ქრისტიანული მწერლობის შედევრები. საბაწმინდაში ძირითადად ბერძნულ ენაზე იწერებოდა ახალი თხზულებანი, მაგრამ თანდათან გაიშალა მუშაობა სირიულსა და სომხურ ენებზეც. VIII-IX საუკუნეებში განვითარდა არაბულ–ქრისტიანული მწიგნობრობაც. ბუნებრივია, ყოველივე ეს გავლენას ახდენდა იმ ქართველებზე, რომლებმაც არაბთა მომძლავრების გამო სამშობლოში შეწყვიტეს მწიგნობრულ–საგანმანათლებლო მუშაობა მიაშურეს პალესტინას, დამკვიდრნენ საბაწმინდაში და შექმნეს იქ (VIII საუკუნის მაინც) უმნიშვნელოვანესი კერა ქართული მწიგნობრობისა. საბაწმინდელ ქართველ მოღვაწეებს შემოქმედებით ცეცხლს მატებდა. ერთი მხრივ, სურვილი და მოთხოვნილება მშობლიურ ენაზე წერისა, მეორე მხრივ, კულტურულ–ლიტერატურული გარემოცვა.

ჩვენთვის ცნობილი მასალებით, ჩვენამდე მოღწეული წერილობითი ძეგლებით საბაწმინდა არის ქართული კულტურის უძველესი ცენტრი უცხოეთში რასაკვირველია ეს იმას როდი ნიშნავს, რომ საბაწმინდა ქართული მწერლობის აკვნად მივიჩნიოთ. ქართული მწერლობა საბას ლავრის დაარსების ჟამს მაღალ საფეხურზე იდგა (მოვიგონოთ იაკობ ცურტაველი). ადრინდელი ქართული წერილობითი ძეგლები საქართველოში შეიქმნა – ადგილობრივ ლიტერატურულ კერებში. მაშინ ჩვენში ჯერ კიდევ არ იქნებოდა შემოქმედებით მუშაკთა ისეთი მოზღვავება, რომ შესაძლებელი გამხდარიყო უცხოეთში მათი მრავლად გაგზავნა იქ სამოღვაწეოდ. ასე რომ, საბაწმინდაში კი არ აღმოცენდა ქართული მწერლობა, არამედ, იქ მან შემდგომი განვითარება ჰპოვა.

რამდენიმე სიტყვა საბაწმინდელი ქართველთა საქმიანობაზე.

საბაწმინდის ქართულ სამწერლობო კერაში მოღვაწეობდა მრავალი ქართვლეი მწიგნობარი – მარტვირი საბაწმინდელი, სეითი, იოანე–ზოსიმე, სივმონ მგალობელი, მიქაელ ჩოხუარელი და სხვანი. სწორედ მათი თავდადებული და მრავალმხრივი მუშაობის შედეგად დაიმკვიდრა საბაწმინდამ ერთობ საპატიო ადგილი ქართული კულტურის ისტორიაში.

საბაწმინდაში გატარდა ქართული სალიტერატურო ენის რეფომა (VIII-IX ს.ს.) და შემუშავდა

ბიბლიური წიგნების საბაწმინდური რედაქცია (IX ს.) ფართო ხასიათი მიიღო მწიგნობრულ–შემოქმედებითმა საქმიანობამ. VIII–IX ს. განსაკუთრებით განვითარდა ეროვნული ჰიმნოგრაფია. შეიქმნა უდიდესი მნიშვნელობის ჰიმნოგრაფიული კრებულები. ინტენსიური მუშაობა გააჩაღა ცნობილმა ქართველმა მწერალმა იოანე–ზოსიმემ (X ს.), რომელმაც შეადგინა ორიგინალური თუ ნახევრად ორიგინალური კალენდარულ–ჰიმნოგრაფიული კრებულები. ვგონებ, იქვე შეთხზა მან „ქებაი და დიდებაი ქართლისა ენისაი“, რომელიც ცხადყოფს ქართველთა ეროვნული თვითშეგნების გაღვივებასა და ამაღლებას.

საბაწმინდაში ფართოდ გაიშალა მთარგმნელობითი მუშაობა ითარგმნა და შედგა ჰაგიოგრაფიული, მისტიკურ–ასკეტური და ჰიმნოგრაფიული კრებულები (მთარგმნელთა საქმიანობაშიც კარგად გამოსჭვივის ეროვნული მიმართულება).

აქ უნდა მოვიხსენიოთ მისტიკურ–ასკეტური შინაარსის თხზულება „თქმულება წმიდისა მარტვირი მონაზონისი სინანულისათვის და სიმდაბლის“, რომელიც მარტვირი ქართველის (VII ს.) თარგმნილ–გადმოკეთებული უნდა იყოს. ყურადღება იპყრობს VIII საუკუნის მეორე ნახევრისა და IX ს. პირველი ნახევრის საბაწმინდელი მოღვაწის სეითის ნაყოფიერი მთარგმნელობითი საქმიანობა. მან არა მხოლოდ ძეგლები თარგმნა, არამედ საფუძველი ჩაუყარა იმ ჰაგიოგრაფიულ კრებულს,

რომელიც მოღვაწეთა „წამება–ცხოვრების“ კიმენური რედაქციის ტექსტებს შეიცავს.

საბაწმინდაში გახშირდა ხელნაწერთა დამზადება, მომრავლდნენ კალიგრაფები, დამკვიდრდა საბაწმინდური ხელი. იქ დამზადებულ ხელნაწერთა შორის განსაკუთრებით ძვირფასია 864 წლის მრავალთავი, რომელიც უძველესი (პირველი) ქართული თარიღიანი ხელნაწერია. მის დამზადებაში მონაწილეობა მიუღიათ მაკარი ლეთეთელს, პიმენ კახს, ამონასა და სხვებს. კრებული გადაწერის ინიციატორი და ერთ–ერთი მთავარი გადამწერი მაკარია. იგი – „კაცი მშვენიერი, კეთილი მონაზონი, სრული სიბრძნითა“, – გრიგოლ ხანძთელის მოწაფე იყო და შორეულ პალესტინაში მოღვაწეობის ჟამსაც არ სწყვეტდა კავშირს თავის განსწავლულ მოძღვართან. გრიგოლ ხანძთელისა და მაკარი ლეთეთელის ურთიერთობა ცხადყოფს, რომ საბაწმინდელ ქართველებს მჭიდრო კავშირ–ურთიერთობა ჰქონდათ სამშობლოსთან.

მაკარი დეთეთელისა და მისი თანამოღვაწეების მიერ შედგენილ კრებულში, – რომელიც ნაკლული სახითაა მოღწეული, – შემონახულია 18 ავტორის 50 თხზულება. მასში შესულია გამოჩენილი მწერლების – გრიგოდ ნეოკესარიელის, ეპიფანე კვიპრელის, ეფრემ ასურის, იოანე ოქროპირისა და სხვათა ნაწარმოებები, რომლებიც იმ დროს (864 წ.) უკვე ყოფილა ქართულ ენაზე, საფიქრებელია, ეს თხზულებანი პალესტინის ქართულ სავანეებ-

ში და უპირატესად საბას ლავრაში ითარგმნა VII-VIII ს. ბევრი ძეგლი ძველი ქართული მხატვრული პროზის ნამდვილი შედევრია, პომილეტიკურ თხზულებათა ცალკეული ადგილები გალექსილია. ძველ ხელნაწერთაგან ეს მრავალთავი არის უძველესი თარიღიანი კრებული, რომელიც გვაწვდის მასალებს ადრინდელი ქართული ლექსის შესახებ.

მრავალთავის ზოგიერთი ნაკვეთი ადრეც გამოქვეყნდა, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო და როგორც კი ჩვენამდე მოაღწია მთლიანმა მასალამ (მიკროფილმისა თუ ფოტოფირის სახით), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრამ აკადემიკოს აკაკი შანიძის ხელმძღვანელობით იგი სრული სახით დაბეჭდა.

864 წლის მრავალთავი გადაწერისთანავე სინის მთაზე მოხვდა (მაკარი ლეთეთელმა შესწირა იქაურ ქართულ კოლონიას) და ახლაც იქაა დაცული. ამიტომ დაუმკვიდრდა მას სინური მრავალთავის სახელწოდება, თორემ, როგორც აღვნიშნეთ, ის საბაწმინდაში გადაიწერა და ამდენად უფრო სწორი იქნებოდა მისთვის საბაწმინდური მრავალთავი გვეწოდებინა.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ ზემოდასახელებული ჭილ–ეტრატის იადგარი, რომელიც საბაწმინდიდან წამოიღო პ. უსპენსკიმ და ახლა საქართველოს. მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება.

ეს კრებული საბაწმინდაში დაწერილი უნდა იყოს. თუ ეს ვარაუდი სწორია, მაშინ საბაწმინდელთა წვლილი ეროვნული ჰიმნოგრაფიის განვითარებაში ერთობ დიდი ყოფილა.

საბაწმინდის სავანეს ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდა საქართველოსთან. იქიდან გადმოინერგა სამხრეთ–დასავლეთ საქართვლეოში ტიპიკონი (IX ს), რომელიც ახალი რედაქციით (XII ს.) მთელ საქართველოში დამკვიდრდა; იქ შექმნილი ლიტერატურული პროდუქცია ქართველ მწიგნობართა და პილიგრიმთა საშუალებით გავრცელდა როგორც პალესტინაში, ისე საკუთრივ საქართველოში და საგრძნობი გავლენა მოახდინა ქართული ლიტერატურის განვითარებაზე.

ქართველთა მოღვაწეობა საბაწმინდაში შეინიშნება XI საუკუნეშიც, მაგრამ იგი დიდხანს აღარ გაგრძელებულა. არაბთა მოძალებისა და მონასტრის ხშირი დარბევის გამო იქ დარჩენა თანდათან გაძნელდა, ხოლო შემდეგ შეუძლებელი გახდა. ქართველმა მოღვაწეებმა სხვა სავანეს მიაშურეს, იქ დაისადგურეს, იქ განაგრძეს კულტურულ–აღმშენებლობითი და მწიგნობრულ–საგანმანათლებლო საქმიანობა. ეს სავანე სინის ნახევარკუნძულზე მდებარეობდა.

სინა, სინის მთა ქართველთა უშორესი სამოღვაწეო პუნქტია ახლო აღმოსავლეთში. იგი აღმართულია არაბეთის ნახევარკუნძულის დასავლეთით – სინის ნახევარკუნძულის სამხრეთ სექ-

ტორში (აგვიპტის არაბთა რესპუბლიკაში) სინის მთის კალთაზე, 1528 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს ეკატერინეს მონასტერი, რომელმაც მრავალი მოღვაწე მიიზიდა. მიუხედავად იმისა, რომ სინის მთის ბუნება ერთობ მკაცრია, – ზამთარი იქ პირდაპირ აუტანელია, – ბევრი ქრისტიანი მოწესე იქაურობას აფარებდა თავს და არა უფრთხოდა არც ბუნებრივ–კლიმატური პირობების სისასტიკეს და არც არაბი ბედუინების ძალადობას. ამის ახსნა ადვილია: ბიბლიური გადმოცემით, სინის მთა წმინდა ადგილი იყო, იქ თითქოს ღმერთი გამოეცხადა მოსე წინასწარმეტყველს. ბუნებრივია, მოსეს მიერ ღვთის ხილვა მორწმუნე საზოგადოებრიობამ სასწაულად მიიჩნია, ხოლო სინის მთა – წმინდა ადგილად.

პირველი ქრისტიანები სინის მთაზე უკვე მესამე საუკუნეში მივდნენ. მალე მათ ალექსანდრიიდან მიიტანეს წმინდა ეკატერინეს ნაწილები და დაასვენეს იმ მთაზე, რომელსაც დღემდე ეკატერინეს მთა ეწოდება. შემდეგ იქ მოწესენი მომრავლდნენ და, გადმოცემით, კონსტანტინე დიდის დედამ ელენემ ეგვიპტის პრეფექტს ააგებინა პატარა ტაძარი, VI საუკუნეში იქ მოზრდილი ტაძარიც აშენდა. იქაურ სავანეში მოღვაწეობდნენ ბერძნები, სირიელები, ქრისტიანი არაბები... მალე იქ ქართველებიც გაჩნდნენ.

თითო–ოროლა ქართველი სინის მთაზე უკვე VI საუკუნიდან ჩანს, მაგრამ, რასაკვირველია, ეს

კიდევ არ ნიშნავს რომ VI ან თუ გნებავთ VII-VIII საუკუნეებში ქართველებს სინაზე თავიანთი კოლონია ჰქონდათ. მსჯელობა ქართველ მოღვაწეთა სინის მთაზე დამკივდრებასა და იქ ქართული სათვისტომოს დაარსებაზე შეგვიძლია დავიწყოთ მხოლოდ IX საუკუნიდან, როდესაც არაბთა ძალმომრეობითა და მუდმივი თავდასხმებით შეწუხებულმა ჩვენმა წინაპრებმა ნაწილობრივ დატოვეს პალესტინა და შორეულ მხარეს, შედარებით საიმედო თავშესაფარს მიაშურეს – სინის მთაზე დამკვიდრდნენ.

სინის მთაზე ქართველთა მრავალრიცხოვანი კრებული ყოფილა (ამას რამდენიმე ქართული ეკლესიის არსებობაც ადასტურებს). იქაურ ქართველებს უშურველად ეხმარებოდნენ საქართველოს მეფე–დიდებულები თუ საეკლესიო მოღვაწენი. დავით აღმაშენებელმა იქ ტაძარიც კი ააშენა. როგორც დიდი ივანე ჯავახიშვილი შენიშნავს დავითს კარგად ესმოდა რომ სინის მთაზე ტაძრების მშენებლობას არა „მარტო წმინდა სარწმუნოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა, არამედ, ამავე დროს, ეს მთელ მახლობელ აღმოსავლეთში და დასავლეთში ქრისტიან ხალხთა შორის საქართველოს პოლიტიკურ სახელგანთქმულობასაც უწყობდა ხელს და საერთაშორისო სფეროში საქართველოს დიდი ხვედრითი წონის გამოხატულება იყო.

სინელი მოღვაწენი დიდად აფასებედნენ თანამემამულეთა ზრუნვას და ყოველთვის მადლი-

ერების გრძნობით იხსენიებდნენ თანამოძმეთ, შორეულ მხარეშიც არ ივიწყებდნენ მშობლიურ მიწა–წყალსა და მშობელ ხალხს, დღენიადაგ იღვწოდნენ „ქართლისა მშვიდობისა, საზღვართა განმაგრებისა, მეფეთა და მთავართა დაწყნარებისა, მტერთა გარემიქცევისა, ტყვეთა მოქცევისა, ჟამთა დაწყნარებისა და ქრისტიანობის დამტკიცებისათვის“.

ქართველი მოღვაწენი XV საუკუნიდან აღარ ჩანან სინის მთაზე. მაჰმადიანთა მომძლავრებისა და საქართველოს სახელმწიფოებრივ–პოლიტიკური და ეკონომიკური დაუძლურების შედეგად სამშობლოდან დახმარებამ იკლო, ქართული კოლონია დასუსტდა, ახალი მწიგნობრული კერების დაწინაურების შედეგად მისი მნიშვნელობა დაეცა. ამან გამოიწვია ქართული სათვისტომოს გადაშენება. მიუხედავად ამისა, თითო–ოროლა ქართველ მოღვაწეს სინაზე შემდეგ ხანაშიც ვხვდებით. მაგალითად, XVI საუკუნის დამდეგს „მრავალითა საქონლითა“ მივიდა იქ ათაბაგის სახლის წარგზავნილი ამბროსი, 1747 წელს – მროველი მღვდელმთავარი ქრისტეფორე თუმანიშვილი, იმავე საუკუნის 80–იან წლებში – იონა გედევანიშვილი და სხვა.

სინის მთის ქართულ სიძველეთა შესწავლა ჯერ კიდევ გასული საუკუნის შუა წლებიდან დაიწყო. აქ პირველყოვლისა, უნდა მოვიხსენიოთ პ. უსპენსკი, რომელმაც გულდასმით გაიცნო სინის სავა-

ნის ქართული ხელნაწერები და სხვა სიძველენი, განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო ფსალმუნს (პაპირუსზე), რომლის ორი ფურცელი წამოიღო კიდეც (ამჟამად ეს ფურცლები ლენინგრადის მ. სალტიკოვ–შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში ინახება).

1885 წელს სინას ეწვია – ა. ცაგარელი. ის იყო პირველი მეცნიერი, რომელმაც საფუძვლიანად შეისწავლა სინის მთის ქართულ ხელნაწერთა კოლექცია და წარმოაჩინა სინა, როგორც ძველი ქართული სულიერი კულტურის დიდებული კერა. ა. ცაგარელი ზამთრის სუსხიან დღეებში ათვალიერებდა და სარდაფებში, ძველი ეკლესიების ნანგრევებში, მან ნახა და აღწერა 92 ხელნაწერი. ამასთანავე, მან არა მხოლოდ აღწერა სინური ხელნაწერები და კატალოგი გამოაქვეყნა, – თუმცა ამითაც უდიდესი სამსახური გაუწია ქართულ მეცნიერებას, – არამედ შენიშნა და გამოყო სინის მთის ქართული მწიგნობრულ–საგანმანათლებლო კერის ლიტერატურულ–შემოქმედებითი მუშაობის განსაკუთრებით ნაყოფიერი პერიოდი – X საუკუნე.

ახალი ეტაპი სინის მთის ქართული კოლონიის ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლის ისტორიაში იწყება მას შემდეგ, რაც სინას ეწვივნენ ნიკო მარი და ივანე ჯავახიშვილი (1902 წ.) მათ სრულად და ზუსტად აღწერეს იქაური ხელნაწერები დაბეჭდეს ყველა მეტნაკლებად მნიშვნელო-

ვანი ანდერძ–მინაწერი, გამოაქვეყნეს არაერთი თხზულება, ნ. მარისა და ი. ჯავახიშვილის წვლილი სინაზე დაცული ქართული ორიგინალური თუ თარგმნილი ძეგლების პუბლიკაციაში ერთობ დიდი და განსაკუთრებულია.

1950 წელს სინაზე იყო ცნობილი ბელგიელი აღმოსავლეთმცოდნე, გამოჩენილი ქართველოლოგი ჟერარ გარიტი, რომელმაც გამოაქვეყნა 38 ხელნაწერის აღწერილობა, აგრეთვე, რამდენიმე ძველქართული ძეგლი.

1956 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ბიბლიოთეკამ ვაშინგტონის კონგრესის ბიბლიოთეკიდან შეიძინა სინის მთის ქართულ ხელნაწერთა მიკროფილმები. ქართველმა მეცნიერებმა ინტენსიურად დაიწყეს ამ მასალის შესწავლა, უკვე გამოქვეყნდა არაერთი საყურადღებო ძეგლი და სინურ ხელნაწერთა აღწერილობის რამდენიმე ტომი. მუშაობა გრძელდება.

სინის მთის ქართულ სიძველეთა შემსწავლელებმა გაიცნეს და აღწერეს ქართული სავანის უაღრესად მდიდარი წიგნსაცავი, რომელიც გაოცებას იწვევს თავისი მრავალფეროვნებით. მათვე გამოავლინეს სინის მთის ქართველ მოღვაწეთა მაღალ წიგნიერ კულტურაზე მეტყველი საყურადღებო ფაქტიც – ნათელყვეს, რომ X საუკუნეში სინელ ქართველებს არა მხოლოდ მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონდა, არამედ სპეციალური

სამკითხველო დარბაზი, გულდასმით შედგენილი ხელნაწერი წიგნების ნუსხა და ერთგვარი კატალოგიც კი რასაკვირველია, სინის მთის ქართული წიგნსაცავი მხოლოდ ადგილზე დამზადებული ხელნაწერებიდან ბევრი ამჟამადაც ადგილზეა (იქვეა), ზოგი კი – თბილისში, ლენინგრადში, პრაღაში, გრაცში, ამერიკის შეერთებულ შატებში და სხვაგან.

სწორედ სინის მთის ქართული ხელნაწერების შესწავლამ წარმოაჩინა სინელ ქართველთა ლიტერატურული ინტერესები და მათი გონებრივი ჰორიზონტის სიფართოვე; ცხადყო, რომ სინის სავანე, სადაც ჩქეფდა ლიტერატურულ–შემოქმედებითი ცხოვრება, ქართული კულტურის ჭეშმარიტად დიდებული კერა იყო.

როგორც აღვნიშნეთ, თითო–ოროლა ქართველი სინის მთაზე უკვე VI საუკუნიდან ჩანს, მაგრამ ქართული სათვისტომო იქ მხოლოდ IX საუკუნეში დაარსდა. ამიტომ საუბარი სინელ მოღვაწეებსა და სინის ქართულ წიგნსაცავზე დავიწყოთ მხოლოდ IX საუკუნის მეორე ნახევრიდან. აქ ერთხელ კიდევ უნდა მოვიგონოთ ზემოთ დასახელებული ძვირფასი კრებული – 864 წლის მრავალთავი, რომელიც მაკარი ლეთეთელმა შესწირა სინის წიგნსაცავს.

ქართული კულტურის მძლავრ კერად მთა ძირითადად X საუკუნეში იქცა. სწორედ ამ პერიოდში გაიშალა იქ მრავალმხრივი ლიტერატურულ–სა-

განმანათლებლო საქმიანობა, რომელიც არსებითად პალესტინის ქართული მწიგნობრული ტრადიციების გაგრძელება იყო.

განსაკუთრებული ძალით გაიშალა ორიგინალურ–შემოქმედებითი მუშაობა: ვარაუდობენ, რომ სწორედ ამ პერიოდში თხზავდა დიდებულ ჰიმნებს გამოჩენილი ქართველი მწერალი იოანე მინჩხი, სრული სახით გამოვლინდა იოანე–ზოსიმეს შემოქმედებითი ნიჭი. უკვე აღვნიშნეთ, რომ იოანე–ზოსიმე ადრე საბას ლავრაში მოღვაწეობდა, როგორც ჩანს, შემდეგ ის სინის მთაზე გადავიდა და იქ განაგრძო კულტურულ–ლიტერატურული საქმიანობა, კერძოდ, დაწერა ორიგინალური თხზულებანი, შეადგინა კრებულები, დაამზადა ხელნაწერები, აღადგინა და განაახლა ძველი ნუსხები და ასე შემდეგ იოანე ზოსიმე სინის მთის ქართული სამწერლობო კერის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი.

X საუკუნეშივე მოღვაწეობდა სინის სავანეში ქართველ მწიგნობართა მრავალრიცხოვანი დასი. იქ იყვნენ მწერლები, კალიგრაფები, მაგალითად, მიქაელ კათამონელი, მიქაელ ფანასკერტელი იოანე კუმურდოვლი, თევდორე წყუდედელი, კვირიკე მიძნაძორელი, ეზრა ქობულვანის ძე და სხვანი. სწორედ მათი თავდადებული შრომით შეიქმნა ის მდიდარი წიგნსაცავი, რომელიც უკვე მოვიხსენიეთ. ამჯერად მხოლოდ იმას დავუმატებთ, რომ სწორედ ამ კოლექციამ შემოგვინახა მრავალი

ქართული ორიგინალური ძეგლი (ფილიპეს, იოანე მინჩხის, იოანე–ზოსიმეს, იოანე ბოლნელისა და სხვათა თხზულებანი), მანვე შემოგვინახა სასულიერო–საეკლესიო ხასიათის (ჰაგიოგრაფიული, ჰიმნოგრაფიული, ასტრონომიული, ასკეტიკური...) ძვირფასი კრებულები. ამ მასალის გათვალისწინებით ერთობ სრულად წარმოჩნდება სინის მთის ქართული სავანის როლი ჩვენი ეროვნული კულტურის განვითარების ისტორიაში, ნათლად ვლინდება, რომ სინას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი მწერლობისათვის, ადგილობრივი ლიტერატურული ძალების ორიგინალურ–შემოქმედებითი მუშაობისათვის.

სინის მთის ქართველ მოღვაწეებს კავშირ–ურთიერთობა ჰქონდა არაბულ–ქრისტიანულ სამყაროსთან, ქართულ–არაბულ კულტურულ–ლიტერატურული ურთიერთობის თვალნათლივ ადასტურებს რამდენიმე ფაქტი. სახელდობრ, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა კოლექციას შემოუნახავს კვალი არაბული დამწერლობისა. ჩანს, არაბულ სამყაროში მოხვედრილმა ქართველებმა შეისწავლეს როგორც არაბული ენა, ისე დამწერლობაც; სინის მთის ქართულ ხელნაწერებში ხშირად გვხვდება არაბული მინაწერები: ცნობილია ქართული ხელნაწერები რვეულების არაბული ნუმერაციით (სიტყვებით), მოღწეულია არაბული ანბანი ქართველთათვის – თითოეული არაბული ასო განმარტებულია. ახსნილია ქართული შესატ-

ყვისით, გვხვდება არაბული ხელნაწერები რვეულებისა და ფურცლების ქართული ნუმერაციით, რაც საფიქრებელს ხდის ქართველთა მონაწილეობას არაბულ–ქრისტიანულ მწიგნობრობაში.

ქართველ მოღვაწეებს კიდევ უფრო მჭიდრო კონტაქტი და ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდათ საკუთრივ ქრისტიანი ხალხების წარმომადგენლებთან, სხვაენოვან ქრისტიანულ ლიტერატურასთან, რასაც მოწმობს თარგმანების სიმრავლე: არაა ინტერესს მოკლებული ის ფაქტიც, რომ ქართულ ხელნაწერებს აქვთ ბერძნული ჰაგინაცია, ხოლო ბერძნულს ქართული, ქართული ტექსტების სათაურები და ცალკეული სიტყვები დაწერილია ბერძნული ასოებით (ან პირუკუ) და ასე შემდეგ.

სინის მთის ქართული კოლონია მწიგნობრულ საქმიანობას განაგრძნობდა XI საუკუნეშიც. ჩვენთვის ცნობილია ამ ხნის არაერთი მოღვაწე (იოანე სინელი, მიქაელი, დავით მოძღვარი გიორგი მანაველი და სხვ.) მოღწეულია რამდენიმე მნიშვნელოვანი ხელნაწერი. მართალია, თავისი ძალითა და მასშტაბით ეს ხანა წინა საუკუნეს ვერ შეედრება, მაგრამ გარკვეულ ინტერესს მაინც იწვევს.

მკითხველებს, ალბათ, ახსოვთ, რომ 1981 წელს ა. შანიძემ გაზეთ „კომუნისტში“ გამოაქვეყნა წერილი ასეთი სათაურით: „ქართული მანუსკრიპტები (ძველი ხელნაწერების აღმოჩნა სინას მთაზე), მხცოვანმა მეცნიერმა გვაუწყა, რომ გერმანელი

ქართველოლოგის პროფესორი ულიუს ასფალგის ცნობით. სინის ერთ–ერთი მონასტრის წინამღვარს ფილოთეას მესამე სირიულ სიმპოზიუმიზე (დასავლეთ გერმანიაში) განუცხადებია სინაზე უცნობი ქართული ხელნაწერების აღმოჩენის შესახებ. გასულ წელს ქართველმა მოღვაწეებმა ინახულეს სინის მთის წმინდა გიორგის ეკლესიის სამალავში აღმოჩენილი ხელნაწერები. რომელთაგან ზოგიერთი ქართულია. ვიმედოვნებთ, ახლად აღმოჩენილი ხელნაწერების გაცნობითა და შესწავლით კიდევ უფრო სრული და ნათელი წარმოდგენა შეგვექმნება სინის ქართულ სავანეზე, კიდე უფრო დაზუსტდება მისი მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიაში.

ჯერ კიდევ პეტერბურგის დაარსებამდე ნევის ნაპირას გმირულად ებრძოდა რუსეთის მტრებს ქართველი უფლისწული, გენერალ–ფელდცეიხმეისტერი ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონი (1674–1711). შემდგომ წლებში იქ ხშირად ჩადიოდნენ ქართველი სახელმწიფო მოღვაწენი – მეფე–ბატონიშვილები და დიდებულები (ოჯახებითა და ამალით), მწერლები და მეცნიერები, სტამბის მუშაკები და კალიგრაფები. საფუძველი ჩაეყარა ქართულ ახალშენს. რუსეთის სატახტო ქალაქი თანდათან იქცა ქართველთა საზოგადოებრივ–კულტურული და ინტელექტუალურ–ლიტერატურული ცხოვრების კერად.

მოკლედ, მიმოვიხილავთ პეტერბურგის ქართუ-

ლი კულტურის კერის საქმიანობას, იქაურ ქართველთა ლიტერატურულ–მეცნიერულ მოღვაწეობას.

1725 წელს და მომდევნო წლებში პეტერბურგში მცირე ხნით იყვნენ გამოჩენილი ქართველი მოღვაწენი. საკმარისია დავასახელოთ ვახტანგ მეექვსე (1675–1737) – ძველი საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების კოლორიტული წარმომადგენელი, ქართველთა ინტელექტუალური საქმიანობის აღიარებული ხელმძღვანელი, კულტურულ–შემოქმედებითი მუშაობის ნიჭიერი ორგანიზატორი, იდეური წინამძღოლი და პრაქტიკული მეთაური, ცნობილი მეცენატი და მხატვრული სიტყვის დიდოსტატი; ვახუშტი ბაგრატიონი (1696–1757) – დიდი მეცნიერი – გეოგრაფი და ისტორიკოსი, დახელოვნებული კარტოგრაფი; მელიქისედეკ კავკასიძე – გაწაფული კალიგრაფი და ა. შ. ცნობილია მათი შემოქმედებითი მუშაობის არაერთი ფაქტი. ვახტანგ მეექვსემ პეტერბუგში დაწერა რამდენიმე ლექსი, ვახუშტი ბაგრატიონმა თარგმნა რუსული წიგნები, მელიქისედეკ კავკასიძემ გაამრავლა ხელნაწერები და სხვა.

1736 წელს „სამეუფოსა ქალაქსა პეტერბურგს“ იმყოფებოდა „მრავალ განსაცდელ შემთხვეული“ პოეტი ვახტანგ ორბელიანი. რომელმაც თანამემამულეთა რჩევით ინახულა პეტერჰოფი და ვრცლად აღწერა მისი ბაღები და სასახლეები.

1761 წელს პეტერბურგში ჩავიდა ქართლის

მეფე თეიმურაზ მეორე (1700–1762), რომელმაც რუსეთის ხელისუფლებას ირანის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის გეგმა წარუდგინა. თეიმურაზი დაუახლოვდა იქაურ საზოგადოებას, მონაწილეობდა საზეიმო შეკრებებში ესწრებოდა სპექტაკლებსაც (პეტერჰოფში) იყო რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სტამბაშიც, სადაც მისი თანდასწრებით ააწყვეს და დაბეჭდეს მცირე ზომის ტექსტი (ქართულად და რუსულად) – მისალმება თეიმურაზისადმი. ცნობილია თეიმურაზის მიერ პეტერბურგში დაწერილი ლირიკული ნაწარმოებები: კიდურწერილობა („ვითა ფერობს სიკეთესა შენსა, ეგრეთ საქებელხარ დიდედა ევროპიასა შინა დასავით საყვარელო ჩემო“), ანბანთქება („აღივსო გულიცა ჩემი...“), და გაბაასება რუსთველთან („ყოველთა მელექსეთა უმჯობესსა, დიდსა ფილოსოფიისა მცოდნესა, ბერძენს რუსთველსა ზედა ბაასი პეტერბურგს“). სამივე 1761 წელსაა დაწერილი. სამივეში ერთი და იგივე ქალი – ბარბარე ალექსანდრეს ასული ბუტურლინაა შექებული და შემკული. ეს გარემოება არსებითად ერთი ციკლის ნაწარმოებებად წარმოგვიდგენს დასახელებულ სამიჯნურო–სატრფიალო ლექსებს.

ხანდაზმულმა მგოსანმა ახალგაზრდული აღტკინებითა და ჭაბუკური გატაცებით შეამკო რუსი მანდილოსანი, მაგრამ თავისი ნაღვაწი საკმარისად არ ჩათვალა – „მე უსწავლელსა ვით მეძლოს“,

„ბრძენს უნდა ექო იმისი ციმციმი და ბრწყინვალებანიო“. ასეთ ბრძენად მას რუსთაველი მიაჩნია.

პეტერბურგში დაწერილ ლექსებში თეიმურაზმა დაიცვა და განავითარა არჩილ ბაგრატიონის მიერ დამკვიდრებული „მართლის თქმის“ პრინციპი ენერგიულად გაილაშქრა არა არსებულ პირთა შექებისა და ზღაპრულ–ფანტასტიკური სიუჟეტების დამუშავების წინააღმდეგ, კატეგორიულად უარყო ზღაპრული, სიტუაციების აღწერა და გამოგონილ პირთა თავგადასავლის გადმოცემა, დაბეჯითებით მოითხოვა კონკრეტულ–ისტორიული ფაქტებისა და რეალურ პირთა ცხოვრების მხატვრული ასახვა.

ქართველთა მოღვაწეობამ პეტერბურგში განსაკუთრებული გაქანება მიიღო მას შემდეგ, რაც იქ მრავლად ჩავიდნენ და სამუდამოდ დასახელდნენ ქართული სამეფო კარის წარმომადგენლები თავიანთი მრავალრიცხოვანი ამალით.

XIX საუკუნის დამდეგს პეტერბურგში თავი მოიყარა ბევრმა ქართველმა მწიგნობარმა (იოანე ბაგრატიონმა, დავით ბაგრატიონმა, თეიმურაზ ბაგრატიონმა, გაბრიელ რატიშვილმა, გიორგი ავალიშვილმა, იონა ხელაშვილმა, პეტრე ქებაძემ, პეტრე ლარაძემ, სიმონ ტაბიძემ და ა. შ.). რუსეთის დედაქალაქი იქცა ქართული კულტურის უმნიშვნელო კერად.

პეტერბურგის ქართველობამ საფუძვლიანად შეისწავლა რუსულ–ევროპული მეცნიერება და

ლიტერატურა, გააჩაღა მრავალმხრივი ორიგინალურ–შემოქმედებითი თუ მთარგმნელობითი საქმიანობა. შეავსო და გაამდიდრა მშობლიური ლიტერატურული საგანძური.

პეტერბურგში დაიწერა ბევრი ქართული სამეცნიერო თუ მხატვრული თხზულება, რუსულიდან ითარგმნა დიდძალი ლიტერატურა (მხატვრული, საისტორიო, გეოგრაფიული, სამედიცინო და ა. შ. განსაკუთრებული სიმრავლის გამო ძნელია მთარგმნელთა თუ თარგმნილ ძეგლთა დასახელება, მაგრამ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ სწორედ პეტერბურგელმა ქართველებმა – თეიმურაზ ბაგრატიონმა და სოლომონ რაზმაძემ აამეტყველეს პირველად ჩვენს ენაზე ალექსანდრე პუშკინი). რუსულიდანვე ითარგმნა მრავალი ევროპელი ავტორის (ვოლტერის, ჟან ანსილიონის, ადამ ფერიგიუსონისა და სხვ.) ნაწარმოებები, გაჩაღდა სასტამბო–საგამომცემლო საქმიანობა და დაიბეჭდა არაერთი ქართული წიგნი (დიმიტრი ბაგრატიონი „წამება ქეთევან დედოფლისა“ – 1819 წელს, გოდერძი ფირალიშვილის „თვითმასწავლებელი“ – 1820 წელს და „საზოგადო მდივნობაი“ – 1821 წელს, აგრეთვე ბაგრატ ბაგრატიონის, ტარასი მესხიშვილისა და სხვათა მიერ რუსულიდან თარგმნილი თხზულებანი), იქვე რუსულ ენაზე გამოქვეყნდა ქართველი ავტორების წიგნები (სახელდობრ დავით ბაგრატიონის „ახალი შიხი“, ვახტანგ ბაგრატიონის „წერილები“ და სხვ.).

რუსეთის დედაქალაქში დამკვიდრებულმა ქართველებმა მხურვალედ შეიყვარეს თავიანთი ახალი საცხოვრებელი ადგილი, იქაური გარემო, ადგილობრივი მოსახლეობა. ისინი ხშირად წერდნენ პეტერბურგზე (გაბრიელ რატიშვილი, ნიკოლოზ ონიკაშვილი, თეიმურაზ ბაგრატიონი, იონა ხელაშვილი და სხვ.), აღტაცებით წარმოაჩენდნენ მის სიდიადესა და სილამაზეს, უწოდებდნენ „დიდ ქალაქს“ (მელიქისედეკ კავკასიძე), „ყოვლად მშვენიერ ქალაქს“ (გაბრიელ რატიშვილი).

ქართველი და რუსი ხალხების ღირსეული შვილების მეგობრობა და მეცნიერულ–ლიტერატურული თანამშრომლობა ნათლად ჩანს პეტერბურგში მოღვაწე ქართველებისა და რუსული კულტურის მუშაკთა ურთიერთობაში.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია ქართველ ემიგრანტთა ინტენსიური მეცნიერული მუშაობა, რომელიც დაგვირგვინდა პეტერბურგის ქართველოლოგიური სკოლის ჩამოყალიბებით. სკოლისა, რომლის სათავეებთან იდგა თეიმურაზ ბაგრატიონი, განუსაზღვრელია ის წვლილი, რომელიც ამ სკოლამ შეიტანა ქართველოლოგიის განვითარებაში.

ამრიგად, პეტერბურგი იქცა როგორც ქართული ლიტერატურის, ისე ქართული მეცნიერების დიდ ცენტრად. იქ მხარდამხარ იღვწოდნენ ქართველი მწერლები და მეცნიერები (ხშირად მწერალი თვით იყო მეცნიერიც და პირუკუ), ერთ წერილში

ყველა მათგანის საქმიანობის მიმოხილვა კი არა, დასახლებაც ძნელია, ამიტომ ამჯერად მხოლოდ ორ მოღვაწეზე შევჩერდით – იოანე და თეიმურაზ ბაგრატიონებზე ვიტყვით რამდენიმე სიტყვას.

იოანე ბაგრატიონი (1768–1830) დიდი ქართველი განმანათლებელი ან როგორც ხშირად აღნიშნავენ ნამდვილი ენციკლოპედისტია. მან ჯერ საქართველოში ყოფნისას გამოიჩინა თავი როგორც სახელმწიფოებრივი პოლიტიკურ ასპარეზზე ისე საზოგადოებრივ–კულტურულ სფეროში. 1801–1830 წლებში იგი ცხოვრობდა პეტერბურგში. დაუახლოვდა რუს ინტელიგენციას. ეზიარა რუსულ კულტურას, იქ გაიღრმავა საქართველოში მიღებული ცოდნა, გააჩაღა ნაყოფიერი ლიტერატურული მოღვაწეობა, გაშალა მეცნიერული საქმიანობაც.

სწორედ პეტერბურგში ცხოვრების პერიოდში პეტერბურგის ქართულ ახალშენში შექმნა იოანე ბაგრატიონმა საყურადღებო ორიგინალური მხატვრული თხზულებანი და მნიშვნელოვანი მეცნიერული ნაშრომები, იქვე თარგმნა მრავალი ნაწარმოები.

იოანე ბაგრატიონის კულტურულ–ლიტერატურული და მეცნიერული მემკვიდრეობიდან განსაკუთრებით საყურადღებოა „კალმასობა“, „საქართველოს ისტორია“, „სჯულდება“, „ქართული ენის გრამატიკა“, „ბუნებისმეტყველება“, საარტილერიო წიგნი, ქართული ლექსიკონი, რუსულ–ქარ-

თული ლექსიკონები და სხვ. მისი თარგმანებიდან უნდა მოვიხსენიოთ ადამ ფერგიუსონის „მოძღვრება ზნეობითი ფილოსოფიისა“ აბატ კონდილიაკის „ლოგიკა“, გაბრიელ დერჟავინის „ღმერთი“, სპარსული „სელანიანი“. საინტერესოა იოანე ბაგრატიონის პოეტური მემკვიდრეობა, აგრეთვე, მისი ჩანახატები.

უკვე უბრალო ჩამოთვლა იოანე ბაგრატიონის ორგინალური თუ თარგმნილი თხზულებებისა (რომელთა რიცხვი რამდენიმე ათეულია) ცხადყოფს, რომ სწავლული ბატონიშვილი მართლაც უაღრესად მრავალმხრივი მოღვაწე იყო. ამ თხზულებათა მიმოხილვა (კი არა ჩამოთვლაც) დიდ ადგილს მოითხოვს და ჩვენ ამას არ ვაპირებთ, მაგრამ ორიოდე სიტყვით მაინც უნდა მოვიხსენიოთ „კალმასობა“.

„კალმასობა“ ჭეშმარიტად ენციკლოპედიური ხასიათის ნაშრომია. იგი ნათლად ავლენს ავტორის მხატვრულ გემოვნებასაა და ფართო ერუდიციას, თხზულებაში სრულადაა წარმოდგენილი იმდროინდელი საქართველოს სახელმწიფოებრივ–პოლიტიკური თუ სოციალ–ეკონომიკური მდგომარეობა ეთნოგრაფიული ყოფა, საზოგადოებრივი ცხოვრება. შორეულ პეტერბურგში დასახლებულმა მწერალმა თავის მიზნად თანამემამულეებში ეროვნული გრძნობის გაღვივება, მათთვის მეცნიერების სხვადასხვა დარგის მიღწევების გაცნობა დაისახა, უნდა ითქვას, რომ მან

ბრწყინვალედ გაართვა თავი ამოცანას – „კალმასობაში“ აშკარად შეინიშნება პატიოტული ტენდენცია, წინა პლანზეა მეცნიერული ცოდნის პროპაგანდა.

„კალმასობის“ ორივე პლასტი – ლიტერატურულ–მხატვრული თუ მეცნიერულ–საგანმანათლებლო – დიდი ოსტატობითა და რუდუნებითაა დაწერილი და ეპოქის დონისა და მოთხოვნილების შესაბამისადაა შესრულებული. თხზულება, რომელიც 1813–1828 წლებში დაიწერა, ორგანულ კავშირშია როგორც ძველ საქართველოსთან, ისე ახალ ეპოქასთან.

თეიმურაზ ბაგრატიონი (1782–1846) გამოჩენილი ქართველი მოღვაწეა – ღრმად განსწავლული მეცნიერი, მრავალმხრივი მკვლევარი – ისტორიკოსი, რუსთველოლოგი ლექსიკოგრაფი, ფოლკლორისტი, ნუმიზმატი და სხვ. თუ იმასაც მოვიგონებთ, რომ თეიმურაზი ამავე დროს იყო პოეტი, დრამატურგი, მთარგმნელი, მემუარისტი და მუშაობდა მეცნიერების სხვა დარგებშიც (ფიზიკაში, გეომეტრიაში, ბოტანიკაში, ზოოლოგიაში, იურისპრუდენციაში და ა. შ.) მაშინ კიდევ უფრო სრულად წარმოგვიდგება მისი ბუმბერაზული მეცნიერულ–ლიტერატურული ფიგურა.

აი, ასეთმა მრავალმხრივმა მოღვაწემ ჩაუყარა საფუძველი პეტერბუგის ქართველოლოგიურ სკოლას.

რადგან სიტყვა ჩამოვარდა პეტერბურგის ქარ-

თველოლოგიურ სკოლაზე, უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი გარემოება: ქართველოლოგიას კარგა ხნის ისტორია აქვს, მისი საწყისები საუკუნეთა წყვდიადში იმალება, რომ არაფერი ვთქვათ XII საუკუნის უდიდეს ქართულ სასწავლო–სამეცნიერო ცენტრებზე – გელათისა და იყალთოს აკადემიებზე, საკმარისია მოვიგონოთ სულხან–საბა ორბელიანი – დიდი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, შესანიშნავი ლექსიკოგრაფი და მეცნიერ–რედაქტორი, ჩვენს მიერ უკვე დასახელებული ვახტანგ მეექვსე და ვახუშტი ბაგრატიონი. ასევე დიდი მეცნიერული ანტონ ბაგრატიონი და სხვა. ასე რომ პეტერბურგის სკოლამ კი არ ჩაუყარა საფუძელი ქართველოლოგიას, არამედ მყარ მეცნიერულ ნიადაგზე დააფუძნა იგი და ხელი შეუწყო ამ დარგის შემდგომ ზრდა–განვითარებას. ამ სკოლის თავკაცი, როგორც აღვნიშნეთ, თეიმურაზ ბაგრატიონი იყო.

ამთავითვე უნდა დავიმოწმოთ გამოჩენილი ფრანგი მეცნიერის, აკადემიკოს მარი ბროსეს (1802–1880) გამონათქვამი, რომელშიც ზუსტადაა წარმოჩენილი თეიმურაზის პიროვნება: „მე არ შემიძლია განუცვიფრებლად მოვიხსენიო თეიმურაზ ბატონიშვილი, რომელშიც მაღალი ზნეობა შეერთებულია განათლებულ გონებასა და ვრცელ მეცნიერებასთან, რომელიც მწერლობით შრომაში პოულობს კეთილშობილურ გასართობს, რომლის მიზანია თავისი შრომით უკვდავყოს ხსენება

თავისი ერისა, რომლის მდაბალ მოწაფედ, სინდისის ქვეშ უნდა ვთქვა – ვაღიარებ ჩემს თავს“.

თეიმურაზი 1811 წელს ჩავიდა რუსეთში, დასახლდა პეტერბურგში. დაუახლოვდა ადგილობრივ მოწინავე საზოგადოებრიობას – მწერლებს, მხატვრებს, მეცნიერებს, სამეცნიერო ორგანიზაციებს, სათავეში ჩაუდგა ქართულ ახალშენის მკვიდრთ, მხარში ამოუდგა თავის მწერალ–მეცნიერ ძმებს – იოანესა და დავითს, მოძღვრად და მფარველად მოევლინა ქართულ ინტელიგენციის მომავალ თაობას – პლატონ იოსელიანს, დავით ჩუბინაშვილს, სოლომონ დოდაშვილს, სოლომონ რაზმაძეს.

საგანგებოდ უნდა მოვიხსენიოთ თეიმურაზ ბაგრატიონისა და მარი ბროსეს მეცნიერულ–შემოქმედებითი ურთიერთობა და ნაყოფიერი თანამშრომლობა, რომელმაც ცხოველმყოფელი გავლენა მოახდინა ორივეს საქმიანობაზე და უფრო მეტიც – საერთოდ ქართველოლოგიის განვითარებაზე.

თეიმურაზ ბაგრატიონის კულტურულ–ლიტერატურული მემკვიდრეობის მიმოხილვა მოკლე წერილში შეუძლებელია, მაგრამ არ შეიძლება არ დავიმოწმოთ მისი ორი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ნაშრომი: 1. „ისტორია დაწყებითგან ივერიისა, ესე იგი გიორგისა, რომელ არს სრულიად საქართველოისა“ – პირველწყაროების გულმოდგინე ანალიზის საფუძელზე დაწერილი მოზრდილი წიგნი, რომელიც ავტორის გარდაცვალების

ორი წლისთავზე – 1848 წელს გამოქვეყნდა. 2. „განმარტება პოემა „ვეფხისტყაოსნისა“, რომელიც მხოლოდ ჩვენს ხანაში დაიბეჭდა და დღემდე ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას – იგი რუსთველოლოგთა სამაგიდო წიგნია და ნათლად ავლენს მისი ავტორის დამსახურებას ეროვნული კულტურის წინაშე.

საგულისხმოა, რომ თეიმურაზ ბაგრატიონის დიდი ღვაწლი დროულად აღინიშნა და დაფასდა. 1837 წელს თეიმურაზი აირჩიეს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრად; ეს, რასაკვირველია, პეტერბურგის ქართველოლოგიური სკოლის დიდი დამსახურების აღიარებაც იყო. ამ სკოლაში თეიმურაზის მხარდამხარ იღვწოდნენ ქართველი კულტურის გამოჩენილი მოამაგენი – მარი ბროსე და დავით ჩუბინაშვილი, შემდგომ ხანაში – ალექსანდრე ცაგარელი და ნიკო მარი.

თეიმურაზ ბაგრატიონის მიერ საფუძველჩაყრილი პეტერბურგის ქართველოლოგიური სკოლის მნიშვნელობა ჩვენი ეროვნული კულტურისა და მეცნიერების ისტორიაში ძალზე დიდია და მისი გადაჭარბებით შეფასება შეუძლებელია. ჩვენ ისღა დაგვრჩენია დავძინოთ, რომ არსებითად პეტერბურგის ქართველოლოგიური სკოლის გავლენით მომზადდა ქართველ მოღვაწეთა სახელოვანი თაობა, რომელმაც შემდეგ საქართველოში განაგრძო მრავალმხრივი შემოქმედებითი საქმიანობა, ძირითადად თბილისის უნივერსიტეტში,

რომელმაც აითვისა და განავითარა პეტერბურგის ქართველოლოგიური სკოლის სახელოვანი ტრადიციები, წინ წასწია და აამაღლა ჩვენი ეროვნული კულტურა და მეცნიერება. ასე გაიდო ხიდი პეტერბურგის ქართული კულტურის კერასა და საქართველოს შორის.

ამ წიგნის უშუალო ადრესატისათვის ინტერესმოკლებული ნამდვილად არ იქნება თუ საზღვარგარეთ არსებულ ძველ ქართულ ხელნაწერებზეც გავამახვილებთ ყურადღებას, რამეთუ პედაგოგიკისა და კულტურის ფაკულტეტის სტუდენტთათვის აღნიშნული საკითხები საკმაოდ პრეროგატიულია. დიახ ქართული ლიტერატურა ერთ–ერთი უძველესი ლიტერატურაა თავისი იდეური სიღრმითა და მრავალფეროვნებით. მას საპატიო ადგილი უჭირავს მსოფლიო კულტურის საგანძურში.

დიდი ისტორიული და მხატვრული ღირებულება აქვს ძველ ქართულ ლიტერატურას (V-XVIII სს.). იგი კარგად გვაცნობს ჩვენი ხალხის ცხოვრების გზას, მის პოლიტიკურსა და ეკონომიკურ მდგომარეობას სოციალურ წყობას, ეთნოგრაფიულ ყოფას, სახელმწიფოებრივ მშენებლობას; მას კარგად შემოუნახავს მრავალსაუკუნოვანი ქართული ენა, ერთობ დიდია მისი მხატვრული ღირსება.

მკითხველებს მოეხსენებათ, რომ ძველი ქართული სულიერი კულტურის ამსახველი ძეგლები გვიან ხანამდე ხელნაწერების სახით მრავლდებო-

და და ვრცელდებოდა. მხოლოდ XVIII საუკუნის დამდეგს შეიქმნა ხელსაყრელი პირობები თბილისში ქართული სტამბის დაარსებისათვის. ეს საქმე ითავა მწერალმა და მეცნიერმა ვახტანგ ბაგრატიონმა (1675–1737). მან დააარსა სტამბა (1709 წ.) და გააჩაღა ფართო საგამომცემლო საქმიანობა. ამ სტამბის, – აგრეთვე, რამდენიმე მოგვიანებით აღმოცენებული სხვა ქართული სტამბების, – სახელმწიფოებრივ–საზოგადოებრივი და კულტურულ–საგანმანათლებლო მნიშვნელობა განუზომელია, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ნაბეჭდმა წიგნმა კარგა ხანს ვერ შეცვალა ხელნაწერი. მართალია, თბილისის სტამბა მალე იქცა საერთო–ქართულ დაწესებულებად – მისი პროდუქცია მთელ საქართველოში ვრცელდებოდა, მაგრამ იგი, რასაკვირველია, ვერ აკმაყოფილებდა მკითხველთა მოთხოვნილებას, რის გამოც ხელნაწერთა გამრავლება კვლავ ინტენსიურად გრძელდებოდა.

ასე რომ, ადრეული ხანიდან – V-VI საუკუნეებიდან – ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის მიწურულამდე ხელნაწერთა გამრავლება ქართულ თხზულებათა გავრცელების უმთავრესი საშუალება იყო, ძირითადად სწორედ ხელნაწერებმა შემოგვინახა წინაპრების მიერ ნაანდერძევი კულტურულ–ლიტერატურული მემკვიდრეობა – ქართველთა ეროვნული სიამაყე. მით უფრო დასანანია, რომ ხელნაწერების დიდი ნაწილი და-

იღუპა და განადგურდა, ნაწილი კი უცხოელთა მფლობელობაშია.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქართული კულტურა ინტენსიურად ვითარდებოდა როგორც საკუთრივ საქართველოში, ისე საზღვარგარეთ. ქართველმა მოღვაწეებმა ნაყოფიერი კულტურულ–აღმშენებლობითი და მწიგნობრულ–საგანმანათლებლო საქმიანობა გააჩაღეს სამშობლოში, სირია–პალესტინაში, ბიზანტიაში, რუსეთში. ქართველთა სამოღვაწეო პუნქტებში – ჩვენში თუ უცხოეთში, – გაჩაღებული იყო მრავალმხრივი მუშაობა: იქმნებოდა ხუროთმოძღვრებისა და ფერწერის დიდებული ნიმუშები, ჩქეფდა ლიტერატურული ცხოვრება, იწერებოდა ორიგინალური თხზულებანი, ითარგმნებოდა საყურადღებო ძეგლები, დგებოდა სხვადასხვა ხასიათისა და შინაარსის კრებულები, მრავალდებოდა ხელნაწერები, მდიდრდებოდა ეროვნული კულტურის საგანძური.

ქართული კულტურის, კერძოდ, ჩვენი მშობლიური ლიტერატურის ისტორიაში ადგილობრივი – საკუთრივ საქართვლეოში არსებული კერების მნიშვნელობა განუსაზღვრელია, მაგრამ საზღვარგარეთ აღმოცენებულმა სავანეებმაც დიდი როლი შეასრულეს ქართველთა ინტელექტუალურ–ლიტერატურულ წინსვლა–განვითარებაში. რომელი ერთი დავასახელოთ?

საბაწმიდა – ქართული მწიგნობრობის უძველე-

სი კერა საზღვარგარეთ (იერუსალიმის ახლოს).

სინა – ქართველთა უშორესი სამეცნიერო–საგანმანათლებლო და მწიგნობრულ–ლიტერატურული კერა, რომლის დაარსების 1000 წლისთავი 1982 წლის შემოდგომაზე ვიზეიმეთ.

ჯვარი – ქართველთა სულიერ–ლიტერატურული ცხოვრების ცენტრი პალესტინაში.

შავი მთა – ისტორიულ სირიაში, ამჟამად თურქეთის მფლობელობაშია;

პეტრიწონი – ქართული ფილოსოფიური აზროვნების ცენტრი ბულგარეთში და სხვა.

ზოგადად მიმოვიხილოთ ზოგიერთი მათგანის წიგნსაცავი.

სინა, სინას მთა, როგორც აღვნიშნეთ, ქართველთა უშორესი სამოღვაწეო პუნქტია ახლო აღმოსავლეთში. იგი აღმართულია არაბეთის ნახევარკუნძულის დასავლეთით – სინის ნახევარკუნძულის სამხრეთ სექტორში. სინის მთის კალთაზე, 1528 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს ეკატერინეს მონასტერი, რომელმაც მრავალი მოღვაწე მიიზიდა. ქართული სათვისტომო იქ, IX საუკუნეში აღმოცენდა, ხოლო X საუკუნეში სინა ჩვენი ეროვნული კულტურის უდიდეს კერად იქცა. სწორედ მაშინ შეიქმნა და გამდიდრდა იქაური წიგნსაცავი, რომელიც გვაოცებს თავისი მრავალფეროვნებით.

სინის მთის ქართულ სიძველეთა შესწავლა ჯერ კიდევ გასული საუკუნის შუა წლებიდან დაიწყო.

უწინარეს ყოვლისა, უნდა მოვიხსენიოთ რუსი სწავლული პ. უსპენსკი, რომელიც გაეცნო სინის სავანის ქართულ ხელნაწერებს და განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო ფსალმუნს (პაპირუსზე), რომლის ორი ფურცელი წამოიღო კიდეც.

1883 წელს სინამს ეწვია ა. ცაგარელი. ის იყო პირველი მეცნიერი, რომელმაც საფუძვლიანად შეისწავლა სინის მთის ქართულ ხელნაწერთა კოლექცია. მან ნახა და აწერა 92 ხელნაწერი; ამასთანავე, არა მხოლოდ აღწერა იქაური ხელნაწერები და კატალოგები გამოაქვეყნა (1888 წ.), არამედ შენიშნა და გამოყო სინის მთის ქართული მწიგნობრულ–საგანმანათლებლო კერის ლიტერატურულ–შემოქმედებითი მუშაობის განსაკუთრებით ნაყოფიერი პერიოდი – X საუკუნე.

ახალი ეტაპი სინის მთის ქართული კოლონიის ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლის ისტორიაში დაიწყო მას შემდეგ, რაც სინას ეწვივნენ ნ. მარი და ი. ჯავახიშვილი (1902 წ.). მათ სრულად და ზუსტად აღწერეს იქაური ხელნაწერები (სახელდობრ, 88 ხელნაწერი) გამოავლინეს არაერთი უცნობი ქართველი მწიგნობარი და ორიგინალური თუ ნათარგმნი თხზულება. მათი წვლილი სინურ ხელნაწერებში შემონახული ძეგლების პუბლიკაციაში ერთობ დიდია (სახელდობრ, ნ. მარის წიგნში დაიბეჭდა „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“, ფილიპეს ლექსი, ნინოს საგალობელი და სხვ; ივანე ჯავახიშვილი წიგნში – იოანე მინჩხის

ჰიმნები, „კრებაი თუეთაი წელიწადისათაი“ ეფრემ ასურის წავლანი და ა. შ.).

1927 წელს სინის მთის ქართულ ხელნაწერებს გაეცნო ამერიკელი ქართველოლოგი რ. ბლეიკი.

1950 წელს სინაზე იყო ბელგიელი აღმოსავლეთმცოდნე ჟ. გარიტი, რომელმაც გამოაქვეყნა 38 ხელნაწერის აღწერილობა. მისი ცნობით, მაშინ სინაზე ინახებოდა 85 ქართული ხელნაწერი (ერთი პაპირუსზე, 54 ეტრატზე, 30 ქაღალდზე). ჟ. გარიტის დამსახურება სინის მთის ქართველთა კულტურულ–ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლაში მხოლოდ ხელნაწერების აღწერით არ ამოიწურება. მკვლევარმა კრიტიკულად დაადგინა და მეცნიერულად გამოსცა რამდენიმე ათეული ძველი ქართული (ორიგინალური თუ თარგმნილი) თხზულება.

სინის მთის ქართულ ხელნაწერთა კოლექციამ შემოგვინახა მრავალი ქართული ორიგინალური ძეგლი (ფილიპეს, იოანე მინჩხის იოანე–ზოსიმეს, იოანე ბოლნელისა და სხვათა ხზულებანი), მანვე შემოგვინახა სასულიერო–საეკლესიო ხასიათის (ჰაგიოგრაფიული ჰიმნოგრაფიული, ასტრონომიული, ასკეტიკური...) კრებულები. ამ მასალამ სრულად წარმოაჩინა სინის ქართული სავანის როლი ჩვენი ეროვნული კულტურის განვითარების ისტორიაში. სხვათა შორის, გამოვლინდა სინის მთის ქართველ მოღვაწეთა მაღალ წიგნიერებაზე მეტყველი საყურადღებო ფაქტიც – გაირკ-

ვა, რომ X საუკუნეში სინელ ქართველებს არა მხოლოდ მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონდათ, არამედ სპეციალური სამკითხველო დარბაზი, საგანგებოდ შედგენილი ხელნაწერი წიგნების ნუსხა და ერთგვარი კატალოგიც კი.

1956 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ბიბლიოთეკამ ამერიკის კონგრესის ბიბლიოთეკიდან შეიძინა სინის მთის ქართულ ხელნაწერთა მიკროფირები. ქართველმა მეცნიერებმა ინტენსიურად დაიწყეს ამ მასალის შესწავლა. უკვე გამოქვეყნდა არაერთი საყურადღებო ძეგლი (საკმარისია დავასახელოთ ხელნაწერთა ინსტიტუტის ფუნდამენტური პუბლიკაციები „ძილისპირნი და ღმრთისმშობლისანი“ (1971 წ.) და „უძველესი იადგარი“ (1980 წ.), რომლებიც ძირითადად სინურ ხელნაწერთა საფუძველზე მომზადდა. აქვე უნდა მოვიხსენიოთ იმავე ინსტიტუტის მიერ გამოცემული სინური ხელნაწერთა აღწერილობის რამდენიმე ტომი. მუშაობა გრძელდება.

ორიოდე წლის წინ ქართველმა მოღვაწეებმა ინახულეს სინის მთის წმინდა გიორგის ეკლესიის სამალავში აღმოჩენილი ხელნაწერები, რომელთაგან ზოგიერთი ქართულია რომელიც. ვიმედოვნებთ, ახლად აღმოჩენილი ხელნაწერების გაცნობითა და შესწავლით კიდევ უფრო სრული და ნათელი წარმოდგენა შეგვექმნება სინის ქართულ სავანეზე.

იმის საჩვენებლად, თუ რა სახისა და ხასიათის, რა მნიშვნელობის ძეგლებია დაცული სინის მთაზე, მხოლოდ ერთ ხელნაწერს დავიმოწმებთ – სინურ მრავალთავს 864 წლისა. ესაა უძველესი (პირველი) ქართული თარიღიანი ხელნაწერი – მაკარი ლეთეთელის, პიმენ კახის, ამონასა და სხვათა მიერ დამზადებული მოზრდილი კრებული, რომელშიც შემონახულია 18 ავტორის 50 თხზულება.

მრავალთავის ზოგიერთი ნაკვეთი ადრეც გამოქვეყნდა, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო და როგორც კი ჩვენამდე მოაღწია მთლიანმა მასალამ (მიკროფირისა და ფოტოფირის სახით), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრამ ა. შანიძის ხელმძღვანელობით იგი სრული სახით დაბეჭდა (1959 წ.).

ათონის მთის ქართული სავანე – ივირონი აღმოცენდა 980–983 წლებში. იგი მდებარეობს საბერძნეთში მთაწმინდის ვიწრო, გრძელ და მთაგორიანი ნახევარკუნძულის აღმოსავლეთ ნაწილში, ათონის მთის ქვედა კალათაზე, ეგოისის ზღვის პირას. დამაარსებლების – გამოჩენილი ქართველი მოღვაწეების – იოანესა და თორნიკეს ენერგიული ხელმძღვანელობით იგი მალე სავსებით დასრულებულ, ჩამოყალიბებულ ფეოდალურ–საეკლესიო სემინარიად იქცა. იქ აღმოცენდა ათონის ქართული ლიტერატურული სკოლა, რომელმაც უაღრესად დიდი როლი შეასრულა ჩვენი კულტუ-

რის ისტორიაში. როგორც კ. კეკელიძე აღნიშნავდა, „უიმისოდ ჩვენი კულტურის ისტორიას, შეიძლება, სხვა სახე და ხასიათი მიეღო“.

ივირონში გაჩაღებული კულტურულ–შემოქმედებითი საქმიანობის ინიციატორი და სულის ჩამდგმელი, იქაური ლიტერატურული სკოლის ფუძემდებელი და მამამთავარი იყო ექვთიმე ათონელი (955–1028). მის მიერ წამოწყებული საქმიანობა განაგრძო, განავითარა და გააღრმავა გიორგი ათონელმა (1009–1065).

ექვთიმეს, გიორგისა და სხვა ქართველ მწიგნობართა მრავალმხრივი ლიტერატურული მუშაობის შედეგად ივირონში შეიქმნა დიდი ბიბლიოთეკა, რომელმაც ნაწილობრივ დღემდეც მოაღწია.

ივირონი სწიგნსაცავის შესწავლა ქართველმა მოღვაწეებმა ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში დაიწყეს. პირველად უნდა მოვიხსენიოთ პ. იოსელიანი, რომელმაც 1849 წელს გაიცნო ათონის სიძველენი, კერძოდ ხელნაწერები, გამოიწერა იმხანად უცნობი ძეგლი „კოლაელთა მარტვილობა“, მოკლედ აღწერა რამდენიმე ხელნაწერი, წამოიღო გასამრავლებლად ბიბლიის ხელნაწერი და სხვა. ნაყოფიერი იყო დ. ბაქრაძის მუშაობაც ივირონის წიგნსაცავში, მაგრამ საგანგებოდ უნდა გამოვყოთ ა. ცაგარელის დამსახურება.

ა. ცაგარელი 1883 წელს ეწვია ივირონს. მან აღწერა ივირონის 86 ხელნაწერი დაასახელა ორიგი-

ნალური და თარგმნილი თხზულებანი, ავტორები და მთარგმნელები კალიგრაფები და მკაზმავები, დაახასიათა და წარმოაჩინა ათონის როლი ქართული კულტურის ისტორიაში მანვე გამოაქვეყნა რამდენიმე ათონური ძეგლი.

1898 წელს ქართველთა სავანეში იყო ნ. მარი, რომელმაც დეტალურად აღწერა რამდენიმე ხელნაწერი, შემდგომ წლებში ათონური ხელნაწერების მიხედვით გამოსცა არაერთი ძეგლი.

1902 წელს ივერთა მონასტერში მუშაობდა, ქართულ ხელნაწერებს სწავლობდა და პირებს ამზადებინებდა ა. ხახანაშვილი, რომელმაც რამდენიმე ძველი ტექსტიც გამოაქვეყნა.

1931 წელს ათონის სიძველენი გაიცნო, ქართულ ხელნაწერთა კოლექცია საფუძვლიანად შეისწავლა და ვრცლად აღწერა რ. ბლეიკმა. რომელმაც თავისი კატალოგი – 86 ქართული ხელნაწერის აღწერილობა ფრანგულად დაბეჭდა პარიზში (1932–1934 წ. წ.). ამ კატალოგის გამოქვეყნება ძალზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ჩვენს კულტურულ–მეცნიერულ ცხოვრებაში – გამოვლინდა არაერთი უცნობი მთარგმნელი და კალიგრაფი, ცნობილი გახდა ბევრი ხელნაწერი.

დასახელებულ მეცნიერთა აღწერილობებითა და გამოკვლევებით საკმაოდ სრულად გამოჩნდა ივირონის წიგნსაცავის მრავალფეროვნება, ნათელი გახდა, რომ ექვთიმე და გიორგი ათონელების, – აგრეთვე, მათი თანამოღვაწეებისა და მოწაფე-

ების, – რუდუნებითა და თავდადებით ათონზე მართლაც რომ უმდიდრესი ბიბლიოთეკა შეიქმნა.

ჩვენ არ ვაპირებთ ათონის ქართული სავანის ხელნაწერთა მიმოხილვას, მაგრამ არ შეგვიძლია არ მოვიხსენიოთ ძვირფასი ხელნაწერი, სახელდობრ ათონის ბიბლია, რომელიც დამზადებულია X საუკუნეში, 978 წელს. ისაა უძველესი თარიღიანი ნუსხა ქართული ბიბლიის შემცველ ხელნაწერთა შორის და ძველი აღთქმის წიგნების თარგმნისა და რედაქციის საკითხების შესწავლაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ჩვენი საუკუნის ათიან წლებში ოშკის ბიბლიის გამოცემას ხელი მიჰყო რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ ი. ჯავახიშვილმა, ი. ყიფშიძემ და ა. შანიძემ ტექსტიც გაამზადეს, ბეჭდვაც დაიწყეს, მაგრამ მსოფლიო ომმა მათ ეს საქმე შეაწყვეტინა.

1947–1948 წლებში ა. შანიძემ წამოიწყო ათონის ბიბლიის ბეჭდვა იმ სახით, როგორც ხელნაწერშია (მის ფოტოფირშია) წარმოდგენილი. გამოქვეყნდა მხოლოდ ორი ნაკვეთი.

ამჟამად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის კოლექტივი აგრძელებს მუშაობას ათონის ხელნაწერზე და იმედია, მალე მოგვაწვდის კრიტიკულად დადგენილ სრულ ტექსტს.

მკითხველისათვის უდავოდ ცნობილია, რომ რამდენიმე წლის წინ რეჟისორმა გ. პატარაიამ და თბილისის უნივერსიტეტის მეცნიერ–თანამშრო-

მელმა ა. მიქაბერიძემ ჩამოიტანეს ივირონის ქართული ხელნაწერების მიკროფირები. მალე დამზადდა მათი პირები და დაიწყო ამ მასალის შესწავლა. არსებითად ახალი ეტაპი დაიწყო ათონის ლიტერატურული სკოლის შესწავლის ისტორიაში. უკვე გვაქვს პირველი შედეგები: ი. ლოლაშვილმა გამოავლინა და გამოაქვეყნა უცნობი პოეტური ნიმუშები (1982 წ.), თბილისის უნივერსიტეტის ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის მიერ მომზადებულ კრებულში „ივირონი – 1000„ბ. კილანავამ დაბეჭდა (1983 წ.) „ილარიონ ქართველის ცხოვრების“ ათონური რედაქცია და სხვ. ბევრ რამეს გვპირდება უნივერსიტეტში დაარსებული ათონური ხელნაწერთა შემსწავლელი სამეცნიერო–კვლევითი ლაბორატორია, რომელსაც სათავეში ა. შანიძე ჩაუდგა.

საზღვარგარეთ დაცულ ქართულ ხელნაწერთა კოლექციათაგან ქრონოლოგიური რიგის მიხედვით მესამედ უნდა დავასახელოთ იერუსალიმის, – უფრო ზუსტად იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს, – წიგნსაცავი, სადაც ამჟამად ინახება 150–ზე მეტი ქართული ხელნაწერი. იქაა ჯვრის მონასტრის, აგრეთვე, იერუსალიმის სხვა ქართული ეკლესია–მონასტრების ხელნაწერები რომელთა დიდი უმრავლესობა გასული საუკუნის ბოლომდე ჯვრის სავანეში ინახებოდა.

ჯვრის მონასტერი ადრე იერუსალიმიდან ოდნავ მოშორებით – სამხრეთ–დასავლეთით იყო, ახლა

კი, ქალაქის გაზრდის შედეგად, მის ტერიტორიაზეა, ახალ კვარტალთა შუაგულში. ქართული სავანე იქ დაარსდა XI საუკუნის 30–50–იან წლებში და დაარსებისთანავე, – შავშელი მოღვაწის გიორგი პროხორეს ენერგიული კულტურულ–საგანმანათლებლო საქმიანობის შედეგად, – იქცა პალესტინის ყველა ქართული სათვისტომოს სულიერ–ლიტერატურულ ცენტრად. ინტენსიურად გაჩაღებული საქმიანობა წარმატებით გრძელდებოდა მრავალი წლის მანძილზე, რასაც თვალნათლივ წარმოაჩენს იქაურ ხელნაწერთა კოლექცია, რომელიც კარგა ხანია იქცა დაკვირვებისა და შესწავლის საგნად.

ეს კოლექცია ინტერესით გაიცნო იერუსალიმის ქართული კოლონიის პირველმა ისტორიკოსმა – მწერალმა და მოგზაურმა ტ. გაბაშვილმა, რომელიც იქ 1757–1758 წლებში იყო, ხოლო მეორე მწერალმა, დრამატურგმა გ. ავალიშვილმა 1820 წელს იქიდან 9 ძვირფასი ხელნაწერი წამოიღო (სხვათა შორის, მას მთელი კოლექცია შესთავაზეს, მაგრამ, სამწუხაროდ, გ. ავალიშვილმა ვერ გამოიყენა ეს შესანიშნავი მომენტი).

1845 წელს იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა ნაწილი გაიცნო და აღწერა არქეოლოგმა და ლექსიკოგრაფმა ნ. ჩუბინაშვილმა.

1883 წელს იერუსალიმში ჩავიდა ა. ცაგარელი. მან გაიცნო ჯვრის მონასტრისა და სხვა ქართულ სავანეთა სიძველენი, შეისწავლა ხელნაწერები,

გამოაქვეყნა მიმოხილვა ქართველთა მოღვაწეობისა ჯვრის მონასტერში, დაბეჭდა ჯვრის მონასტრის ხელნაწერთა კატალოგი (1888 წ.). მან ჯვრის სავანეში ნახა და აღწერა 138 ხელნაწერი, მან აღწერა ჯვრისეული, – გ. ავალიშვილის მიერ წამოღებული, – 8 ხელნაწერი (ე. ი. სულ 146 ხელნაწერი).

1902 წელს იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა კოლექცია გაიცნო ნ. მარმა. მართალია, დროის სიმცირის გამო, მან მხოლოდ მესამედის (ოდნავ ნაკლებისაც) გაცნობა მოასწრო, მაგრამ ეს ნაწილი საფუძვლიანად შეისწავლა და აღწერა. მეცნიერმა ჩაატარა უაღრესად შრომატევადი სამუშაო – ზუსტად განსაზღვრა აღწერილ ხელნაწერთა რაობა, გადმოიწერა მნიშვნელოვანი ანდერძ–მინაწერები და ა. შ. ყოველივე ამან ნ. მარის აღწერილობას, რომელიც 1955 წელს გამოაქვეყნა, ე. მეტრეველმა, დიდი მეცნიერული ღირებულება მოუპოვა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ნ. მარის დამსახურება იერუსალიმში დაცულ ქართულ ხელნაწერებში შემონახული ტექსტების პუბლიკაციაში. საკმარისია დავასახელოთ ნ. მარისათვის დამახასიათებელი მეცნიერული აკრიბიით გამოცემული წიგნები – ანტიოგე სტრატიგის „წარტყუევნაი იერუსალიმისაი“ (1909 წ.) „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ (1911 წ.) და „აღაპნი ჯუარის მონასტრისანი“ (1914 წ.) რომ ნათელი გახდეს, თუ რა

ფასდაუდებელი სამსახური გაუწია მკვლევარმა მეცნიერებას იერუსალიმის ქართული ხელნაწერების შესწავლა–პოპულარიზაციაში.;

მადლიერების გრძნობით უნდა მოვიხსენიოთ რ. ბლეიკი, რომელმაც შეისწავლა იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში და 1924–1926 წლებში ფრანგულ ენაზე დაბეჭდა ვრცელი აღწერილობა 158 ხელნაწერისა. რ. ბლიეკის კატალოგმა უთუოდ ხელი შეუწყო პალესტინელ ქართველთა კულტურულ–ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლას.

საკმაოდ ნაყოფიერი აღმოჩნდა იერუსალიმში მუშაობა ამერიკის კონგრესის ბიბლიოთეკის სამეცნიერო ექსპედიციისა (1949–1950 წ. წ.), რომელმაც გადაიღო იქაური ქართული ხელნაწერების მიკროფირები. ამის შედეგად ბევრი ხელნაწერის მიკროფირი და ფოტოაპარატი ახლა თბილისში გვაქვს. უკვე მოხერხდა, – ამ მიკროფირების საფუძველზე, – ზოგიერთი ძველი ტექსტის გამოქვეყნება. საკმარისია მოვიხსენიოთ „ბალავარიანის“ ვრცელი რედაქციის გამოცემა ილ. აბულაძის მიერ (1957 წ.). ასევე დიდად საყურადღებოა ე. მეტრეველის „მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის“ (1962 წ.), რომელშიც საინტერესო ტექსტებია გამოქვეყნებული და გაანალიზებული.

იერუსალიმის ქართული ხელნაწერების კოლექციაზე საბურისას არ შეიძლება საგანგებოდ არ

მოვიხსენიოთ კრებული, რომელმაც შემოგვინახა უდიდესი მნიშვნელობის ძეგლი „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“.

დღეს ყველას, ვისაც ქართული სკოლა დაუმთავრებია, მეტ–ნაკლებად წარმოდგენა აქვს ამ თხზულებასა და მის მთავარ გმირზე –გრიგოლ ხანძთელზე (759–861 წ. წ.) ადრე წინა საუკუნეებში ყოველ შემთხვევაში, XVIII-XIX საუკუნეებში მაინც, განსხვავებული ვითარება იყო „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ არ ჩანდა, გრიგოლის ვინაობაც ბურუსით იყო მოცული.

1845 წელს იერუსალიმში ყოფნის დროს ჯვრის ხელნაწერებში „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ იპოვა ზემოხსენებულმა ნ. ჩუბინაშვილმა, მაგრამ ამას დიდი შედეგი არ მოჰყოლია. მისი ნამდვილად აღმოჩენის პატივი ნ. მარს ხვდა წილად. მან. 1902 წელს წაიკითხა ეს ძეგლი და კარგად გაიგო, თუ რა მნიშვნელობის თხზულებასთან ჰქონდა საქმე, გადმოიღო მისი პირი და პეტერბურგში დაბრუნებულმ აგანაგრძო მუშაობა. ტექსტის უკეთ გაგებისა და გრიგოლის სამოღვაწეო ადგილების დაზუსტებისა და შესწავლის მიზნით 1904 წელს იმოგზაური სამხრეთ–დასავლეთ საქართვლეოში, მოიარა კლარჯეთი და შავშეთი, გაეცნო იქაურ სიძველეთ.

ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ – 1911 წელს ნ. მარმა გამოსცა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ კრიტიკულად დადგენილი ქართული ტექსტი და

ბრწყინვალე რუსული თარგმანი, სამხრეთ–დასავლეთ საქართველოში მოგზაურობის ამსახველი ვრცელი დღიური და ბევრი ძეგლის სურათი.

ასე დაუბრუნა ნ. მარიმ ქართველ საზოგადოებრიობას გრიგოლ ხანძთელის და მისი ცხოვრება–მოღვაწეობის ამსახველი თხზულება, ერთხელ კიდევ წარმოაჩინა იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა კოლექციის უდიდესი მნიშვნელობა.

მკითხველებმა უთუოდ შენიშნეს, რომ ჩვენ არ მიმოგვიხილავს საზღვარგარეთ არსებული სამი დიდი სავანის – საბაწმინდის, შავი მთისა და პეტრიწონის ბიბლიოთეკები. საქმე ისაა, რომ სამწუხაროდ, ამ წიგნსაცავებზე ჩვენი წარმოდგენა სრული და ნათელი როდია: დროთა განმავლობაში იქაური ხელნაწერებიც გაუჩინარდა. ამ სავანეებში ქართველთა მოღვაწეობის შეწყვეტის შემდეგ წიგნსაცავები განადგურდა და მხოლოდ შემთხვევით გადარჩენილმა რამდენიმე წიგნმა თუ მოაღწია ჩვენამდე. აქვე უნდა დავძინოთ, რომ არც სინა ათონი თუ ჯვარი იყო დაცული სათანადოდ და იქიდანაც არაერთი ხელნაწერი გაუტანიათ სხვადასხვა დროს. ამის შედეგად ზოგიერთი სინური ხელნაწერი (თუ ხელნაწერის ფურცლები) ახლა ინახება პარიზში, პრაღაში, ბირმინგემში, გრაცში და ა. შ.; ჯვრის მონასტრის ხელნაწერები დაცულია ვერნაში, პარიზში, ლონდონში, ოქსფორდში,ვ აშინგტონში და სხვაგან.

ამის მიზეზი გაუგებარი არ უნდა იყოს: სიძვე-

ლეთა მოყვარულები თუ სიველით მოვაჭრენი ქართული კულტურის საზღვარგარეთული კრერებიდან იტაცებდნენ (პირდაპირ იპარავდნენ) ძველ ხელნაწერებს და შემდგომ ჰყიდდნენ მათ ერვოპასა თუ ამერიკაში. მაგრამ, სამწუხაროდ, ქართული ხელნაწერების უცხოეთის მუზეუმებსა თუ კერძო კოლექციებში მოხვედრა მხოლოდ ამ მიზეზით არ იყო განპირობებული. მოქმედებდა არაერთი სხვა ფქატორიც. სახელდობრ, ხელნაწერები საქართვლეოდან გაჰქონდათ მისიონერებს, დიპლომატიურ მოღვაწეებს, მოგზაურებს და ა. შ. მაგალითად XI საუკუნის ხელნაწერი, რომელიც „იერუსალიმის განჩინების“ საყურადღებო ტექსტს შეიცავს თბილისიდან ერვოპაში გაუგზავნია კაპუცინთა წინამძღვარს 1731 წელს (ამჟამად იგი პარიზშია); X საუკუნის ბერთის ოთხთავი 1830 წელს წაუღიათ ამერიკელ მისიონერებს (ამაჟამად ამერიკაშია ქ. ნიუტონში); პარიზშივე დაცული „ვეფხისტყაოსანი“ და ქართული სამართლის წიგნების კრებული 1824–1825 წლებში თბილისიდან წაუღია საფრანგეთის ლეჩ გამბას.

ზოგჯერ ქართველი მოღვაწენი ძველ ქართულ ხელნაწერებს თვითონ უძღვნიდნენ უცხო პირებს ან სწირავდნენ საზღვარგარეთის დაწესებულებებს. ასე, მაგალითად, ი. ბაგრატიონმა პარიზის სააზიო საზოგადოებას უძღვნა დ. ბაგრატიონის გრამატიკა, ხოლო პრუსიის მეფეს – სულხან–საბა ორბელიანის ლექსიკონი.

30 ქართული ხელნაწერია დაცული პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. ეს კოლექცია გაიცნეს და აღწერეს ა. ხახანაშვილმა (1889 წ.) და ფ. მაკ-ლერმა (1908 წ.) საგანგებოდ უნდა მოვიხსენიოთ ე. თაყაიშვილის ნაშრომი „პარიზის ნაციონალუ-რი ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და ოცი ქართული საიდუმლო დამწერლობის ნიმუში“, რომელიც პარიზში დაიბეჭდა 1933 წელს.

პარიზის ხელნაწერთაგან არაერთი იმსახურებს მკვლევართა ყურადღებას; კერძოდ, იერუსალი-მის ლექციონარის XI საუკუნის ნუსხა; მარხვანი, რომელიც, როგორ ლ. ხაჩიძემ გაარკვია, გიორგი ათონელის ავტოგრაფი ყოფილა; „ვეფხისტყაოს-ნის“ 1702 და 1811 წლების ხელმძღვანელები, რო-მელთაც ჯერ კიდევ მ. ბროსე იყენებდა რუსთა-ველის პოემის შესწავლისა თუ თარგმანის დროს; იერუსალიმის ჯვრის მონასტრისეული სახარების XI საუკუნის ნუსხა, ჯვაროსანთა მოსახსენებლე-ბით; ხანმეტი ლექციონარის ფრაგმენტი და სხვ.

რამდენიმე ათეული ქართული ხელნაწერია ინგ-ლისში, კერძოდ, ლონდონში, ოქსფორდში, კემბ-რიჯში, ბირმინგემში.

ლონდონში, ბრიტანეთის მუზეუმში დაცული ქართული ხელნაწერები აღწერეს ა. ხახანაშვილმა (1905 წ.) და ო. უორდროპმა (1913 წ.) იქაურ ხელ-ნაწერთაგან საკმარისია დავასახელოთ გიორგი–პროხორეს თაოსნობით შედგენილი „პალესტინის პატერიკი“ (1034–1042 წლებისა. მისი ცალკეული

ნაწილები ადრევე დაბეჭდეს ა. ხახანაშვილმა, კ. კერესელიძემ, ჟ. გარიტმა, 1975 წელს სრულად, დაბეჭდა, – ვრცელი გამოკვლევითა და ლექსიკონით, – ვ. იმნაიშვილმა. ამ პუბლიკაციამ კიდევ უფრო წარმოაჩინა ხელნაწერის ღირსება და მნიშვნელობა.

საყურადღებო ხელნაწერები ინახება ოქსფორდის უნივერსიტეტის ბოდლის ბიბლიოთეკაში. იქაურ ხელნაწერებს ზოგადად ვიცნობდით პ. პეეტერსისა (1912 წ.) და დ. ლანგის (1957 წ.) ნაშრომებით, ახლა კი ხელთა გვაქვს დ. ბარეტის მოზრდილი წიგნი „უორდროპის კოლექციისა და სხვა ქართული წიგნებისა და ხელნაწერების კატალოგი“, რომელიც 1973 წელს გამოქვეყნდა.

ბოდლის ბიბლიოთეკაში მრავალი ქართული ხელნაწერია („ბარამიანი“, „ყარამანიანი“, „სირინოზიანი“ და სხვა). განსაკუთრებით საყურადღებოა „ვეფხისტყაოსნის“ ორი ხელნაწერი XVII საუკუნისა. ორივე ილუსტრირებულია და პოემის ვრცელ რედაქციას შეიცავს. მკვლევართა ინტერესს იწვევს ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა კრებული, რომელსაც ახლავს გიორგი–პროხორეს ვრცელი ანდერძი. ამ ანდერძით გიორგი–პროხორე გადამწერად და შემმოსელადაც კი გვევლინება.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ ხანმეტი პალიმფსესტი, რომლის ქვედა ფენა – V-VI საუკუნეებისა – ქართულია, იერემიას წინასწარმეტყველებას შეიცავს

(ზედა ფენა გვიანდელია თალმუდის ნაწყვეტია). ამავე ხელნაწერისაა კემბრიჯის უნივერსიტეტში დაცული ფრაგმენტი, რომელიც ა. შანიძემ გამოსცა (1938 წ.).

გერმანიაში ქართულ ხელნაწერთა არსებობაზე ადრე ცოტა რამ ვიცოდით, კერძოდ ა. ხახანაშვილისა (1913 წ.) და გ. ფერაძის (1937 წ.) ცნობების საფუძველზე ქართული ხელნაწერები მხოლოდ ბერლინსა და ლაიფციგში გვეგულებოდა. ახლა მოგვეპოვება გერმანელი ქართველოლოგის ი. ასფალგის მიერ შედგენილი ვრცელი აღწერილობა გერმანიაში (ლაიფციგში, ჰალეში, გოტინგენში, მარბურგში, ტურბინგენში) დაცულია ქართული ხელნაწერებისა თუ ხელნაწერთა ფრაგმენტებისა (1963 წ.) მასში აღწერილია სახარება და ჟამნი, „ყარამანიანი“ და სულხან–საბას ლექსიონი მრავალთავი (ფრაგმენტი), რომელიც გიორგი–პროხორეს გადაწერილი უნდა იყოს. ტიშენდორფის მიერ ჯვრის მონასტრიდან წამოღებული ეტრატის ფრაგმენტები, რომლებიც ქართველ მოღვაწეთა მოსახსენებლებს შეიცავენ და სხვ.

ავსტრიაში ქართული ხელნაწერები ინახება ვენასა და გრაცში.

ვენაში – ეროვნულ ბიბლიოთეკაში – დუცულ ხელნაწერთაგან საყურადღებოა ჯვრის მონასტრისეული ხანმეტი პალიმფსესტი, რომელიც 1940 წელს გ. ფერაძემ აღწერა, უკანასკნელ წლებში კი მის შესწავლას შეუდგა ბირმინგემის უნივერსიტე-

ტის პროფესორი ჯ. ბერძოლი. მან უკვე გამოსცა ცალკეული ნარკვევები, ახლა კი ამზადებს V-VI საუკუნეების ქართულ თარგმანს „ქრისტინეს წამებისას“. პალიმფსესტის ქვედა ფენამ, როგორც ჩანს ამ ძეგლის თარგმანის სახით შემოგვინახა ჰაგიოგრაფიული თხზულების პირველი ქართული თარგმანი; საინტერესოა, აგრეთვე 1160 წლის კრებული რომელშიც შესულია „ქებაი ქებათაის“ ტექსტი არც ერთ ქართულ რედაქციას არ მისდევს და განკერძოებით დგას (იგი გამოსცა ზ. სარჯველაძემ).

ძვირფასი ხელნაწერებია დაცული გრაცის ბიბლიოთეკაში გასული საუკუნის ბოლოს სინის მთის რამდენიმე ქართული ხელნაწერი შეიძინა და ანდერძით გრაცის უნივერსიტეტს შესწირა პროფესორმა ჰ. შუხართმა. ამ ხელნაწერთა შორისაა სახელგანთქმული ხანმეტი ლექციონერი VII საუკუნისა, რომელიც პალესტინაში შეუდგენიათ და შემდეგ სინაზე მიუტანიათ. იგი ფოტოტიპიურად გამოსცა ა. შანიძემ (1944 წ.). სხვათა შორის, ამ ლექციონარის ერთი ფურცელი პარიზში იპოვა ბ. უტიემ (1972 წ.), ხოლო უკანასკნელი ფურცელი, რომელზეც იოანე–ზოსიმეს ანდერძ–მინაწერია, ბერმინგემში, სელი ოუქის კოლეჯის ბიბლიოთეკაში – ა. მინგანას კოლექციაში აღმოჩნდა. იგი დ. ლანგის დახმარებით მოიპოვა და გამოსცა ჟ. გარიტმა (1960 წ.).

გარკვეულ ყურადღებას იმსახურებს პოლონე-

თის (ქ. კრავოკის) ქართულ ხელნაწერთა კოლექცია, რომელზეც ადრე მწირი ცნობები გვქონდა, ხოლო პოლონელი ქართველოლოგის ი. ბრაუნის ნაშრომის გამოქვეყნების (1958 წ.) შემდეგ რამდენადმე ნათელი წარმოდგენა შეგვექმნა.

ზოგიერთი ქართული ხელნაწერი დაცულია იტალიაში – ვატიკანსა და ტორე დელ გრეკოში (ნეაპოლის ახლოს).

ჩვენი საზოგადოებრიობისათვის ცნობილია გრიგოლ ბაკურიანისძის მიერ შედგენილი პეტრიწონი სტიპიკონი, რომლის ხელნაწერები დაცულია ბულგარეთში – სოფიის საჯარო ბიბლიოთეკასა და საბერძნეთში – კუნძულ ხიოსზე, კორაისის სახელობის ბიბლიოთეკაში. ხიოსის ნუსხის მიხედვით ტიპიკონის ქართული ტექსტი და რუსული თარგმანი გამოსცა ა. შანიძემ (1971 წ.).

ქართული ხელნაწერები ევროპის სხვა ქალაქებშიც აღმოჩნდა. მაგალითად, ჩეხმა ქართველოლოგმა ი. იედლიჩკამ იაკობის ჟამის წირვის ხელნაწერი (სინური წარმომავლობისა) პრაღაში იპოვა (1961 წ.).

ბევრი ხელნაწერია ამერიკაშიც – ვაშინგტონში, დეტროიტში, ბალტიისპირეთში, ნიუტონსა და სხვაგან. განსაკუთრებით საყურადღებოა ბერთის ოთხთავი X საუკუნისა და ვაშინგტონში (დუმბარტონ ოქსის ბიბლიოთეკაში) დაცული ჯვრის მონასტრის XI საუკუნის „თვენი“ (სხვათა შორის, ამ ხელნაწერის მიკროფირი კ. კეკელიძემ დ. ლანგის

დახმარებით მოიპოვა და მის საფუძველზე დაწერა უკანასკნელი შრომა – „უცნობი რედაქცია ქართული ჰიმნოგრაფიული თუენისა“ – 1962 წელს).

ქართული ხელნაწერები აღმოჩნდა აზიაშიც კერძოდ, ირანში, თურქეთში, სირიასა და ლიბანში.

აღნიშნულიდან ნთლად ჩანს რომ აღმზრდელობითი მუშაობა და ხელოვნების ნებისმიერი დარგი, პედაგოგიკა და კულტურა – განუყოფელია! ჩვენი ეროვნული კულტურული ფასეულობები – უკვდავი! დიახ უდიდესი სიამაყით განმსჭვალულნი შევსცქერით ქართული კულტურის ნათებასა და ბრწყინვალებას! – არც ჩამქრალიყოს!

ამასწინათ ქ. რუსთავის ერთ–ერთ სკოლაში გახლდით, არაჩვეულებრივი გაკვეთილი ჰქონდა დაწყებით კლასებში – ნათელა მასწავლებელს, რომელიც იაკობ გოგებაშვილის კვირეულის ფარგლებში ჩატარდა... იქ ერთი ქალბატონი განსაკუთრებული მღელვარებით მომიახლოვდა და მითხრა: – იცით, წლების განმავლობაში მსურდა თქვენთან შეხვედრა, პედაგოგების ოჯახში აღვიზარდე, მახსოვს ჯერ კიდევ მეშვიდე კლასში ვიყავი, როდესაც დედა სკოლიდან მოვიდა და მითხრა: – დაიმახსოვრე ეს სახელი და გვარი, გარი ჩაფიძე – ის უსათუოდ დიდი პიროვნება და უგანათლებულესი ადამიანი დადგება, მასთან დღეს გვქონდა შეხვედრა ქალაქის ინტელიგენციას, ისიც სკოლის მოსწავლეა, მაგრამ ძლიერ განსაკუთრებული და

განსწავლული – მე ჩემი ქართულის წიგნს მივაწერე ლამაზად გამოყვანილი ბგერებით, თქვენი სახელი და გვარი, მერე ძალიან ხშირად მესმოდა ლეგენდები თქვენი პიროვნების შესახებ, ის წიგნი კი დღესაც შენახული მაქვს და რუდუნებით ვუვლი... – დაასრულა მოსაუბრემ და მეც თითქოს და წარსულში გადავსახლდი, თუმცა რაღა წარსულში, დღესაც მოსწავლის ჩინით ვარ და ახალაც მასწავლებელს მოვითხოვ! – სულმნათი პეტრე პირველისა არ იყოს! დიახ, ყოველი ახალი სასწავლო წლის დაწყებისას თითქოს პირველად შევდივარ სასწავლებელში და ყველა ლექციას ისეთი პათოსით ვატარებ, თითქოს და ეს ჩემი უკანასკნელი ლექციაა... ამიტომაც ჰყავს განსაკუთრებული მსმენელი ჩემეულ აუდიტორიას, ამიტომაც მთხოვენ ხშირი იყოს ჩემი კონტაქტი სტუდენტ–ახალგაზრდობასთან, ყველაფერი სათავე კი სასკოლო ურთიერთობის ეთიკაა.

სანამ სასკოლო ურთიერთობებში დამკვიდრებულ ეთიკურ ნორმებზე დავიწყებდეთ საუბარს, გავიხსენოთ, რა არის ეთიკა. ეთიკა არის მოძღვრება მორალის, ზნეობის როგორც პიროვნული და საზოგადოებრივი შეგნების ერთ-ერთი ფორმის და ყოფაქცევის ნორმათა შესახებ. ის ასწავლის ადამიანს, როგორ მოიქცეს საზოგადოდ და/ან კონკრეტულ სიტუაციაში (სოციუმში): რა არის დაშვებული, რა - დაუშვებელი; რა არის „კარგი“ და რა - „ცუდი“, რა არის „სიკეთე“

და რა - „ბოროტება“, რა არის სათნოება და რა - მანკიერება...

ეთიკა ბერძნული სიტყვაა (ēthikē<ēthos) და „ზნეს“, „ჩვეულებას“ ნიშნავს. როგორც ტერმინი, „ეთიკა“ პირველად არისტოტელემ გამოიყენა თავის ფილოსოფიურ და პედაგოგიურ თხზულებაში „ნიკომაქეს ეთიკა“, რომელიც მან თავის ვაჟიშვილს მიუძღვნა. ეთიკა, როგორც სამეცნიერო დისციპლინა, ადამიანთა ქცევის ნორმებს სწავლობს. ამჟამად ფილოსოფია აღარ არის ერთადერთი მეცნიერება, რომლის შემადგენელ დისციპლინათა ჩამონათვალში ეთიკაც მოიაზრება; არსებობს ეთიკა როგორც თეოლოგიური დისციპლინა, ეთიკა როგორც პედაგოგიური დისციპლინა და ა.შ.

პედაგოგიკასა და ეთიკას შორის არსებული კავშირი აშკარაა, რადგან პედაგოგიკა ის სფეროა, სადაც აღზრდის ცნება, უპირველეს ყოვლისა, ზნეობრივ და სამოქალაქო ღირებულებათა ჩამოყალიბებას მოიაზრებს.

პედაგოგიური ეთიკის ამოცანაა, ეთიკური ნორმები აღწეროს და გააანალიზოს საკუთრივ პედაგოგიკის და არა, ვთქვათ, ფილოსოფიის ან თეოლოგიის პოზიციიდან.

პედაგოგიურ ეთიკაში არსებობს ასიმეტრიული და სიმეტრიული ურთიერთობები. ასიმეტრიულია ურთიერთობები ზრდასრულებსა და მოზარდებს (ბავშვებს), განსწავლულებსა და უსწავლელებს,

გამოცდილებსა და გამოუცდელებს, შემფასებლებსა და შესაფასებლებს შორის, სიმეტრიული კი - მასწავლებელსა და მშობელს, მასწავლებელსა და მასწავლებელს, მასწავლებელსა და დირექციას შორის. ასიმეტრიული ურთიერთობები პედაგოგიური ეთიკის კანონებს უნდა ემყარებოდეს, რათა მზრუნველობა და პასუხისმგებლობა ძალაუფლებად არ გადაიქცეს. პედაგოგიური ეთიკის ფარგლებს სიმეტრიული ურთიერთობებიც არ უნდა სცდებოდეს. ეს ეთიკური ნორმები მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსშია თავმოყრილი. პროფესიული ეთიკის კოდექსის უმთარესი მიზანი იმის უზრუნველყოფაა, პედაგოგის სამუშაო ზედმიწევნით კეთილსინდისიერად და წარმატებით შესრულდეს.

რისთვის სჭირდებათ მასწავლებლებს პროფესიული ეთიკის კოდექსი და რა დახმარებას უწევს იგი მათ?

მასწავლებელს, ბევრი სხვა პროფესიის წარმომადგენლისგან განსხვავებით, მოქმედების დიდი თავისუფლება ეძლევა. ეს განპირობებულია მისი პროფესიის განსაკუთრებულობით. იგი ვერ გამოიყენებს ერთსა და იმავე საშუალებას ყველა სიტუაციაში, სიტუაციები კი მუდმივად იცვლება; იგი ვერ მიუდგება ერთი და იმავე საზომით ყველა მოსწავლეს. როდესაც არჩევანის თავისუფლება მეტია, უფრო დიდია რისკიც და პასუხისმგებლობაც, ამიტომ პედაგოგისთვის განსაკუთრებით სა-

ჭიროა ეთიკური კოდექსი, რომელიც მას დაეხმარება, არ გადაუხვიოს დადგენილ ნორმას.

მასწავლებელი მოსწავლისთვის მიბაძვის საგანს წარმოადგენს, იმისგან დამოუკიდებლად, თავად მასწავლებელს სურს ეს თუ არა. ბავშვი ყოველდღიურად რამდენიმე საათი მასწავლებელთა გარემოცვაშია, ამიტომ ის მათგან მარტო იმას კი არ სწავლობს, რასაც ასწავლიან, არამედ ხშირად იღებს მათ ქცევებსაც. საკმაოდ ძნელია იმის განჭვრეტა, რა გავლენას მოახდენს ამა თუ იმ მოსწავლეზე შთაბეჭდილებები, რომელთაც მასწავლებელი ნებით თუ უნებურად აღძრავს მასში. ნებისმიერ შემთხვევაში თითოეულმა მასწავლებელმა უნდა გააცნობიეროს, რომ არა მარტო მისი მიზანმიმართული აღმზრდელობითი ქმედება, არამედ გაუაზრებელი, სპონტანური საქციელიც დადებითად ან უარყოფითად მოქმედებს მოსწავლეზე. აქედან გამომდინარე, მასწავლებელს არ აქვს მორალური უფლება, ცუდი მაგალითი მისცეს აღსაზრდელს. მან უნდა აარიდოს მოსწავლეებს ყველაფერი ის, რაც მათ დადებით პიროვნებებად ჩამოყალიბებას შეუშლის ხელს. სწორედ პროფესიული ეთიკის კოდექსი განსაზღვრავს, მასწავლებლის როგორი საქციელი განაპირობებს აღსაზრდელთა ზნეობრივი და მოქალაქეობრივი თვალსაზრისით სასურველ პიროვნებად ჩამოყალიბებას.

იმისთვის, რომ მასწავლებელმა დაკისრებული

მოვალეობა შეასრულოს, მან უნდა მოიპოვოს მოსწავლეთა პატივისცემა და ნდობა. იგი თავის ცოდნასა და შესაძლებლობებს, ენასა და ჟესტიკულაციას, გულისხმიერებასა და ტაქტს, ცხოვრებისეულ გამოცდილებას იყენებს როგორც საშუალებას მოსწავლეთა ნდობის მოსაპოვებლად. პედაგოგი თავის მოვალეობას მხოლოდ მაშინ შეასრულებს ღირსეულად, თუ სისტემატურად იმუშავებს საკუთარ თავზე. „აღზარდე საკუთარი თავი!“ – ეს არის მნიშვნელოვანი მოთხოვნა თითოეული ადამიანისადმი და განსაკუთრებით – მასწავლებლისადმი. ამაში პედაგოგებს მასწავლებლის ეთიკის კოდექსი ეხმარება.

მასწავლებელთა მიმართ მოთხოვნები ხშირად გადაჭარბებულია, პრეტენზიები კი არარეალური. მასწავლებლის ეთიკის კოდექსი მათთვის არის ერთგვარი დამცავი მექანიზმიც, რომელშიც ზუსტად არის გაწერილი, რა მოეთხოვება მასწავლებელს.

მასწავლებლის პროფესიული კომპეტენციის ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტი ის არის, რომ იგი იყოს ეთიკურ ღირებულებათა არა მარტო მატარებელი, არამედ დამნერგავიც თავის პროფესიულ გარემოში და მოსწავლეებს ეთიკური ღირებულებების ჩამოყალიბებაში დაეხმაროს, იმავდროულად დაუტოვოს მათ თავისუფალი არჩევანი, მისცეს ურთიერთპატივისცემისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ცხოვრებისეული გაკვეთი-

ლები. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელი ამას აკეთებდეს თავისი პიროვნული მაგალითით. მასწავლებლის ეთიკურ ღირებულებათა სისტემა, უპირველეს ყოვლისა, ურთიერთობებში ვლინდება. ეს არის ურთიერთობა მოსწავლეებთან, ურთიერთობა მოსწავლეთა მშობლებთან და ურთიერთობა კოლეგებთან. თითოეულ ამ ასპექტს საკუთარი სპეციფიკა აქვს, რომელსაც მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი არეგულირებს. ეს გულისხმობს მასწავლებლის პროფესიული ქცევის ეთიკურ და სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევას და შეიძლება დახასიათდეს როგორც მასწავლებლის პროფესიული გარემოს შემადგენელი კომპონენტები.

იქნება თუ არა სკოლის საქმიანობა წარმატებული, რა თქმა უნდა, მხოლოდ მასწავლებელზე არ არის დამოკიდებული, მაგრამ მისი ფუნქცია სკოლაში უმნიშვნელოვანესია. მასწავლებელი, რომელიმე საგნის რა კარგი სპეციალისტიც უნდა იყოს, რა მაღალ სტანდარტებსაც უნდა შეესაბამებოდეს მისი ცოდნა, ვერასოდეს გახდება ნამდვილი პედაგოგი და ვერ დაეხმარება სკოლას მიზნის მიღწევაში, თუ მისი საქმიანობა არ შეესაბამება მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსს.

აღნიშნული ლაიტმოტივით უპრიანი იქნება წინამდებარე წიგნში შალვა ამონაშვილი შემოვიყვანოთ.

ის–ის იყო მეექვსე გაკვეთილი დამთავრდა და

სამასწავლებლოსაკენ გავემართე, რომ დარბაზში შუა ხნის კაცი შემომეგება – სანდომიან სახეს ღიმილი უშუქებდა. მთხოვა, რამდენიმე წუთს გავჩერებულიყავი, რათა ესაუბრა ჩემთან. უარს როგორ ვეტყოდი. მართალია, გამიკვირდა, მაგრამ ერთობ გამიხარდა, რადგან ჩვენ, პედაგოგები მონატრებულნი ვართ ოჯახის თავკაცთა სკოლაში ხილვას. გაფიქრებით კი გავიფიქრე: ეს კარგი კაცი სკოლაში არასოდეს არ ყოფილა შვილების გამო, რაკიღა ზრდილი გოგონები ჰყავს: ერთმა წარმატებით დაამთავრა სკოლა, მეორე მეათე კლასშია, ისიც ბეჯითი და თავაზიანია, თავისი მოწაფური ცხოვრებით მასწავლებელთა სიმპათიებს იმსახურებს. მაშ, რამ შეაწუხა, რამ აიძულა სკოლაში მოსვლა–მეთქი? დიახ, არიან ასეთი მამებიც – ერიდებათ ეახლონ სკოლას, ისაუბრონ მასწავლებლებთან თავიანთ შვილებზე, ეს უფრო გოგონების მამათა აქილევსის ქუსლია. ერთხელ შეხედვით, რა არის აქ გასაკვირი? შვილი წესიერებით გამოირჩევა, მუყაითად მეცადინეობს, მისით მასწავლებლები კმაყოფილნია რიან, დედაც პერიოდულად აკითხავს სკოლას. მაშასადამე, რატომღაა საჭირო მამის სკოლასთან კლასის ხელმძღვანელსა და მასწავლებლებთან კონტაქტი?

და აი, თურმე, ყოფილა საჭირო თავიდანვე, პირველი კლასიდანვე ყველა მამამ, მნიშვნელობა არ აქვს კარგი შვილები ეზრდება თუ ცუდი, საქმიანი, ქმედითი კავშირურთიერთობა იქონიოს სკო-

ლასთან, ამასთან, ის ურთიერთობა ბოლომდე მიიყვანოს. თურმე ამგვარი კონტაქტი ბავშვის ასაკის მატებასთან ერთად უნდა ძლიერდებოდეს, მყარი ხდებოდეს. ჩვენდა სამწუხაროდ, პირიქით კი ხდება ხოლმე. არადა, უამისოდ ვერ აღვზრდით არა მარტო კარგ მოქალაქეებს, არამედ ღირსეულ მომავალ დედებსა და მამებს. იქნებ არა მარტო დღევანდელი პირობებია ამის მიზეზი, არამედ ისიც, რომ თავის დროზე ვერ მისცეს მომავალ მამას მისმა სკოლამ და ოჯახმა ის იდეური იარაღი, შვილების აღზრდაში რომ გამოადგებოდა. და აი, გამართლდა ჩემი გუმანი: ამ მოკრძალებული მამის მობრძანებით წუთიერი მორალური კმაყოფილება განვიცადე, ისიც ვიფიქრე: უთუოდ ძალიან სჭირდება ჩვენი თავი, რაღაც განსაკუთრებული მოხდა, თორემ, აბა, რა აფიქრებინებდა სკოლაში მოსვლას–მეთქი? ასეც აღმოჩნდა. სმენად ვიქეცი, ხოლო ოჯახის მესვეურმა დაიწყო:

აგერ, ჩემი ერთი შვილი, თქვენი გამოზრდილი, უკვე სტუდენტია. ათი წელი თქვენთან სწავლობდა, მეორეც მალე დაამთავრებს. ისიც გემადლიერებათ, მაგრამ სკოლაში დღემდე ერთხელაც არ მოვსულვარ. ვიცი, ვტყუივარ, მაგრამ რა ვქნა, უნდა გამოგიტყდეთ, რატომღაც მერიდება სკოლისა. მიჭირს პედაგოგებთან საუბარი. ჩემი მეუღლე კი გნახულობთ ხოლმე, მისგან ვიცი, თუ რანი არიან სკოლის კედლებში ჩვენი შვილები, ისიც ვიცი, თუ ვინ როგორ იღვწით, რათა ყმაწ-

ვილების სწორ გზაზე დაყენებაში დაგვეხმაროთ. სხვათა შორის, საერთოდ მშობლები როდი ვართ სკოლით უკმაყოფილონი, პირიქით, მადლობის მეტი რა გვეთქმის. ამას თქვენი სკოლის დირექტორს, ამ სკოლაშივე აღზრდილს, დღეს რესპუბლიკის დამსახურებულ მასწავლებელ ალექსანდრე ლაშხაურსაც უნდა ვუმადლოდეთ. არაერთი სიგელი და დიპლომი აქვთ ჩემს შვილებს მიღებული... ნამდვილად რომ უყვართ სკოლა, წიგნები, მეცადინეობა, შინ ბევრს კითხულობენ, ბიბლიოთეკაშიც დადიან, მასწავლებელთა დავალებებს პირნათლად ასრულებენ, პატივს სცემენ მეგობრებიცა და მეზობლებიც. მიუხედავად ყოველივე ამისა, მათი ქცევით მაინც უმაყოფილო ვარ და სწორედ ამან მომიყვანა თქვენთანო. აი, ვუკვირდები და ვამჩნევ: ჩემი შინაგანი დაძაბულობა თანდათან გაძლიერდა შვილების ასაკის მატებასთან ერთად, ლამის წელში გავწყდე. ზოგჯერ ისეთი ფიქრები ამეკვიატება ხოლმე, რომ, ასე მგონია, ცოტაც და, სახლიდან გავიქცევი, სადღაც სხვაგან ჩავიკეტები, რათა სულიერად დავისვენო, მაგრამ რა, შევძლებ კი ამას! ჰოდა, ამ აფორიაქებული ფიქრების შემდეგ ისევ სკოლას, თქვენ მოგაკითხეთ...“

მშობელმა წამიერად შეწყვიტა საუბარი, თითქოს სუნთქვა შეეკრაო, გაუჭირდა კვანძის გახსნა, შემეცოდა და შევეშველე – კითხვა მივაგებე კი მაგრამ, ჩემო გ. მაინც რა მოხდა, რა გაგჭირ-

ვებია, რატომ ხარ, გულნატკენი–მეთქი? ოჯახის უფროსმა ამოიოხრა და ისევ განაგრძო: ჩემს თავს, თურმე, ბევრი რამ ხდებოდა და მე ვერა ვხვდებოდი, და რომ ვერა ვხვდებოდი, აკი გამიჭირდა კიდეც. წინასწარ ვდარდობ იმაზეც, რომ ჩემი შვილიშვილებიც მაპატიეთ, მაგრამ ჩემი ნაშიერებივით მეშჩანები იქნებიან. ახლაღა მივხვდი იმას, რომ დედის ძალა ოჯახში უფრო მაგიური ყოფილა, ვიდრე მამისა. ისე ავფორიაქიდი, რომ, აკი გითხარით, სახლიდან წასვლის სურვილიც გამიჩნდა შუახნის კაცს. ღვინოსაც მივეძალე, სიგარეტი გახდა ჩემი „შემწე და ერთგული“ სამუშაოს დამთავრების შემდეგ შინ აღარ მწადია მისვლა, ვიცი, ახალი დავიდარაბა შემხვდება, ახალი პრეტენზიები წამიხდენენ ხასიათს. ხშირად მდინარის პირას ვხეტიალობ მანამ, სანამ ჩემი ცოლ–შვილი არ დაიძინებს, ალბათ, დამიჯერებთ, მათთან გულთბილი საუბარი მენატრება, ისინი მე ვერ მიგებენ, მე კიდევ – მათ. ნამდვილად მენატრება შვილების პატარაობა, დაიზარდნენ და შემომიტიეს, ყველაფერი უნდათ, თანაც ძვირფასები, უბრალოებს არ კადრულობენ. ჩემს ჯანმრთელობაზე სულაც აღარ ჯავრობენ, არაფერში არ თანამიგრძნობენ, ერთი სიტყვით, სამუდამოდ დამეკოდა გული...

– ასეთი შვილების შესახებ ერთი გამოჩენილი მოაზროვნე ამბობს: „რასაც შენ შენს მშობლებს გაუკეთებ, იმასვე ელოდე შენი შვილებისაგანო“,

– მივუგე გულნატკენ მამას. თუ გაიხსენებთ, – შევეკითხე, როდიდან დაიწყო თქვენი უკმაყოფილება შვილების გამო?

– მას შემდეგ, რაც ისინი VII კლასელები გახდნენ. ამ ასაკში შეიმჩნეოდა, რომ პიონერულ ყელსახვევს სისტემატურად აღარ ატარებდნენ, აღარც ბაფთებისადმი იჩენდნენ ერთგულებას. VIII კლასში რომ გადაივდნენ, ალკკ რიგებში მიიღეს. პირველ დღეებში კომკავშირის სამკერდე ნიშანს ელოლიავებოდნენ, 1–2 თვის შემდეგ კი მასზეც აიცრუეს გული. სამაგიეროდ, გაუძლიერდათ ძვირფასი მაჯის საათის შეძენა–ტარების სურვილი, უკანასკნელი მოდის ტანსაცმლისადმი მისწრაფება, ეს ლტოლვა მალე ხმამაღლა გამოთქმულ პრეტენზიებში გადაიზარდა. ახლა კი ამ მოთხოვნებს ფოლადის მთის სიმძიმე მიეცა და პირდაპირ წელში გამწყვიტა. ქურდობას ხომ არ დავიწყებს ამხელა კაცის. ის კი არადა, ჩემი შრომის საფასურის მოთხოვნისაც კი მერიდება. კიდევ უფრო მაღიზიანებს ჩემი შვილების დედის საქციელი, ნაცვლად იმისა, რომ დამაჯერებელი ახსნა–განმარტება მისცეს ქალიშვილებს ჩვენი ოჯახის ეკონომიკურ შესაძლებლობაზე, მხარს უბამს მათ პრეტენზიებს – ახლა უნდა გაიხარონ, აბა, მაშ, როდისღაო? ჰოდა, მოქალაქეობრივად უმწიფარ გოგონებს მეტიც არ უნდათ. თითოეულს 200–300 მანეთიანი კაბა ნებავს, 500 მანეთიანი „ლაიკა“, 1000 მანეთიანი „დუბლიონკა“,

ჩექმები, საათები, მაგნიტოფონი... ვინ მოთვლის მათთვის სასურველი საგნების ნუსხას. ეს კიდევ ცოტაა, – განაგრძობს გულჯავრიანი მშობელი, – ეს რაღა შემოიღეს, რა წესია – აუცილებლად ყველამ გადაიხადოს მდიდრული დაბადების დღე. განა რა დაიმსახურეს ამისთანა? წინათ ამ ფორმით არავინ იხდიდა დაბადების დღეს, ამ დღეს იმას აღუნიშნავდნენ, ვინც ეს დაიმსახურა – დიდად იღვაწა ხალხის, მამულის, ქვეყნის საკეთილდღეოდ. ეს კანონზომიერია. ამ პატარა „გაუმშრალებმა“ განა რა გააკეთეს იმისთანა, რომ ყოველწლიურად ყველა მათგანი აწუხებდეს მშობლებს, უანგარიშოდ ხარჯავდეს სხვისი შრომით მონაგარს. მერედა, არ იტყვით, რა ვაჭრული, რა ულამაზო ფორმით აღნიშნავენ თავიანთ დაბადების დღეს? თითქოს დაკანონდა, რომ კლასის ყველა მოსწავლემ უნდა გაშალოს მდიდარი და მრავალფეროვანი სუფრა, დაზვინული ხორაგითა და სასმელებით, და ეს ისე ხდება, თითქოს შეჯიბრიაო. 30 კაციანი სუფრის გაწყობაზე სულ ცოტა 1000 მანეთი მაინც უნდა დაიხარჯოს. სუფრას აუცილებლად უნდა ამშვენებდეს ძვირფასი საჭმელ–სასმელი: ხიზილალა, „ცოცხალი“, სათალი, „ასატრინა“, გოჭი, ხბოს ხორცი, კონიაკი, შამპანური... ახლა საჩუქარი? თითოეულის ღირებულება არ უნდა იყოს 150 მანეთზე ნაკლები და ყოველივე ამ დავიდარაბის მხარდამჭერი და ინიციატორი არის დედა, რომელმაც პატარაობიდანვე მიაჩვია

ამას შვილები და ახლა შეუძლებელია მათი დაოკება.

ანაზდად გამახსენდა ჰეგელის სიტყვები: „აღზრდის პირველ ხანაში ყველაზე მნიშვნელოვანია დედა. ზნეობრიობა, როგორც გრძნობა, სწორედ მან უნდა შთაუნერგოს ბავშვს“. მშობელს კი შევეკითხე: – კი მაგრამ, მაინც რას ყიდულობენ ასე ძვირად ღირებულს? – ეჰ, ამის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. მაინც დავასახელებ: ოქრო, ვერცხლი, ბროლი, უცხოური საათი, გულსაბამი, მაგნიტოფონი... ვინ ჩამოთვლის... ჩემს შვილებს 50 თანაკლასელ–თანაკურსელი ჰყავთ. ე. ი. წელიწადში – 50–ჯერ 30–40 მანეთი უნდა გაიტანონ ოჯახიდან. ამას ხომ ყველა ოჯახი ვერ შეძლებს? მაგრამ უნდა გავძვრეთ გველის ხვრელში და შვილს არ უნდა ვაწყენინოთ. მე მუშაკაცი ვარ და მარტო ჩემი მარჯვენა არის ჩემი ოჯახის მამამარჩენალი. სწორედ ამან ამივსო მოთმინების ფიალა და ამ ჯავრმა მომიყვანა თქვენთან. უფროსებს მხოლოდ შვილები გვხარებენ და გვაცოცხლებენ, გვიყვარს მათი მეგობრები, ახალგაზრდობა, ისინი ხომ ჩვენი მამულის პატრონები უნდა იყვნენ? მაგრამ, მართალი გითხრათ, გულგამწყრალი ვარ მათზე. სიტყვები – „დაბადების დღე“ აღარ მახარებს, პირიქით, მუხლს მჭრის, გულს მტკენს, ტანში მზარავს, არადა რატომ უნდა იყოს ასე?

– პატივცემულო გ., მაინტერესებს, თქვენს შვი-

ლებს საოჯახო შრომა თუ უყვართ, რას საქმიანობენ შინ?

– დღეგრძელი ბრძანდებით, დამასწარით. ესეც ჩემი სულის დიდი სატკივარია. აკი მოგახსენეთ: ჩემს შვილებს წიგნების კითხვა უყვართ–მეთქი, გაკვეთილებსაც გულისყურით ეკიდებიან, მაგრამ ფიზიკურ შრომას დიდად გაურბიან – არ ალაგებენ სახლს, არ რეცხავენ ტანსაცმელს, არ წმენდენ იატაკს, არ მეხმარებიან ბაღში და სხვა. მათი დედაც სცოდავს – არ აბამს გოგონებს საოჯახო საქმიანობაში, არ ასწავლის კერვას, კერძების კეთებას... მერეც ეყოფათ ამგვარი ტანჯვაო, – განმიმარტავს ხოლმე. გაკვეთილების მომზადების შემდეგ დარჩენილ დროს ანდომებენ ტელევიზორს, კინოს, კონცერტს, თეატრს, მოდების ჟურნალებს, სარკესთან ტრიალს, დასვენებას, დაბადების დღეებისათვის მზადებას, იქ დასწრებას, ახალი მოდის ტანსაცმლის მკერავებთან სიარულს... იმისათვისაც კი ვერ იცლიან, რომ ბაღში მუშაობით დაღლილს წყალი მომიტანონ დასალევად ან ქათმებს მიუყარონ საკენკი, დაარწყულონ ისინი. აბა, რა ვარგისია ის ახალგაზრდა, რომელსაც არც ოჯახისა და არც თავისი სამშობლოსათვის სასარგებლო სამსახური არ უყვარს? მოთხოვნილებები კი, გაგაიხარიათ, დიდი აქვთ. გართობა–დასვენებას კი არ იკლებენ, ყოველ ზაფხულში ორ კურორტს იცვლიან. გაუგიათ: ზღვის შემდეგ მთის ზონაში დასვენებაა კარგიო და იმას კი აღარ

დაგიდევენ, თუ რა უჯდებათ მშობლებს ეს. აი, რა მიფორიაქებს სულს, ფიზიკურ ძალას მართმევს და, რაც დრო გადის, მდგომარეობაც მიუარესდება. რა ვქნა, რა ვიღონო? ვერც ამ საშინაო საკითხს ვაწესრიგებ და ვერც ვერავის ვუმხელ ამ ჩემს დარდს. აი, თქვენ პირველი ადამიანი ბრძანდებით, ვისაც გაგანდეთ ჩემი გულის ტკივილი და საიდუმლოება, გაგანდეთ, რადგან თქვენი მჯერა, ვიცი, რომ ძეხორციელთაგანი თქვენზე უკეთ ვერავინ გამიგებს. აი, თქვენ, რომ შემეკითხეთ: რა მოხდა, რა გიჭირთო? პასუხიც ესაა, – ამოიოხრა მამამ.

... მამა სკოლაში მოვიდა? – გაკვირვებით იკითხეს იმ პედაგოგებმა, რომელთაც პირველად შენიშნეს სკოლაში ფეხშემომცდარი მამა. დიახ, მოვიდა, მაგრამ... სწორედ ასეთ ნაბიჯზე შეუნიშნავთ: „გვიანღა არის თითზე კბენანიო“ შეუნიშნავთ, მაგრამ უსაშველო მაინც არაა, რამდენი ახალგაზრდა მამა შეიძლება ჩავარდეს ამ მდგომარეობაში? სწორედ ეს იყო ერთ–ერთი მიზეზიც იმისა, რამაც ეს წერილი დამაწერინა.

უზნაძის პედაგოგიური კონცეფცია 1910-1916 წლებში ჩამოყალიბდა. ეს იყო ერთიან მეთოდოლოგიურ საფუძველზე აგებული შეხედულებათა სისტემა, რომელიც მოიცავდა ყველა ძირითადი პედაგოგიური ცნების ზუსტ განმარტებას. ასეთი ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური საფუძველი დაედო ერთიანი და აქტიური პიროვნების როგორც

აღზრდის ობიექტის იდეას. იდეას, რომელიც შემდეგ განწყობის თეორიაში გადაიზარდა.

პედაგოგიური შეხედულებების საფუძველი პრაქტიკული პედაგოგიური მოღვაწეობა გახლდათ. როგორია დ. უზნაძის პედაგოგიური კონცეფციის არსი?

ჯერ კიდევ ადრეულ ნაშრომში „ექსპერიმენტული პედაგოგიკის შესავალი“, შეიძლება ითქვას, გადაჭრილი იყო პედაგოგიკის ძირითადი პრობლემები:

1. დ. უზნაძის თეორიის მიხედვით, რა მნიშვნელობა ენიჭება ქცევის შესწავლას ადამიანის განვითარების სხვადასხვა საფეხურის თავისებურებათა შესასწავლად?

დიმიტრი უზნაძე ქართული ფსიქოლოგიური სკოლის ფუძემდებელი და „განწყობის თეორიის“ ავტორია. მან ჩაუყარა საფუძველი საქართველოში ბავშვის ფსიქოლოგიის მეცნიერულ კვლევას. მისი თეორიის მიხედვით, ადამიანის განვითარების სხვადასხვა საფეხურის თავისებურებათა შესასწავლად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქცევის შესწავლას იმ თვალსაზრისით, რომ სწორედ ქცევის ფორმა ანიჭებს ყოველ ასაკობრივ საფეხურს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ ელფერს.

2. როგორ განმარტავს ქცევას უზნაძე?

ქცევა აქტივობაა და ნიშნავს სუბიექტის გარემოსთან, გარე სინამდვილესთან ურთიერთობას. ქცევა განისაზღვრება მოთხოვნილებით და

იმ საგნით, რომელმაც ეს მოთხოვნილება უნდა დააკმაყოფილოს. მაგრამ საგანი უშუალოდ როდი განსაზღვრავს ამა თუ იმ ქცევის აქტს. უზნაძე ქცევის პროცესს ასე აღწერს: ცოცხალი ორგანიზმი გარკვეული მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად მიმართავს გარე საგნობრივ სინამდვილეს, გარემო უშუალოდ მოქმედებს მასზე და იმ საგნის შესატყვისი მოქმედებისკენ განაწყობს, რომელმაც ეს მოთხოვნილება უნდა დააკმაყოფილოს.

3. ქცევის რამდენ კატეგორიას გამოყოფს უზნაძე და როგორ აღწერს მათ?

უზნაძე ქცევის ორ ძირითად კატეგორიას გამოყოფს: ექსტეროგენურსა და ინტროგენურს. ექსტეროგენურია ქცევა, როდესაც ის იმპულსს იღებს გარედან (საგნისგან) და წარიმართება გარედან განსაზღვრული განწყობით. მაგრამ როდესაც ორგანიზმს არ აქვს რაიმე საგნობრივი, პრაქტიკული მოთხოვნილება, ის პასიურ, უმოქმედო მდგომარეობაში კი არ არის, არამედ მას თავად აქტივობის, მოქმედების მოთხოვნილებაც აქვს. მოთხოვნილებას, რომელიც ცოცხალ ორგანიზმს უჩნდება მაშინ, როდესაც მისი ძალები უმოქმედოდ რჩება და ის აღარ არის იძულებული, გარკვეული პრაქტიკული მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ამოქმედდეს, უზნაძე ფუნქციონალურ ტენდენციას უწოდებს. ამ შემთხვევაში ქცევა (აქტივობა) გარედან კი არ არის გან-

საზღვრული, არამედ შინაგანი იმპულსიდან გამომდინარეობს და იმ განწყობით წარიმართება, რომელიც გარკვეული სახით სუბიექტის გამოცდილებიდან მომდინარეობს. ეს ქცევა თავისუფალია გარე იძულებისგან, ის ორგანიზმის შიგნიდან წარმოიშობა, ამიტომ მას უზნაძე ინტროგენურ ქცევას უწოდებს.

4. დაასახელეთ ექსტეროგენული და ინტროგენული ქცევის ფორმები უზნაძის კლასიფიკაციის მიხედვით.

ექსტეროგენური ქცევის ფორმებია:

– მოხმარება;

– მომსახურება;

– შრომა;

– საქმე.

5. ქცევასთან მიმართებით როგორ განმარტავს თამაშს უზნაძე?

თამაშს უზნაძე მიიჩნევს ბავშვის ქცევის სპეციფიკურ ფორმად. ადრეული ბავშვობის ასაკში ქცევის სხვა ფორმები, გარდა თამაშისა, განსაკუთრებით _ ექსტეროგენური, ან საერთოდ არ შეინიშნება, ან ძალიან იშვიათად გვხვდება. თუმცა თამაში დამახასიათებელია არა მხოლოდ ადრეული ბავშვობის ან სკოლამდელი ასაკისთვის, არამედ სასკოლო (8-10 წლის) და მოზრდილი ასაკისთვისაც.

6. რა უდევს თამაშს საფუძვლად?

თამაშს როგორც ქცევას საფუძვლად უდევს

ფუნქციის სიამოვნება, ანუ თამაშის ძირითადი მოტივი ბავშვისთვის თვით აქტივობისგან სიამოვნების მიღებაა.

7. ქცევის როგორი ფორმაა სწავლა?

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სწავლა, როგორც ქცევის ფორმა. უზნაძე მიიჩნევს, რომ ქცევის ფორმები ადამიანის ცხოვრებაში ისე მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს, რომ ხშირად რთულია, ესა თუ ის კონკრეტული ქცევა რომელიმე აღნიშნულ ფორმას მიაკუთვნო. სწორედ ასეთი ქცევის ფორმაა სწავლა. თუ ჩავთვლით, რომ სწავლა შრომის, კერძოდ კი გონებრივი შრომის ერთ-ერთი სახეობაა, მაშინ ის ქცევის ექსტეროგენური ფორმა უნდა იყოს. მაგრამ ეს ასე არ არის. იმისთვის, რომ ვნახოთ, არის თუ არა მსგავსებასთან ერთად განსხვავებაც სწავლასა და შრომას შორის, ერთმანეთს უნდა შევადაროთ ამ ორი ქცევის პროდუქტი. როდესაც შრომასთან გვაქვს საქმე, ყოველთვის ვგულისხმობთ გარკვეულ პროდუქტს, რომლის შესაქმნელადაც შრომითი ენერგია დავხარჯეთ. შრომის ცნება, გარდა ამ პროდუქტის შექმნისა, არავითარ სხვა ეფექტს არ ითვალისწინებს. რაც შეეხება სწავლას, აქ საქმე სხვაგვარადაა. მაგალითად, ბავშვს ვასწავლით წერას. მან უკვე ისწავლა ასოების წერა, შემდეგ ორი სიტყვის დაწერა შეძლო. ამ პროცესში ის სწავლობს არა მხოლოდ იმ კონკრეტული ასოების ან სიტყვების წერას, არამედ იძენს თავისი კუნთე-

ბის განსაზღვრული მიმართულებით აქტიურად ამოქმედების უნარს, რაც ეხმარება სხვა ასოების, სხვა სიტყვების ადვილად დაწერაში. ამიტომაა, რომ აღარ არის აუცილებელი ბავშვს სათითაოდ ყველა სიტყვის დაწერა ვასწავლოთ. წერა-კითხვის მცოდნეს თავისუფლად შეუძლია ისეთი სიტყვის დაწერაც, რომელიც არათუ არასოდეს დაუწერია, არამედ არც არასდროს გაუგონია.

8. რატომ ითვლება სწავლა ქცევის სრულიად თავისებური ფორმად, რომელიც არ შეიძლება გავაიგივოთ თამაშთან, შრომასთან თუ ქცევის რომელიმე სხვა ფორმასთან?

სწავლის ცნება ძალიან ფართოა. არ არსებობს ექსტეროგენური ქცევის არც ერთი ფორმა, რომლის სწავლის საგნად გადაქცევაც არ შეიძლება. უზნაძე ამას სწავლის გენერალურ ხასიათს უწოდებს და იმით ხსნის, რომ სწავლის დროს მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იმ ჩვევების, უნარებისა და ცოდნის შეძენა, რასაც ამ დროს ბავშვი იღებს, არამედ მოზარდის ძალების განვითარება განსაზღვრული მიმართულებით. სწორედ ამ თვისებით ჰგავს სწავლა თამაშს, ანუ მოზარდის ძალთა განვითარება ისეთივე სპეციფიკურია სწავლისთვის, როგორც თამაშისთვის. თამაშიც, თავის მხრივ, ქცევის ისეთივე გენერალური ფორმაა, როგორიც სწავლა. აქედან თითქოს უნდა გამომდინარეობდეს დასკვნა, რომ თამაში და სწავლა ქცევის ერთსა და იმავე ფორმას წარმოადგენს, მაგრამ ეს ასე

არ არის. თამაშის დროს ქცევის იმპულსი ფუნქციონალური ტენდენციაა, ანუ ამ ასაკის ბავშვის ქცევას წარმართავს ფუნქციური სიამოვნება. ამიტომ, როდესაც ბავშვი შედის სკოლაში და იწყებს სწავლას, მისი ინტელექტუალური ფუნქციების ასამოქმედებლად უფრო ეფექტური იქნება თამაშის გამოყენება, ანუ სწავლის წარმართვა თამაშით.

როდესაც სწავლის შესახებ ვსაუბრობთ, ძნელია იმის თქმა, რომ ქცევის იმპულსი აქაც ფუნქციონალური ტენდენციაა. სწავლა ყოველთვის გულისხმობს იმას, რაც ისწავლება, ანუ მოსწავლეს ვაწვდით საგანს გარედან, გარედან ავამოქმედებთ მის ძალებს, ე. ი. სწავლა როგორც ქცევა გარეგან იმპულსზე იგება.

როდესაც ბავშვს გარკვეულ ასაკში მეტყველების ფუნქცია მოუმწიფდება, უჩნდება შინაგანი იმპულსი _ მეტყველების ფუნქციის ამოქმედების ტენდენცია, მაგრამ თუ მას გარედან არ მივაწოდეთ გარკვეული ენობრივი მასალა, მისი ფუნქციონალური ტენდენციის დაკმაყოფილება შეუძლებელია.

9. უზნაძის მიხედვით, რაში მდგომარეობს "აღზრდის ტრაგედია“?

ბავშვი არ არის პატარა მოზრდილი. აღმზრდელი ვერ მიაღწევს მიზანს, თუ არ ჩასწვდა ბავშვის ბუნებას. სწორედ ამიტომ პედაგოგიკა ბავშვის ფსიქოლოგიური არსის შემეცნებას ეფუძნება.

აღზრდის მიზანთა სოციალური ბუნების აღიარებას მიჰყავს დ. უზნაძე აღმზრდელობითი პროცესის უმთავრესი წინააღმდეგობის აღმოჩენამდე, რომელსაც მან „აღზრდის ძირითადი ტრაგედია“ დაარქვა.

უფსკრული აღმზრდელისა და აღსაზრდელის მისწრაფებათა შორის ჩნდება იმიტომ, რომ აღმზრდელი, როგორც სოციალური მიზნების მატარებელი, თუმცა კი მიაჩნია, რომ აღსაზრდელის მომავალი კეთილდღეობით ხელმძღვანელობს, სინამდვილეში არ აქცევს ყურადღებას აღსაზრდელის სურვილებს, არ ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ თავისებურებებს და ხელმძღვანელობს საკუთარი მოტივებით. ის, რაც, აღმზრდელის აზრით, კეთილდღეობაა, აღსაზრდელისთვის ხშირად წვალებად იქცევაო, _ წერდა დ. უზნაძე.

10. უზნაძის მიხედვით, რაში მდგომარეობს "აღზრდის ტრაგედის“ გადალახვის სტრატეგია?

„აღზრდის ტრაგედიის“ გადალახვაში გადამწყვეტ როლს უნდა ასრულებდეს მასწავლებელი, რომელსაც ძალუძს „ემპირიული ზედაპირიდან ადამიანის არსში შეღწევა“. პედაგოგიური პროცესის ძირითადი პირობა სწორედ ბავშვის ბუნების უშუალო წვდომაა, მისი გრძნობებისადმი, „სულიერი მღელვარებისადმი“ თანაგრძნობა – ის, რასაც ახლა ემპათიურ უნარებს ეძახიან. მხოლოდ ბავშვის ფსიქოლოგიის ცოდნა მისცემს შესაძლებლობას მასწავლებელს, უმ-

ტკივნეულად შეუხამოს სოციალური ხასიათის მიზნები.

11. უზნაძის მიხედვით, რას წარმოადგენს განწყობა?

უზნაძის მიხედვით, განწყობა წარმოადგენს ადამიანის მთლიან პიროვნულ მზაობას გარკვეული ქცევისადმი. „სანამ ცოცხალი არსება რაიმე ქცევას მიმართავდეს, მას უკვე მანამდე აქვს ეს ქცევა გ ა ნ წ ყ ო ბ ი ს სახით მოცემული“.

განწყობის ცნების შინაარსს უზნაძე ინდივიდის მიზანშეწონილი ქცევის ანალიზიდან გამომდინარე ხსნის: რა განსაზღვრავს ადამიანის ქცევას? მოთხოვნილება, რომელიც რაღაცის დეფიციტს გულისხმობს. მოთხოვნილება არის ის სუბიექტური, მაგრამ არასაკმარისი ფაქტორი, რომელიც აუცილებელია ქცევის განსახორციელებლად.

12. დავაკონკრეტოთ...

თუ ადამიანს შემეცნებითი მოთხოვნილება აქვს, ის სათანადო სიტუაციას ეძებს მის დასაკმაყოფილებლად. მაშასადამე, სიტუაცია, გარემო წარმოადგენს ობიექტურ, აუცილებელ ფაქტორს ქცევის განხორციელებისთვის.მოთხოვნილებისა და სიტუაციის თანხვედრის შედეგად ადამიანს უჩნდება განწყობა. განწყობავე განსაზღვრავს ადამიანის გარკვეულ ემოციურ დამოკიდებულებას ახალი ინფორმაციისადმი, წინასწარ ამზადებს გარკვეული ქცევისადმი, შესატყვისი ძალებისა და შესაძლებლობების მობილიზაციას ახდენს.

გარე სინამდვილესთან ურთიერთობის პროცესში პიროვნება, რომელიც მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ესწრაფვის, სიტუაციის შესატყვისად იცვლება.

13. ახლა კი ერთი მაგალითიც განვიხილოთ...

ერთ-ერთ სამაგალითო ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი: როდესაც ადამიანი პურის შესახებ რუსს ესაუბრება, მას ენაზე თავისთავად ადგება სიტყვა „ხლებ„; როდესაც იგი გერმანელთან დაიწყებს საუბარს, მაშინ მას შესაფერი გერმანული სიტყვა „ბროტ“ აგონდება. რატომ? რა უდევს საფუძვლად ამ გარემოებას? პასუხი ასეთია: რუსთან საუბრის დროს ადამიანი რუსულად სალაპარაკოდ არის განწყობილი, გერმანელთან საუბრის დროს – გერმანულად სალაპარაკოდ. მაშასადამე, რა სიტყვა მოგადგება ენაზე ყოველ კერძო შემთხვევაში, იმაზეა დამოკიდებული, თუ რა ენაზე ლაპარაკის განწყობა გაქვს“. ასეთი წინასწარი მზაობა განსაზღვრავს არა მხოლოდ ქცევას, არამედ აღქმის შინაარსსაც. მაგალითად, ჩასაფრებულ მონადირეს, რომელიც დათვს ელოდება, ადამიანი შეიძლება დათვად მოეჩვენოს. ეს წინასწარი მზაობა ადამიანის ემოციურ დამოკიდებულებასაც განსაზღვრავს: წინასწარ შექმნილი დადებითი დამოკიდებულება დადებითად შეაფასებინებს რომელიმე მოვლენას.

14. რატომ უნდა იცოდეს ეს ყველაფერი მასწავლებელმა, რით დაეხმარება მას ამის ცოდნა

გაკვეთილების, აქტივობების წარმატებით ჩატარებაში?

მასწავლებელს და მოსწავლეს ყოველ ახალ აქტივობაში ჩასართავად სჭირდებათ სპეციალური მზაობა, განწყობა, რომელიც აამოქმედებს მოსწავლის სათანადო ძალებსა და უნარ-ჩვევებს. მასწავლებელმა მოსწავლეს სამოქმედოდ განწყობილ ძალებზე გათვლილი სასწავლო აქტივობები უნდა მიაწოდოს.სასწავლო პროცესი იმაზე უნდა იყოს ორიენტირებული, რომ მოსწავლეს ადამიანის ერთ-ერთი დამახასიათებელი მოთხოვნილება, ინტელექტუალური მოთხოვნილება (ცნობისმოყვარეობა), ე.წ. ცოდნის წყურვილში გადაეზარდოს.

15. როგორ გამოვიყენოთ უზნაძის კონცეფცია საკლასო ოთახში?

პედაგოგმა უნდა გადადგას შემდეგი ნაბიჯები:

1. შეუქმნას მოსწავლეს განწყობა;

2. მოარგოს მასალა მოსწავლეს – აქტუალური დონე – წინსვლა;

3. შექმნას მოსწავლის სწავლაზე ორიენტირებული საკლასო გარემო.

როგორ?

1. შევუქმნათ მოსწავლეს განწყობა.

სასწავლო პროცესის ეფექტიანობა, პირველ რიგში, სწავლისადმი დადებითი განწყობის შექმნას გულისხმობს, ანუ მთლიან პიროვნულ მზაობას, რომელიც განსაზღვრავს აქტივობაში მოსწავლის ჩართვას. თუ ახალი აქტივობის მი-

მართ (დისკუსია, ახალი ტიპის ტესტები) მოსწავლეებს დადებით ემოციურ დამოკიდებულებას შეუქმნით, შედეგი აუცილებლად დადებითი იქნება.

გახსოვდეთ, რომ ბავშვის განვითარება მხოლოდ აქტივობის პროცესშია შესაძლებელი.

2. მოვარგოთ მასალა მოსწავლეს /აქტუალური დონე +წინსვლა/.

დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორ მოარგებთ სასწავლო მასალას მოსწავლის განწყობას, მის სამოქმედოდ განწყობილ ძალებს.

როგორი უნდა იყოს ეს მასალა?

„იგი, ერთი მხრივ, შესაფერისი უნდა იყოს მოწაფის ძალთა განვითარების აქტუალური დონისათვის; მეორე მხრივ, იგი დაშორებულიც უნდა იყოს მას საკმარისად. წინააღმდეგ შემთხვევაში წინსვლა შეუძლებელი იქნება. მასწავლებლის ჩარევა სწორედ ამ პირობის რეალიზაციას ახდენს, მასწავლებელი მასალას ისე აწვდის მოწაფეს, რომ იგი მისაწვდომი გახდეს. მასწავლებლის როლი სასწავლო მასალისა და მოწაფის ძალთა შორის შუამავლობასა და მისი ნამდვილი განვითარების შესაძლებლობის აუცილებელი პირობის შექმნაში მდგომარეობს“ /უზნაძე/.

გახსოვდეთ, რომ ბავშვის განვითარება დაფუძნებულია იმ კიბეზე, სადაც ათვისებული და განჭვრეტილა პედაგოგიური სრულფასოვნება, ამიტომ საკლასო ოთახში შექმენით ბავშვის

განვითარების შესატყვისი გარემო. გახსოვდეთ, რომ მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება, პირველ რიგში, მოსწავლეების ინტერესებისა და სურვილების გათვალისწინებას გულისხმობს. გახსოვდეთ, რომ ბავშვის განვითარება მის ინტერესებსა და სურვილებზეა დაფუძნებული.

მრავალი მოსწავლისთვის ისტორიის გაკვეთილი ძნელად დასამახსოვრებელ თარიღებთან, ფაქტებსა და გაუთავებელ ომებთან ასოცირდება. ხშირად მოსაწყენი ენით დაწერილი ვრცელი მასალა ბავშვს შანსს არ უტოვებს, მის არსში საფუძვლიანად გაერკვეს. ამიტომ რა გასაკვირია, რომ მოსწავლეების უმრავლესობა თარიღების დაზუთხვით შემოიფარგლება.

მოსწავლის ისტორიით დასაინტერესებლად ბევრი რამ მასწავლებელზეა დამოკიდებული, მით უმეტეს, თანამედროვე სკოლაში საამისოდ უამრავი პედაგოგიური ინსტრუმენტი არსებობს. ამჯერად იმაზე გესაუბრებით, როგორ შევძინოთ ისტორიის გაკვეთილს განსაკუთრებული ხიბლი.

გაკვეთილის დემოკრატიულობა. ისტორია იმ იშვიათ სასწავლო დისციპლინათაგანია, რომელშიც მოსწავლე შეიძლება მაქსიმალურად ჩაერთოს და იაქტიუროს. საგნისადმი გონივრული მიდგომით მასწავლებელი ბიძგს აძლევს მოსწავლეს, ლოგიკურად იმსჯელოს, ფაქტები ერთმანეთს დაუპირისპიროს, იწინასწარმეტყველოს

მოვლენები. ამისთვის კი საკმარისია, მასწავლებელი გაერიდოს მასალის ლექციად გადმოცემის ტრადიციულ ფორმას და მეკავშირედ ბავშვის ბუნებრივ ცნობისმოყვარეობას მოუხმოს, აიძულოს მოსწავლეს, ღრმად ჩასწვდეს ამა თუ იმ საკითხს, გააკეთებინოს აღმოჩენა. ასეთი გაკვეთილისთვის მასწავლებელი წინასწარ უნდა განეწყოს, მოსწავლემ კი იგრძნოს, რომ ის არ არის მხოლოდ თავისუფალი მსმენელი, ისტორიის გაკვეთილზე ის ისტორიკოს-მკვლევარია.

ხშირად მასწავლებელი შიშობს, რომ ისედაც მცირე საგაკვეთილო დრო ახალი მასალის ასახსნელად არ ეყოფა. სინამდვილეში საშიში არაფერია. თუ მოსწავლეს მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენების შესახებ უჩვეულოდ ვუამბობთ, შინ მას თემაში ჩაღრმავების სურვილი აუცილებლად გაუჩნდება.

ყველაზე პოპულარული მეთოდი გაკვეთილის მსვლელობისას ვიზუალური წყაროს მოშველიებაა. „საშინაო დავალების“ შემოწმების შემდეგ მასწავლებელი გაკვეთილის თემასთან დაკავშირებულ ნახატებს ან ფოტოსურათებს წარმოადგენს. ვიზუალური წყაროს გაანალიზებისას ბავშვებს უკეთ ამახსოვრდებათ ისტორიული პერსონაჟები და მოვლენათა კონტექსტი. მასწავლებელი და ბავშვები ერთი გუნდია, ისინი ერთობლივად იკვლევენ განსაზღვრულ ისტორიულ პერიოდს. მასწავლებელმა მთლიანად უნდა გა-

მოიყენოს ბავშვების ემოციურობა და აზარტულობის რესურსი. მაგალითად, არ უნდა დასვას კითხვა ასე: „რას აკეთებს ეს ადამიანი ამ ნახატზე, რა დროა?“ უმჯობესია, თქვას: „ახლა კი ყურადღებით, სუპერკითხვა შემოგინახეთ!“ ან „ვინ შეძლებს იმ საიდუმლოს ამოცნობას, რომელსაც ისტორია ამდენი ხანია გვინახავს?“ თუ მოსწავლეებმა ყურადღება არცთუ მნიშვნელოვან მოვლენაზე გაამახვილეს, მასწავლებელი მათ ინტერესს უნდა მიჰყვეს, რათა ბავშვებმა ძირითად თემასთან დაბრუნების მოტივაცია არ დაკარგონ.

დროდადრო ძალიან კარგია ანკეტირება. სთხოვეთ მოსწავლეებს, დაგიწერონ, რომელი გაკვეთილი დაამახსოვრდათ, რა ფორმით ურჩევნიათ მისი ჩატარება, გაეცანით მათ სურვილებს. იფიქრეთ ამაზე. ეს გაზრდის გაკვეთილის ეფექტურობას, დაგეხმარებათ სამუშაოს კოორდინირებასა და დაგეგმვაში.

ვსწავლობთ თამაშით. ინტელექტუალური თამაშის ტიპის გაკვეთილები მასწავლებელმა წელიწადში რამდენჯერმე უნდა ჩაატაროს. ბავშვებს მოსწონთ თამაშის გმირთა როლების მორგება, მოვლენების შუაგულში ყოფნა. არ არის აუცილებელი, მასწავლებელმა ველოსიპედი გამოიგონოს; შეიძლება მარტივი "რა, სად, როდის" ან სხვა უკვე აპრობირებული თამაშის გამოყენება. რამდენიმე გაკვეთილის შედეგის შესამოწმებლად ასეთი თამაში საუკეთესო მეთოდია.

პედაგოგმა არ უნდა დაივიწყოს, რომ ბავშვისთვის მნიშვნელოვანია ანტურაჟი. ამაში მას თვალსაჩინოებები და რეკვიზიტი დაეხმარება. გარდა ამისა, ბავშვების წარმატება მატერიალიზებული უნდა იყოს: ვინც თავს გამოიჩენს, არ არის საკმარისი, მხოლოდ მაღალი ნიშანი დავუწეროთ, - აუცილებელია სიგელების, მედალიონების, სიმბოლური საჩუქრების გადაცემა.

იმისთვის, რომ კლასი ღონისძიებაში მაქსიმალურად იყოს ჩართული, ბავშვები ჯგუფებად დაანაწილეთ. ძირითადი აუდიტორია უშუალო მონაწილეებისგან შედგება, დანარჩენები მულტიმედიური პრეზენტაციის მოწყობაში ეხმარებიან. კარგი იქნება, თუ ბავშვს წამყვანის, ჟიურის ან არქივარიუსის როლს მიანდობენ. ასეთი გაკვეთილები არ მოითხოვს გრანდიოზულ მომზადებას; ბავშვები თვითონ მოამზადებენ ყველაფერს, მასწავლებელს მხოლოდ როლების სწორი გადანაწილება და თამაში-გაკვეთილის სცენარის მოფიქრება დასჭირდება.

არასტანდარტული გაკვეთილი მოსწავლეებს კარგა ხანს ახსოვთ და საგანიც უყვარდებათ.

კინოსეანსი . კინოჩვენების მოწყობა კლასშივე შეიძლება, თუმცა, ერთ გაკვეთილში „ვერ ჩაეტევით“, ამიტომ ორი გაკვეთილიც რომ დაეთმოს, არაფერია. მთავარია, ისტორიული ფილმი საინტერესო იყოს. მანამდე მასწავლებელმა ამ თემით ბავშვები უნდა დააინტერესოს, „რეკლამა

გაუწიოს“ ვიდეომასალას, უამბოს მოსწავლეებს პირადი შთაბეჭდილებების შესახებ. ასეთი გაკვეთილები ბავშვებს აზროვნების უნარსა და მხატვრულ-ესთეტიკურ გემოვნებას უვითარებს.

ისტორიული გამოცანების გაკვეთილი. ესეც თავისებური თამაშია. კლასი ქვეჯგუფებად არის გაყოფილი. ყოველი ქვეჯგუფი ისტორიაში გამოცანების გამოცნობას ცდილობს. მთავარ კითხვაზე პასუხის გასაცემად მათ რამდენიმე დავალება უნდა შეასრულონ. ეს შეძლება იყოს ტესტები, ლოგიკური ჯაჭვი, სურათებზე ისტორიული პირების ამოცნობა, ბლიცები და სხვ. არ არის აუცილებელი, მთავარი კითხვა რომელიმე ისტორიული ფაქტის ამოცნობას ითვალისწინებდეს; მან მოსწავლეს ანალიტიკური აზროვნება უნდა განუვითაროს, მას აღმზრდელობითი ფუნქცია უნდა ჰქონდეს.

ისტორიით მოსწავლეების დაინტერესებას მხოლოდ ნიჭიერი მასწავლებელი ახერხებს. მის გაკვეთილს ბავშვები ყოველთვის მოუთმენლად ელიან და არ აცდენენ. მასწავლებელმა კრეატიულობა არ უნდა დაკარგოს და არ უნდა ჰქონდეს ერთფეროვანი პასუხი ყველა კითხვაზე, თუნდაც ყველაზე მარტივზე: "მასწ, რატომ ჩაიძირა „ტიტანიკი?“.

ოჯახისა და სკოლის ურთიერთობებზე უამრავი რამ თქმულა და დაწერილა, მაგრამ დღეს მინდა მშობლის ფუნქციების ზოგიერთ საკითხს შევეხო, ნათქვამია, ადამიანი სკოლაში ორჯერ შედის,

ერთხელ თვითონ, მეორედ თავის შვილებთან ერთადო. თუმცა მოზრდილი ადამიანი, ახლა სხვა საზრუნავს მიჰყავს სკოლაში, რაც მას განსაკუთრებულ გრძნობას უღვიძებს.

მშობელთა და ბავშვთა ურთიერთდამოკიდებულება შეიძლება ოთხ ეტაპად გამოვყოთ:

– მშობელთა ქცევის აღთქმა ოჯახთან დამოკიდებულების პროცესში;

– ბავშვის ქცევა, რომელიც მოითხოვს შეფასებას;

– საკუთარი ქცევის შედეგების განცდა, პირობების შექმნა კარგი ქცევისათვის;

– ურთიერთობის სუბიექტური მოდელის შექმნა.

პირველ ეტაპზე ბავშვებს ექმნებათ წარმოდგენა მომავალ პროფესიაზე, საქმიანობაზე და უფროსების დამოკიდებულებაზე შრომისადმი. მეორე ეტაპზე ბავშვები მშობლების ხელმძღვანელობით აქტიურად ასრულებენ მისი ძალების შესაფერის სამუშაოს, მესამე ეტაპით, ბავშვი, რომელიც დაეუფლება პირველდაწყებით ცოდნას, იწყებს შესასრულებელი საქმიანობის სარგებლიანობის შეგნებას. მეოთხე ეტაპით უნდა მივაღწიოთ რომ ბავშვმა რაც შეიძლება ადრე გამოავლინოს ინიციატივა და პირადი პასუხისმგებლობა თავისი ქცევის გამო.

ხშირად ბავშვები მოკლებულნი არიან მშობლებთან მჭიდრო კავშირს, ტყუილად კი არ გამოთქვამს სურვილს ბევრი მათგანი, რომ მშობლებმა

შეიცვალოს პროფესია, რამეთუ მეტი დრო ჰქონდეთ ოჯახში ერთად ყოფნისა.

არაპედაგოგიურია ბავშვების ფიზიკური დასჯა, აი მეექვსეკლასელმა გოგონამ გეომეტრიაში ორიანი მიიღო, დედამ სცემა და ამით თავის, მშობლის, მოვალეობა შესრულებულად ჩათვალა, მაგრამ შედეგი? ხომ სჯობდა ჰუმანურად მოჰკიდებოდა შვილის გულახდილ აღიარებას და მასთან ეპოვა სწორი გამოსავალი? – გამოერკვია, რა იცოდა და რა არა ბავშვმა, დახმარებოდა მას, ამ შემთხვევაში ბავშვის გულში დაისადგურებდა რწმენა, რომ დედა ყველაზე საიმედო მეგობარია, რომ ის მძიმე წუთებში ყოველთვის დაეხმარება შვილს. აქ კი ყველაფერი პირიქით მოხდა: – ფიზიკური ზემოქმედებით შეურაცხყოფილმა ბავშვმა დიდიხნით გაწყვიტა კავშირი მშობლებთან.

დამნაშავე ბავშვის სულში ღრმა კვალს ტოვებს ის, თუ როგორ გაიგებენ მის განცდებს მშობლები, ამიტომაც ყველაზე სათუთი დამოკდებულება ამ ასპექტშიაც გვმართებს.

„კარგი ჩვევები – წერს ინგლისელი მწერალი ქალი ბარბარა კარმლენდი, – კარგ ოჯახში იწყება“. მართლაც, თუ ბავშვები ადრეულ ასაკში ჯერ ვერ ეჩვევიან თავაზიანობის გამომხატველ ყველაზე მარტივ სიტყვებს, ხოლო შემდეგ მშობლებისაგან აღითქვამენ უფროსებთან ურთიერთობას და მეგობრობას, მაშინ შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ, რომ თავაზიანობის ეს ადრეული

„მარაგი“ უქმად არ ჩაივლის, მაგრამ მშობელთა განზრახვამ ასწავლონ შვილებს საზოგადოებაში ქცევის ნორმები, ადვილად შეიძლება შედეგი არ გამოიღოს, ბევრი მშობელი ბავშვისაგან მოითხოვს თავაზიანად მოქცევას ოჯახის გარეთ, ხოლო ოჯახში მას ზოგჯერ უხეშობასაც და უყურადღებობასაც აპატიებენ.

უკანასკნელ ხანს ბევრს ლაპარაკობენ და წერენ ბავშვების გონების დაჩქარებულ განვითარებაზე – აქსელერაციაზე, ამ უკანასკნელს მეცნიერები მრავალ რაკუსში სწავლობენ, რამეთუ ბავშვებმა მართლაც, უფრო სწრაფი გონებრივი განვითარება იწყეს, ვიდრე ამ ათი–თხუთმეტი წლის წინათ მათმა თანატოლებმა, მას რაც წინათ მისაწვდომი იყო მხოლოდ სტუდენტისათვის, ახლა წარმატებით ითვისებენ გიმნაზიებსა და საშუალო სკოლებში. ბავშვები სწრაფად ვითარდებიან, მაგრამ უფროსები თითქოს შეჩერდნენ. შეიძლება სწორედ იმიტომაც არის თვალში საცემი ბავშვების გონების ესოდენი განვითარება, რომ ზოგიერთი უფროსი, მიაღწია რა გარკვეულ დონეს, წინ აღარ წასულა და ძირითადად ძველი ცოდნის ხარჯზე ცხოვრობს?

საზოგადოებას ძლიერ აწუხებს ისეთი ნეგატივები, როგორებიც „ძნელად აღსაზრდელი“ ბავშვებია, ერთმა მშობელმა ჩემთან საუბარში გულახდილად აღიარა: – ძნელად აღსაზრდელი“ ბავშვები ძნელი ცხოვრების გამო ჩნდებიან, როცა ცხოვ-

რებაში ყველაფერი ისე არ არის, როგორც წესია, ბავშვებიც ჯიუტი და ჭირვეული იზრდებიანო“. ეს საკითხი უეჭველია პოლემიკის გამოწვევისა, ბავშვი „ძნელად აღსაზრდელი“ ხდება განებივრების თუ პირიქით, მკაცრი მოპყრობით, გადაჭარბებული სისასტიკის შემდეგად, მშობლის ალერსისა და სიყვარულს მოკლებული? – ჩვენთვის ცნობილია ფაქტები, რომ ოჯახში, სადაც ერთადერთი ბავშვია, მშობლები მას ზედმეტად ანებივრებენ, რის გამოც იგი ჭირვეული და გაუგონარი იზრდება. გადაჭარბებული ზრუნვა აყალიბებს ეგოიზმს, ძნელად აღსაზდელს, მაგრამ არის სხვა უფრო საყურადღებო მიზეზიც – ბავშვების უპატრონოდ და უყურადღებოდ მიტოვება, ხშირად ბავშვის ცხოვრება არ არის ორგანიზებული, თავისუფალი დრო არა აქვთ შევსებული, ხშირად მიშვებული არიან თავის ნებაზე, ქუჩაში უსაქმურად დგომიდან – დანაშაულამდე კი ერთი ნაბიჯია, ასე ექცევიან მოზარდები ცუდი წრის გავლენის ქვეშ და საბოლოოდ საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთა შორის ხვდებიან.

ბავშვებს მეგობრობის ძლიერი ნიჭი გააჩნიათ და იგი ემოციური ხასიათისაა, უკვე მეხუთე–მეექვსე კლასიდან შეიმჩნევა, თუ როგორ იცვლება ურთიერთობა გოგონებსა და ვაჟებს შორის, ხშირად ამ დროს ვლინდება პირველი სიმპათია, სწორედ სიმპათია და არა სიყვარული. იგი სხვადასხვანაირ რაკუსშია, ზოგიერთ ბიჭს, რცხვენია

გოგონებთან მეგობრობა, ზოგიერთიც აღიარებულად მეგობრობს მათთან და მესვეურობასაც კი უწევს, არადა, ეს მეგობრობა ჩვეულებრივ, სრულიად ბუნებრივად აღმოცენდება – ისინი სწავობენ ერთ კლასში, უსხედან ერთ მერხს, ერთად დადიან წრეობრივ მეცადინეობებზე...

ამ პირველი სათუთი გრძნობის განვითარება, ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ მოეკიდებიან ამას მშობლები, აქ უბრალო ზედმეტობაც კი ბავშვების პროტესტს იწვევს, მშობლების შიში გასაგებია მხოლოდ მშობლებისათვის, მაგრამ ყოველთვის არ არის გასაგები მოზარდებისათვის. დაე, მოზარდებმა ვაჟებმაც და გოგონებმაც იმეგობრონ, ეს მეგობრობა ბუნებრივი და აღიარებული უნდა იყოს, გოგონების დადებითი ზეგავლენა, თვით ყველაზე „ძნელად აღსაზრდელ“ ბიჭზედაც კი უფრო ძლიერია, ვიდრე ამხანაგი ბიჭებისა.

ახალგაზრდას ჩვენ უნდა განვუმარტოთ და შთავაგონოთ, რომ თუ თვითონ არ მოინდომა, ვერც მასწავლებელი, ვერც მშობელი და ვერც მეგობარი ვერ დაეხმარება მას საკუთარი თავის სრულყოფაში, ასეთი საუბრები ბავშვებთან უფრო ძლიერ ეფექტს იძლევა, ვიდრე საყვედურები და მათი ქცევის მკაცრი შეფასება.

საუკეთესოა, როცა მოზარდები თვითონვე მსჯელობენ, მოქმედებენ, აანალიზებენ. ასე ხდება, როცა უფროსები ახალგაზრდებს თავს კი არ

ახვევენ თავიანთ შეხედულებებს, არამედ, თავიანთი ცხოვრების საუკეთესო გამოცდილების გადაცემით ეხმარებიან მათ და სწორ მიმართულებას აძლევენ.

მშობელთა ბრმა სიყვარული ზიანს აყენებს მოზარდს, აძნელებს მის სულიერ განვითარებას, ასაზრდოებს ეგოიზმს, ცხოვრებისადმი ნიჰილისტურ დამოკიდებულებას, ადამიანებისადმი უპატივცემულობას, უპასუხისმგებლობას და ა. შ. ეს ხდება იმიტომ, რომ მშობლები შვილების ყოველგვარ მოთხოვნას აკმაყოფილებენ და არ განუმარტავენ მათ შემდეგ ჭეშმარიტებას: ყველა ის სიკეთე, რომელსაც მოზარდი იღებს ოჯახისაგან, საზოგადოებისა და სასწავლებლისაგან ადამიანთა თავდადებული შრომის შედეგია.

მშობელთა „ყოვლისმიმტევებელი“ დამოკიდებულება შვილებისადმი ამცირებს ოჯახის აღმზრდელობით შესაძლებლობას. ეს შვილები ნაკლებად დამჯერნი ხდებიან, უფრო მეტ მატერიალურ უზრუნველყოფას მოითხოვენ და სასურველის მიუღებლობის შემთხვევაში ხშირად უკუღმართ გზას ადგებიან. მათ არ გააჩნიათ თავიანთი საქციელის კრიტიკულად შეფასების უნარი.

ზოგიერთი მშობელი მაშინ დაფაცურდება, როცა მისი შვილი სამართალს დაარღვევს, მაშინ მიხვდება, რომ შვილის აღზრდაში რაღაც გამორჩა, შეეშალა. თუმცა, როგორც დაკვირვებამ გვიჩვენა, ასეთი მშობლები შემდეგშიაც არ ითვალისწი-

ნებენ აღზრდაში დაშვებულ შეცდომებს, არ ცდილობენ, ჩაწვდნენ მოზარდის სულიერ სამყაროს, მისი ქცევის მოტივებს, მოზარდის თვალითაც შეხედოს შექმნილ ვითარებას, აქტიურად ეძებონ მასთან ურთიერთობის სწორი ფორმები. ზოგჯერ მშობლისა და შვილის ურთიერთდაცილება და ურთიერთგაუცხოება იმ დონემდე მიდის, რომ შვილმა არც კი იცის, როგორია მისი მშობელი –კეთილი თუ ბოროტი, სათნო თუ უხეში. ამის საბოლოო შედეგი კი ისაა, რომ მოზარდი ოჯახის გარეთ ეძებს მისაბაძ ობიექტს, ეძებს ავტორიტეტს, იდეალს და თუ ასეთ იდეალად, მისაბაძ მაგალითად, წესიერი და პატიოსანი ადამიანი აირჩია, ხომ კარგი, მაგრამ ზოგჯერ ვითომ რაინდს, სინამდვილეში კი ქურდსა და ავაზაკს ირჩევს ხოლმე და მაშინ მოზარდის ცუდ გზაზე დადგომას წინ აღარაფერი ეღობება.

ზოგიერთი მშობელი მოთხოვნების წაყენებისა და ურთიერთობის პროცესში სათანადო ყურადღებას არ აქცევს მოზარდის მიდრეკილებას, პიროვნულ თვისებათა ჩამოყალიბებას, სამართლებრივი აღზრდა არ ატარებს მიზანმიმართულ, სისტემურ და სისტემატურ ხასიათს, მოზარდებში არ ყალიბდება სწავლისადმი, წესრიგისადმი მართლზომიერი დამოკიდებულება.

არც თუ იშვიათია შემთხვევები, როდესაც ოჯახურ აღზრდაში თავს იჩენს ორი უკიდურესობა, ერთნი არავითარ ყურადღებას არ აქცევენ მოზარდთა შეცდომებს, რომლებიც ზოგჯერ დანა-

შაულშიც გადაიზრდება, მეორენი კი უსაფუძვლოდ უკრძალავენ და ზღუდავენ, მეტისმეტ სიმკაცრეს იჩენენ და ფიზიკურადაც სჯიან შვილებს, სამწუხაროდ, ისეც ხდება, რომ მშობელთა უარყოფითი მაგალითები – მათი უხეშობა, სიმკაცრე, ალკოჰოლით გატაცება, პარაზიტული ცხოვრება და ა. შ. დამღუპველ გავლენას ახდენს მოზარდზე.

ოჯახში შექმნილი არახელსაყრელი ვითარებისას, მოზარდს აქვს სამი გზა: დაემორჩილოს, ამბოხდეს, შეეგუოს, პირველ შემთხვევაში ის ხდება მფრთხალი, დაძაბული, გაუბედავი, მიუნდობელი, უინიციატივო, უნებისყოფო. ამბოხების შემთხვევაში მოზარდი მიდის სახლიდან, ხეტიალობს, არღვევს სამართლს. შემგუებელი – იმუშავებს განსაკუთრებული ქცევის ტაქტიკას – მოზრდილების თანდასწრებით გამგონეა, მარტო დარჩენილი კი ცუდად იქცევა. მის პიროვნულ სტრუქტურაში ყალიბდება ხასიათის ისეთი უარყოფითი ნიშნები, როგორიცაა თვალთმაქცობა, ფარისევლობა, პირმოთნეობა, მატყუარობა, ეგოიზმი.

ავჭალის არასრულწლოვანთა კოლონიაში მოზარდთა გამოკითხვამ დაგვანახა, რომ მათი დიდი ნაწილი ცხოვრობდა სრულ ოჯახებში – დედასთან და მამასთან და მატერიალურადაც უზრუნველყოფილი იყო, მაგრამ სრულიად არაჯანსაღ ვითარებაში იზრდებოდა, თუმცა დანაშაულის ჩამდენთა უმეტესობას, ბოროტმოქმედთა სამყაროსაკენ ხელმოკლეობამ უბიძგა.

მშობელთა სამართლებრივი კულტურის დონის სოციოლოგიურმა გამოკვლევამ გვაჩვენა, რომ მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ვერ ერკვევა მოქმედი კანონმდებლობის იმ ელემენტარულ საკითხებში, რომლებიც შეეხება მშობელთა უფლება–მოვალეობებს.

ბევრი მშობელი არ იცნობს აღსაზრდელის ფსიქოლოგიას, ან ძალიან ცოტა იცის მის შესახებ, ვერ ერკვევა აღზრდის საკითხებში და, რაც მეტად სამწუხაროა, არც აქვს ამის სურვილი.

არაკეთილსაიმედო ოჯახებში მყოფი მოზარდებისათვის დამახასიათებელია სიცრუე და ეგოიზმი. ასეთი თვისებების ჩამოყლაიბებას ხელს უწყობა როგორც მატერიალური ისე ზნეობრივი ატმოსფერო, აი, რას წერს ერთ–ერთი მოზარდი: „თუ ოჯახში ყველაფერი ცუდად არის, გეჩვენება, რომ მთელი სამყარო საზიზღარია და იბოღმები არა მარტო ახლობლების, არამედ ყველას მიმართ. აი, ეს ბოღმა, სურვილი – შური იძიო შენი უბედურებისათვის, განსაცდელისათვის იქცევა ბუნებრივ თვისებად და ვეღარ არჩევ შენს წინ კარგი ადამიანია, თუ ცუდი, სიკეთეს გიკეთებს თუ სიავეს“...

ზოგიერთი ოჯახი კიდევ უფრო დამახინჯებულად ასახავს რეალურ ყოფიერებას, მოზარდის ცნობიერებაზე, ფსიქიკაზე ზემოქმედება სწორედ ოჯახის უნიკალურ ზნეობრივ–ფსიქოლოგიურ პრიზმაში გარდატეხით ხორციელდება.

მტკიცე ოჯახი რომ მტკიცე სახელმწიფოს ნიშ-

ნავს, ამაზე დღეს აღარ კამათობენ. ოჯახის მასოციალიზებელი ფუნქციის გართულება და აღმზრდელობითი უნარის დაქვეითება, საერთოდ, თანამედროვე ოჯახის სტაბილობის პრობლემა დღეისათვის საყოველთაო ხასიათის აქტუალური პრობლემაა.

არსებული მდგომარეობის შესწავლა გვიჩვენებს, რომ დიდია დანგრეულ ოჯახთა რიცხვი, ბოლო ხანებში გაყრის ინიციატორებად უმეტესად ქალები გამოდიან. ზოგიერთი ბოროტად იყენებს გაყრის თავისუფლებას. ირკვევა, რომ მათი ნაწილის ქორწინების მოტივი იყო ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, საცხოვრებელ ფართზე უფლების მოპოვება, შვილის გაჩენა და შემდეგ ოჯახური ტვირთისაგან გათავისუფლება.

დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ოჯახის დანგრევა აუარესებს მოზარდის აღზრდის პირობებს, აყენებს მას უდიდეს ტრავმას, იწვევს მის გაორებას, უკარგავს ადამიანების რწმენას, გულს უცრუებს სწავლაზე...

გაყრილ ოჯახებში მოზარდები ხშირად უმეთვალყურეოდ რჩებიან. მამათა მხოლოდ მცირე ნაწილი არ წყვეტს კავშირს შვილებთან: ხვდებიან, მიწერ–მოწერა აქვთ მათთან. უმეტესობას გაწყვეტილი აქვს ურთიერთობა. ყოველივე ეს ნეგატიურად მოქმედებს აღზრდის შედეგებზე.

მოზარდისათვის ყველაზე უფრო თავზარდამცემია, როცა დედა ივიწყებს თავის უპირველეს

მოვალეობას, როცა ვერ გრძნობს, რომ შვილი ისე განიცდის მშობლის დაცემას როგორც საკუთარს.

ოჯახურ აღზრდაში წარმატებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს აღმზრდელთა მორალურ–სამართლებრივ სახეს, ოჯახის ცხოვრების ყაიდას და აღზრდის პროცესში აღსაზრდელის ინდივიდუალურ თვისებათა გათვალისწინებას.

ოჯახური აღზრდა არის ოჯახის თითოეული წევრის მიზანმიმართული, სისტემური და სისტემატური, სულიერი და საქმიანი ზემოქმედება მართლა შეგნების ფორმირებისა და მართლზომიერი ქმედობის უნარ–ჩვევების ჩამოყალიბებისათვის, ამ აღზრდის უმთავრესი და ურთულესი ამოცანაა პოზიტიურ მოთხოვნილებათა ფორმირება, მათი დაკმაყოფილების ზნეობრივი მოტივების განმტკიცება, მართლზომიერი ქმედების გადაქცევა ჩვევად, პიროვნულ თვისებად.

ცნობილია, რომ ცოდნა და უნარი განვითარებისა და პიროვნებად ქცევის ფაქტორი მაშინ არის, როცა ინდივიდს გაუჩნდება მათი გამოყენების მოთხოვნილება, როცა ქცევის ფორმების ათვისება თვით იქცევა მოთხოვნილებად.

მოზარდის პიროვნების ჩამოყალიბებაზე ოჯახი ორგვარ გავლენას ახდენს. პირველი ფაქტორია თვით ოჯახური ცხოვრების წესი, რომელიც განსაზღვრულია როგორც მატერიალური მხარით, ასევე ოჯახის წევრების სოციალური ორიენტაციებით, მატერიალური და სულიერი მოთხოვნილე-

ბებით, ხოლო მეორე ფაქტორია მოზარდზე ოჯახის უფროსი წევრების, უმთავრესად, მშობლების შეგნებული და მიზანმიმართული ზეგავლენა. ამ ზეგავლენის ეფექტიანობა ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად შეესაბამება მშობელთა განწყობა, მიზანდასახულობა საზოგადოების იდეურ, მორალურ–სამართლებრივ განწყობას, აღზრდის პროცესში რამდენად ემთხვევიან ერთმანეთს საზოგადოებისა და ოჯახის ინტერესები.

აღზრდის პროცესზე ხანგრძლივმა დაკვირვებამ გვიჩვენა:

1. მოზარდები, რომლებიც ოჯახებში საქმიანობენ, გამოირჩევიან სამართლის მოთხოვნებისადმი შეგნებული დამოკიდებულებით.

2. ოჯახებში, სადაც პატივისცემით ეპყრობიან აღსაზრდელის პიროვნებას, სტიმულს აძლევენ მის დამოუკიდებელ აზროვნებასა და მოქმედებას, თვითშეფასების უნარის ჩამოყალიბებას, აჩვევენ იმ აზრს, რომ ოჯახში მასაც ეკისრება განსაზღვრული მოვალეობა – შედეგიც სასურველია.

ოჯახებში, სადაც აქტიურად და დადებითად მოქმედებენ მოზარდთა აღზრდაზე, მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთდამოკიდებულება ეყრდნობა ჯანსაღ ზნეობრივ–სამართლებრივ საფუძველს: ურთიერთპატივისცემას, ურთიერთზე ზრუნვას, კეთილგანწყობას, შიდაოჯახურ თანამშრომლობასა და ურთიერთდახმარებას. ამ ოჯახებში მშობელთა შორის სიამტკბილობაა.

ნორმალური ოჯახური ატმოსფერო მოზარდებში აყალიბებს მშობლებთან ემოციურ დამოკიდებულებას. მშობლები მართლზომიერად იქცევიან ყოველთვის. ისინი შვილების მონაწილეობის გარეშე არ წყვეტენ ოჯახის საყოფაცხოვრებო საკითხებს, განსაკუთრებით კი იმას, რაც მოზარდს, მის ინტერესებს შეეხება, ასეთი მშობლები მოზარდის შესაფერის საქმიანობაში ჩაბმით აწრთობენ მის ხასიათს, ნებისყოფას, ეხმარებიან და აკონტროლებენ დღის რეჟიმის რეგლამენტაცია–განხორციელებას, ტაქტიანად ესაუბრებიან მართლზომიერი ქცევის მნიშვნელობაზე. მშობლებსა და შვილებს შორის სწორედ ასეთი ურთიერთობა ქმნის კარგ პირობებს ოჯახში მოზარდთა აღზრდისათვის.

სკოლის, ოჯახისა და საზოგადოების ერთიანობის პრინციპი ახალი არ არის პედაგოგიკისათვის. საზოგადოების მოთხოვნების შესაფერისი ახალი თაობის აღზრდის საკითხის ეფექტური გადაჭრა დიდადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რა ურთიერთობებში არიან ერთმანეთთან მთავარი აღმზრდელობითი ძალები – პედაგოგები და მშობლები.

– აქტიური მოკავშირეები არიან ისინი ბავშვის პიროვნებად ჩამოყალიბების საქმეში, მოწინააღმდეგეები, თუ პასიურად აკვირდებიან მეორე მხარის მოქმედებას.

სკოლა და ოჯახი ბავშვის ცხოვრების ორი სხვადასხვა სფეროა. მასწავლებელს და მშობელს

თავ–თავის სფეროში აქვთ ინფორმაცია ბავშვზე, მის ინტერესებსა და ემოციურ ბუნებაზე, ქცევაზე, იმაზე თუ როგორ რეაგირებს იგი სხვადასხვა ადამიანებსა და მოვლენებზე, მრავალგვარ სიტუაციურ მოთხოვნებზე, ყოველ მათგანს აქვს წარმატებისა თუ წარუმატებულობის უნიკალური გამოცდილება ბავშვთან ურთიერთობაში, ამიტომ აღმზრდელობითი პროცესის შედეგი ბევრადაა დამოკიდებული მათ შორის ინფორმაციის გაცვლაზე, ურთიერთდახმარებაზე, თანამშრომლობაზე. გამოცდილ პედაგოგს შეუძლია დიდი დახმარება გაუწიოს მშობელს, ხოლო ყოველი პედაგოგისათვის საყურადღებოა ბავშვის ქცევაზე მშობლის დაკვირვების მონაცემები.

სკოლა და ოჯახი განსხვავებულ სოციალურ–ფსიქოლოგიურ ჯგუფს წარმოადგენენ. მათ სხვადასხვა ფუნქციები და დამოკიდებულებები ახასიათებთ. ერთმანეთთან ურთიერთობის დროს მასწავლებელი და მშობელი ბავშვთან მაინც ჩვეულ დამოკიდებულებას და შეფასებებს ინარჩუნებენ. მასწავლებლისათვის ბავშვთან ურთიერთობა სამსახურებრივი მოვალეობაა. იგი მას ოფიციალური სტანდარტული მოთხოვნებით უდგება. ამიტომ ხშირად მშობელთა განცდებსა და პრეტენზიებს ზომაგადასულად მიიჩნევს. ბავშვისადმი ასეთი დამოკიდებულება მშობლის უკმაყოფილებას იწვევს, რადგან ბავშვზე ზრუნვა მისთვის ზნეობრივი მოვალეობაა და არა სამსახური. შვილის წარმატებები

მასში დიდი სიხარულის და სიამაყის გრძნობას იწვევს, წარუმატებლობას კი ღრმა წუხილი მოაქვს. მას უჭირს დაეთანხმოს მასწავლებლის მკაცრ, ერთფეროვან შეფასებებს. ბავშვი მშობლისთვის ყოველთვის უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე მხოლოდ სწავლებისა და აღზრდის ობიექტი.

ამ საკითხს ცნობილი ამერიკელი პედაგოგი და ფსიქოლოგი ჰაიმ ჯაინოტი შემდეგნაირად ეხმაურება: „როცა მასწავლებელი საუბრობს მშობელთან მისი ბავშვების შესახებ, იგი იჭრება ოჯახურ ოცნებებში. მშობლისათვის ბავშვი შეიძლება წარმოადგენდეს მის უკანასკნელ იმედს უკეთესი მომავლისადმი. მშობლები, შესაძლოა, ოცნებობენ, რომ შვილების მეშვეობით კვლავ მოიპოვებენ ძველ გავლენას, უფრო ღირსეულ ადგილს საზოგადოებაში. ყველაფერი, რასაც მასწავლებელი ამბობს ბავშვის შესახებ, ეხება მშობელთა ღრმა გრძნობებს, ფარულ იმედებს და ფანტაზიას. გონიერ მასწავლებელს გაცნობიერებული აქვს თავისი სიტყვების მოსალოდნელი შედეგი. იგი შეგნებულად არიდებს თავს კომენტარებს, რომლებსაც შეუძლიათ ჩაკლან მშობლის ოცნებები“.

კონტრასტი ამ ორ მიდგომას (ოფიციალურ და არაოფიციალურ) შორის განსაკუთრებით საგრძნობი და გასაგები ხდება იმ მასწავლებელთათვის, რომელთა ბავშვებიც სკოლაში დადიან, მათ არ სიამოვნებთ შვილის შესახებ საყვედურის მოსმენა თავისი კოლეგისგანაც კი.

პედაგოგს ხშირად ცუდად აქვს წარმოდგენილი ბავშის ცხოვრების ოჯახური პირობები. ამიტომ მან შეიძლება წაუყენოს მშობელს გაუმართლებლად მაღალი მოთხოვნები, მისცეს უადგილო შენიშვნა ან დაამციროს მისი ღირსება დაუმსახურებელი გაკიცხვით.

როგორც მასწავლებელი, ისე მშობელი ხშირად არარეალურ იმედებს ამყარებს ბავშვზე, მოითხოვს და მოელის მისგან იმას, რისი გაცემის შესაძლებლობაც აღსაზრდელს არ გააჩნია, მშობლები, ჩვეულებრივ, ვერ ითვალისწინებენ რა ბავშვთა რეალურ შესაძლებლობებს, მათ მონაცემებსა და ნიჭს, შეუსაბამოდ მაღალ მოთხოვნებს უყენებენ მასწავლებლებსაც და გულგატეხილი რჩებიან, როცა მათი მოლოდინები არ მართლდება. ისინი არ პატიობენ პედაგოგს იმას, რასაც სხვებს, მათ შორის, საკუთარ თავსაც აპატიებდნენ.

გამოყოფილი ფაქტორები ზოგადი ხასიათისაა. კონკრეტული წინააღმდეგობანი გაცილებით მრავალფეროვანია. ისინი დაკავშირებულია პედაგოგის და მშობლის პიროვნულ განწყობებთან, რწმენასთან, წარმოდგენებთან, ინდივიდუალურ თავისებურებებთან და ა. შ.

არსებობს სხვა ფაქტორებიც, რომლებიც არ არის დაკავშირებული მშობლის ან მასწავლებლის მონდომებასა და გავლენაზე (მაგალითად, ბავშვის ბუნებრივი მონაცემები) და რომლებზეც გარკვეული აზრით დამოკიდებულია სწავლა–აღ-

ზრდის პროცესი. წარუმატებლობის შემთხვევაში მხარეებმა შეიძლება ერთმანეთი დაადანაშაულონ.

თანამედროვე მშობელი უფრო კრიტიკული და მომთხოვნი გახდა განსაკუთრებით ფასიანი სწავლებისას. დიახ, სკოლა თანდათანობით კარგავს ძველ, პრივილეგირებულ მდგომარეობას, როცა მშობელი არ ერეოდა და ვერც ჩაერეოდა (არ გააჩნდა საკმაო ცოდნა) მასწავლებლის საქმიანობაში. სასწავლო დაწესებულებები შედარებით ღია გახდა ფართო საზოგადოებისათვის და ამავე დროს – კრიტიკისათვისაც. პედაგოგები თვლიან, რომ მშობლები ზედმეტად ერევიან მათ პროფესიულ საქმიანობაში, რის გამოც მათი ურთიერთობა ხშირად უარესდება.

მასწავლებლისათვის გართულდა ბავშვთან ურთიერთობაც. თანამედროვე მოსწავლე უფრო განათლებული და მომთხოვნია მისდამი დამოკიდებულების თვალსაზრისით. მოზარდებს არ სურთ დაემორჩილონ სწავლა–აღზრდის მოძველებულ მეთოდებს, ამიტომ პედაგოგები იძულებულნი არიან ეძებონ ბავშვებთან ურთიერთობის ახალი გზები. ეს კი ყოველთვის ადვილი არ არის. გარდა ამისა, არსებობს აქსელერაციის და ბავშვთა ადრეული სოციალიზაციის პრობლემა. ახალი სიტუაცია ახლებურ დამოკიდებულებას მოითხოვს. რასაც ბევრი მასწავლებელი ვერ ეგუება. ამის შე-

დეგია კონფლიქტი ჯერ ბავშვთან და შემდეგ მის მშობელთან.

შეიცვალა თანამედროვე ოჯახიც. წარმოიშვა მისი ახალი ფორმები. გართულდა ურთიერთობა ოჯახის შიგნით და ამით გამოწვეული აღზრდის პრობლემები, რაც სკოლას და მასწავლებლებს დამატებით სიძნელეებს უქმნის.

ამრიგად, სკოლისა და ოჯახის თანამედროვე დემოკრატიზაციის პროცესმა გამოიწვია მასწავლებლის, მშობლისა და მოსწავლის სოციალურ როლებთან დაკავშირებულ დამოკიდებულებათა ნორმების, მოთხოვნა–მოლოდინების ცვლა. ეს პროცესი წინააღმდეგობრივად მიმდინარეობს მასწავლებელსა და მშობელს შორის. იგი კონფლიქტური ურთიერთობის საფუძველი ხდება. დემოკრატიზაციის პროცესის განვითარებასთან დაკავშირებით პედაგოგიურ ურთიერთობათა სისტემებში მეტი კონფლიქტია მოსალოდნელი.

მასწავლებლები და მშობლები, როგორც პარტნიორები ბავშვის აღზრდის საქმეში, ერთმანეთს ავსებენ. პარტნიორული დამოკიდებულება გულისხმობს მხარეთა თანასწორობას, ურთიერთპატივისცემასა და კეთილგანწყობას. ასეთ დამოკიდებულებათა რეალიზაცია ურთიერთობის შესაბამის ტიპს მოითხოვს. ურთიერთობა მხოლოდ მაშინაა პროდუქტიული, პედაგოგიურად შედეგი-

ანი, თუკი მასწავლებლის კომუნიკაცია მშობელთან დიალოგიური ხასიათისაა.

დიალოგი არა ადამიანთა მიერ ინფორმაციის უბრალო გაცვლა ან ერთმანეთის გამონათქვამთა მოსმენა. მას უფრო ღრმა მნიშვნელობა აქვს. პირველ რიგში, ეს ნიშნავს ადამიანის ყურადღება მომართო ისე, რომ მან მოგისმინოს და გაჩვენოს, რომ იგი გისმენს და ესმის შენი. დიალოგი ნიშნავს – წარმოისახო, ჩასწვდე ნათქვამის მნიშვნელობას, მის უკან არსებულ რეალობას და ამდენად, გასაგები გახადო თანამოსაუბრის შინაგანი სამყარო. ჩემს მიერ წლების განმავლობაში დაგროვებული პედაგოგიური ცოდნისა, პირუთვნელად მინდა ავღნიშნო, რომ ლექციაზე თვით სტუდენტთა უყურადღებობა ლექტორის უნიათობის შედეგია, რამეთუ ამ უკანასკნელმა ისე უნდა წარმართოს, სალექციო კურსი, რომ სტუდენტი თავისით ჩაებას სამეცნიერო მუშაობაში. დიახ, საუბრის იდეალიზაცია მოუწოდებს მსმენელს გულახდილად გვითხრას, თუ როგორ გაიგო ჩვენს მიერ წარმოთქმული ტექსტი, მიმართვა. მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ გაიგო სხვისი ნათქვამი და მასაც შენი გააგებინო. ყოველი მონაწილე იზიარებს მეორის ნამდვილ სამყაროს და ეს გაზიარება წარმოადგენს ურთიერთშეთავაზებას, „ღიაობას“ ერთმანეთისადმი და არა სხვაზე რაიმეს თავს მოხვევას ან საკუთარი „მე„–ს უარყოფას სხვისი აზრების მიღებისას.

ჰუმანისტურ ფსიქოლოგიაში დიალოგიური კომუნიკაცია მჭიდროდ არის დაკავშირებული ისეთ ცნებებთან, როგორიც არის პიროვნული ზრდა, განვითარება და თვითაქტუალიზაცია. შეიძლება ითქვას, რომ დიალოგი პიროვნების განვითარების ერთ–ერთი მთავარი პირობაა. დიალოგი გულისხმობს ისეთი სიტუაციის შექმნას, რომელიც გამოიწვევს უნდობლობის, თავდაცვითი მდგომარეობის შემცირებას თანამოსაუბრის მხრიდან. ამ დროს ადამიანი უფრო რეალურად აფასებს გარემოს, საკუთარ თავს ამ გარემოში და კონფლიქტურ დამოკიდებულებებს ურთიერთობაში. იქმნება ატმოსფერო, რომელშიც ადამიანი გრძნობს, რომ იგი მიიღეს, მას გაუგეს და აფასებენ, როგორც პიროვნებას. სწორედ ასეთ დამოკიდებულებას შეუძლია შექმნას პირობების ადამიანის პოტენციურ უნართა მაქსიმალური გაშლისათვის, პიროვნული დამოკიდებულობისათვის, საშუალება მისცეს მას გააკეთოს ცნობიერი არჩევანი და იყოს პასუხისმგებელი მისთვის, ესე იგი მას ექმნება შესაძლებლობა თვითაქტუალიზაციისა და პიროვნული ზრდისათვის. ასეთი განვითარებისათვის საჭიროა ურთიერთობის სპეციფიური ფორმა, რომელშიაც სხვა ადამიანი განიცდება როგორც თანასწორი, რომელსაც აქვს უფლება ჰქონდეს საკუთარი პოზიცია, ღირებულებები, ინდივიდუალობა. ყოველივე ამას მოიცავს დიალოგიური კომუნიკაცია. ჰუმანის-

ტური ფსიქოლოგიის იმ წარმომადგენლებმა, რომლებიც პედაგოგის საქმინაობით დაინტერესდნენ, ყურადღება მიაქციეს გარემოს, რომელსაც მასწავლებელი ქმნის თავისი ურთიერთობით და რომელიც ხელს უწყობს ან უშლის სხვათა პიროვნულ ზრდასა და სრულყოფას. ისინი თვლიან: იმისათვის, რომ შექმნას შესაბამისი გარემო ადამიანური პოტენციის გამოსავლენად, პედაგოგი უნდა იყოს დიალოგური და არა მონოლოგური კომუნიკატორი.

ძნელია დაეხმარო სხვა ადამიანს, თუ არ იცის რას განიცდის, გრძნობს და ფიქრობს იგი. აქ მნიშვნელოვანია არ აგვერიოს სხვისი შინაგანი რეალობა ჩვენთვის სასურველ შეხედულებებთან მის შესახებ, არ მივაწეროთ პიროვნებას ის თვისებები, მოსაზრებები, რომლებიც მას სინამდვილეში არ გააჩნია. ჰუმანისტ ფსიქოლოგს, ცნობილ ფსიქოთერაპევტს კარლ როჯერსს მიაჩნია იყო ემპათიური, ნიშნავს ზუსტად აღიქვა სხვისი შინაგანი ათვლის წერტილი, შესაბამისი ემოციური კომპონენტებითა და მნიშვნელობებით. აქ ადგილი აქვს არა უბრალოდ ინფორმაციის მიღებას ადამიანის, როგორც მართვის ობიექტის შესახებ, არამედ ერთი ადამიანის მონაწილეობა მეორის სუბიექტურ გამოცდილებაში შეფასების გარეშე. იგი თითქოს იზიარებს სხვის სუბიექტურ სამყაროს და ამავე დროს არ კარგავს თავის საკუთარ

იდენტურობას. ხშირად იმისათვის, რომ გაუგო თანამოსაუბრეს, საკმარისია ყურადღებით, თანაგრძნობით მოუსმინო და ჩაწვდე მთავარს, სწორედ იმას, რაშიც საჭიროებს დახმარებას, დაეხმარო იმის გამოთქმაში, რაც თვითონ მას ვერ გამოუთქვამს.

პიროვნების უპირობო მიღებას როჯერსი ასაბუთებს ადამიანის უფლებით ყოველგვარ შესაძლო გრძნობაზე, მის გამოვლენაზე, თანამოსაუბრის მხრივ მისდამი პატივისცემის შენარჩუნებით. ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, ადამიანის პიროვნებას პატივს ვცემ, მიუხედავად იმისა, თუ რა გრძნობებსა და აზრებს გამოხატავს იგი. თერაპევტის ასეთ დამოკიდებულებას ფსიქოთერაპიულ პრაქტიკაში შედეგად მოჰყვება ადამიანის მიერ შეძენილი უნარი, გამოხატოს და შეისწავლოს საკუთარი შიში, შფოთვა და სხვა გრძნობები, რომლებსაც იგი აქამდე განიცდიდა, როგორც მეტად უარყოფითს და ძალზე ძნელად ასაღიარებელს. შემდეგ იგი ავლენს მეტ გახსნილობას გამოცდილებისადმი, ნაკლებ თავდაცვას და მეტ ნდობას საკუთარი თავისადმი.

სხვა ადამიანის უპირობო პოზიტიური მიღება ნიშნავს მიიღო მისი უარყოფითი მხარეები შეფასების გარეშე, აღიარო მისი უფლება იყოს ისეთი, როგორიც არის. ასეთი შემწყნარებლობა ქმნის ურთიერთობათა დადებით ფონს, რის შემდეგაც მეორე მხარის მოთხოვნების, წინადა-

დებების თუ არჩევნების მიღება უფრო ადვილი ხდება. პოზიტიური მიღება ნიშნავს არა მხოლოდ იმას, რომ სხვა ადამიანი ხდება „გახსნილი“ თქვენდამი, მეტად გენდობათ, მეტს გიზიარებთ, არამედ იმასაც, რომ თქვენც უფრო გახსნილი ხდებით, თავისუფლდებით სტერეოტიპებისა და ყალბი წარმოდგენებისაგან ოპონენტთან მიმართებაში. ასეთი მიღების შედეგად ადამიანი იძენს განვითარების ახალ სტიმულს, ცდილობს გამოამჟღავნოს თავისი ბუნების ნათელი მხარეები.

პედაგოგი, როგორც დიალოგური კომუნიკატორი, ზრდის კომუნიკაციის შესაძლებლობებს. იგი უპირატესობას ანიჭებს შეკითხვას, ვიდრე აზრის გამოთქმას, სულიერი მდგომარეობის გაზიარებას, ვიდრე კონტროლს. მონოლოგიური კომუნიკატორები კი ზღუდავს ურთიერთობის შესაძლებლობებს. იგი ვერ ქმნის დამხმარე, მხარდამჭერ, განმავითარებელ გარემოს სხვა ადამიანისათვის.

დიალოგური კომუნიკაციის განვითარებას ხელს უწყობს შემდეგი პირობები.

– ურთიერთობაში ჩართვისათვის განწყობა. დიალოგი გაჭირდება, თუ არ გაჩნდა ურთიერთობის ორმხრივი მოთხოვნილება პარტნიორებში;

– გულგახსნილობის, თავისუფლებისა და პასუხისმგებლობის ატმოსფეროს შექმნა. ასეთ ვითარებაში დიალოგი სრულია და შედეგიანი;

– ურთიერთობისა და პატივისცემის გამოვლე-

ნა. უნდობლობა ურთიერთობაში იწვევს ეჭვსა და გაურკვევლობას;

– ადამიანური ღირსების შენარჩუნება. პარტნიორი კომუნისკაციის დროს უნდა გამოხატავდეს, შეესაბამებოდეს საკუთარ პიროვნულ მრწამსს;

– ინდივიდუალური განსხვავებებისა და უნიკალურობის პატივისცემა, პარტნიორის უფლების აღიარება საკუთარ შეხედულებებზე, გრძნობებზე, პოზიციებზე. განსხვავებებმა ადამიანებს შორის ვერ უნდა მოახდინოს გავლენა დიალოგიურ კომუნიკაციებზე;

– პარტნიორების მიერ უთანხმოების აღქმა, როგორც პრობლემისა, რომლის გადაწყვეტა შესაძლებელია;

– შეცდომის აღიარების უნარი. ინდივიდებმა უნდა აღიარონ, რომ ყოველი ადამიანი ცდება;

– უკუკავშირების უზრუნველყოფა. კომუნიკატორმა უნდა გააცნობიეროს მის ქცევაზე პარტნიორის რეაგირება.

თუკი ეს პირობები შესრულდება, პედაგოგი შეძლებს გახდეს დიალოგური კომუნიკატორი.

მასწავლებლისა და მშობლის ურთიერთობა არ არის დამოკიდებული მხოლოდ მათ შორის არსებულ პიროვნულ სიმპათიებზე. იგი ძირითადად აირეკლავს დამოკიდებულებათა ორი სხვა სისტემის (მასწავლებელი – ბავშვი, მშობელი – ბავშვი) შინაარსსა და ფორმას. მშობლის კონფლიქტური დამოკიდებულება მასწავლებლისადმი ჩვეულებ-

რივ წარმოადგენს მასწავლებლის ბავშვისადმი ნეგატიური, უსამართლო დამოკიდებულების ასახვას მშობლის ცნობიერებაში.

დღევანდელ პირობებში, როცა მასწავლებელი უკვე აღარ არის უზენაესი ავტორიტეტი მშობლისათვის აღზრდის საკითხებში და აღზრდის პროცესთან დაკავშირებით ბევრი არაპედაგოგიური შეხედულება არსებობს, ალბათ, საჭიროა მასწავლებელ–მშობლის ურთიერთობათა ნორმების გადასინჯვა. პედაგოგთა დამოკიდებულების შეცვლა საზოგადოებრივ და სკოლის ცხოვრებაში შექმნილი ახალი პირობების გათვალისწინებით. მშობლებს საშუალება უნდა ჰქონდეთ დაესწროს გაკვეთილებს, მასწავლებელი უნდა ახერხებდეს მათ ჩართვას დისკუსიაში აღზრდის კონკრეტულ საკითხებზე. ამ გზით უნდა მივიდნენ ისინი ერთიან პედაგოგიურ მიდგომამდე, რომელიც ჰუმანური და დიალოგური იქნება. ამ მიდგომის არსი, შალვა ამონაშვილის აზრით, მასწავლებლისა და მშობლის მიერ ბავშვის ირგვლივ ჰუმანური პედაგოგიური გარემოს ორგანიზაციაში მდგომარეობს. ვფიქრობთ ასეთი გარემოს ერთობლივი ორგანიზაცია გამოიწვევს პედაგოგიურ შეხედულებათა და ურთიერთმოლოდინთა დაახლოებას, ბავშვთან ურთიერთობის ნორმებზე და მოთხოვნებზე შეთანხმებას, რაც შესაძლო კონფლიქტთა არიდების საფუძელი გახდება. კონკრეტული მიზნების ერთობლივი დასახვა, აღზრდის ერთი-

ანი სტრატეგიის შემუშავება, თანამშრომლობა მოითხოვს დიალოგური ურთიერთობის დამყარებას პედაგოგსა და მშობელს შორის, ეს აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ მომავალმა პედაგოგებმა...

მოზარდთა სულიერი სამყაროს ფორმირება რთული და ხანგრძლივი პროცესია. დღეს ბავშვი მრავალი ფაქტორის ზემოქმედებას განიცდის. წიგნი, თეატრი, კინო, რადიო, ტელევიზია უამრავი არხებით, ქუჩა, ოჯახი, საზოგადოება, სკოლა... – აი, არასრული სია წყაროებისა, რომლებიც მოქმედებენ მოზარდის გონებასა და სულზე. ამ ფაქტორებისა და აღზრდის ინსტიტუტების სწორად, გონივრულად გამოყენება გადამწყვეტ როლს ასრულებს ახალგაზრდის ფორმირებაში.

ჩვენი ქვეყნის ახალი სასკოლო რეფორმა კიდევ უფრო დიდ ამოცანებს უყენებს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, რამეთუ სკოლა მოწოდებულია მოსწავლეებს მისცეს არა მარტო ღრმა და მტკიცე ცოდნა, არამედ აღზარდოს და განავითაროს ისინი ყოველმხრივ, გამოუმუშაოს ცოდნის დამოუკიდებლად შევსების უნარი.

მოსწავლე–ახალაგზრდობის აღზრდაში წარმატების მისაღწევად აუცილებელია გვესმოდეს, რომ ახლა ჩვენ გვყავს მეტად განვითარებული და გათვითცნობიერებული ბავშვები. მოსწავლეთა ცოდნის ჰორიზონტი დიდად გაფართოვდა. იგი იღებს მრავლაი სახის ინფორმაციას. დიდად

გაუზარდა ინტერესთა წრე, გაუჩნდა ახალი მოთხოვნილებები, უფრო თამამი და ცნობისმოყვარე გახდა და ასე შემდეგ, ეს არის ეპოქის ზეგავლენა და მას ანგარიში უნდა გაეწიოს.

გთავაზობთ გამოჩენილი ქართველი მწერლის ნოდარ დუმბაძის მოსაზრებას თანამედროვე ადამიანის ჩამოყალიბების, კაცად ქცევის საკითხზე, რომელიც წლების გადასახედიდან, დღესაც აქტუალურია. მწერალი ამბობს: „რაც დრო გადის, მით უფრო რთული ხდება ჩვენი ლიტერატურის გმირი, რადგან მისი პროტოტიპი – თანამედროვე გმირი უფრო და უფრო მკაფიოდ ამჟღავნებს ადამიანურ განუმეორებლობას და ინდივიდუალობას. იგი შინაგანად უფრო დამოუკიდებელი, თავისუფალი და საინტერესო გახდა“. ეს დებულება მთლიანად შეესიტყვება თანამედროვე მოსწავლე–ახალგაზრდას, რომელიც ხასიათით, თვისებითა და მოთხოვნილებებით უფრო დამოუკიდებელი და ამიტომაც უფრო საინტერესო გახდა.

„მთელი ჩვენი სინამდვილიდან და მის მიერ წარმოქმნილი პრობლემების მრავალფეროვნებიდან ჩემს ყველაზე დიდ ყურადღებას იქცევს ერთი პრობლემა – ადამიანის ხასიათის ჩამოყალიბება, პიროვნების ფორმირების პროცესი. ეს, უმთავრეს შემთხვევაში ხდება ბავშვობისა და ყრმობის ასაკში, როდესაც ადამიანი ისევე დამყოლია, როგორც თიხა მეჭურჭლის ხელში... მე მივხვდი უბრალო ჭეშმარიტებას – აღზრდაზე გავლენას

ახდენს არა სიტყვები და პლაკატები, არამედ მხოლოდ ვიღაცის პირადი მაგალითი, ჩვენ სასკოლო სახელმძღვანელოებით კი არ ვსწავლობდით, ადამიანებს ვაკვირდებოდით და ქვეცნობიერად ვცდილობდით, სწორედ მათ დავმსგავსებოდით... თუმცა ხასიათის ჩამოყალიბების პროცესი არ მთავრდება ატესტატის ანდა დიპლომის მიღებით... პიროვნების მომწიფების სწორედ ეს პროცესი, მისი ევოლუცია, ადამიანში ზნეობრივი საფუძვლების ჩაყრა, მაღელვებს ყველაზე უფრო მეტად. ადამიანები დაბადებით არასოდეს არ არიან არამზადები, ავაზაკები და მოღალატეები. ისინი შემდეგში რაღაც მიზეზით იქცევია ხოლმე ასეთებად". ნოდარ დუმბაძის ეს დაკვირვება მრავალმხრივ საინტერესოა დღევანდელი განათლების მუშაკებისათვის.

პირუთვნელად ვიტყვი, რომ დღეს, მომავალი თაობის უმეტესობის პიროვნულ ღირსებაში დაკარგულია ზნეობრივი ფაქტორი, რაც მოუშუშებელ იარად და მწარე დაღად აჩნია არსებულ სინამდვილეს... სწორედ ამიტომ გვჭირდება ახლა ყველაზე და ყველაფერზე მეტად ეროვნული სული, რაც რეალურად ჭეშმარიტი დეფიციტია!

„რასაც უნდა ფლობდეს ადამიანი დედამიწაზე, შესანიშნავ ჯანმრთელობას, ცხოვრების ყველა სიკეთეს, ის მაინც უკმაყოფილო იქნება, თუკი არ სარგებლობს ხალხის პატივისცემით". ეს სიტყვები ეკუთვნის მე–17 საუკუნის ცნობილ ფრანგ

მოაზროვნეს პასკალს. ასეთია ადამიანის ბუნება. მას არ შეუძლია ნორმალურად იცხოვროს და წარმატებით იმოქმედოს სხვების მხარდაჭერის, აღიარებისა და მოწონების გარეშე. საკუთარ გარეგნობას, ჩაცმულობას ჩვენ ხშირად არა მარტო ჩვენი, არამედ სხვათა თვალითაც ვამოწმებთ, ვცდილობთ, წარმოვიდგინოთ როგორ აფასებენ ჩვენს აზრებსა და ქცევებს სხვები. ერთი სიტყვით, ცნობიერად თუ არაცნობიერად ყველა ჩვენგანს სურს იცოდეს თავისი ადამიანური ღირებულება.

თვითშეფასება – ეს არის ადამიანის დამოკიდებულება საკუთარი შესაძლებლობების, პიროვნული ნიშნების, ასევე, გარეგნული იერისადმი. ის შეიძლება იყოს ადეკვატური (სწორი), მაღალი ან დაბალი. თვითშეფასებას დიდი მნიშვენლობა აქვს ადამიანის ქცევის რეგულირების, სხვებთან ურთიერთობის და საერთოდ, პიროვნების თვითაღზრდისა და ფორმირებისათვის.

რა განსაზღვრავს ადამიანის მიერ საკუთარი თავის შეფასებას, რაზეა დამოკიდებული თვითშეფასება? ადამიანი ცხოვრობს და მოღვაწეობს გარკვეულ გარემოში, სხვა ადამიანების გვერდით, ყოველი ადამიანი, არც თუ ისე იშვიათად საკუთარ თავს სხვას ადარებს. გავიხსენოთ თეორეტიკოსი მონორი, რომელიც ბავშვის უფროსებისადმი წაბაძვაში ეძიებს აღზრდის საწყისებს. დიახ, ადამიანი თავის პიროვნულ ნიშნებს უპირისპირებს

სხვა პიროვნების თავისებურებებს, წარმოიდგენს სხვადასხვა სიტუაციას და ამ სიტუაციებში ყველაზე უფრო მოსალოდნელ მოქმედებათა მიხედვით მსჯელობს თავის თავსა და სხვებზე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ყოველ პიროვნებას ჰყავს ადამიანთა რომელიღაც ჯგუფი, რომელსაც იგი უწევს ანგარიშს, რომლისგანაც იღებს თავის ღირებულებით ორიენტაციებს, რომლის იდეალები მისი იდეალებია, ინტერესები – მისი ინტერესები და ა. შ. ასეთ ჯგუფს ფსიქოლოგიაში რეფერანტული ჯგუფი ეწოდება.

ამრიგად, პიროვნება საკუთარ თავს ხშირად უდარებს გარკვეულ ეტალონს და შედარების შედეგების მიხედვით ან კმაყოფილი რჩება საკუთარი თავისა, ანდა უკმაყოფილო.

გარდამავალი ასაკი იწყება დაახლოებით 11–12 წლიდან და გრძელდება 15–16 წლამდე. გარდამავალი ასაკის დასაწყისამდე ბავშვის მთელი ყურადღება გარესინამდვილის მოვლენებისკენაა მიმართული. მოზრდილობის ანუ გარდამავალ ასაკში მდგომარეობა არსებითად იცვლება. ახლა ინდივიდი, იმ ფსიქოლოგიური ცვლილებების საფუძველზე, რომელიც სოციალური ცხოვრების ზეგავლენით მიმდინარეობს და სქესობრივი მომწიფების პროცესს თან მისდევს, ერთბაშად ახდენს შემობრუნებას შინაგანი სამყაროსაკენ. პირველად იგი სხვა ადამიანთა ფსიქიკურ ბუნებას უკვირდება, მაგრამ შემდეგ ყურადღება თა-

ვის თავზე გადმოაქვს და საკუთარი პიროვნების ფსიქოლოგიური თავისებურებების შეფასებას იწყებს.

აზროვნების საკუთარი თავისკენ მიმართვა და თვითდაკვირვებისა და თვითშეფასების აქტების წარმოება მოზარდის ვოლიტური მომწიფების დასაწყისზე მიუთითებს და, პირველ ყოვლისა, მასში პიროვნული თვისებების განვითარებას ემსახურება. თვითდაკვირვება, თვითშეფასება და თვითკრიტიკა თვითაღზრდისათვის საჭირო ფსიქოლოგიურ პირობებს ქმნის და მოზარდს ამ მიმართულებით აქტივობის დიდ შესაძლებლობებს აძლევს.

საკუთარი ფსიქიკური თვისებების გაცნობიერებასა და ობიექტურ შეფასებაში მოზარდს დიდ დახმარებას უწევს უფროსების, მშობლებისა და მასწავლებლების შენიშვნები და შეფასებები, რომლებიც მისი ქცევის ამა თუ იმ შინაგან მხარეს ეხებიან. გარდამავალი ასაკის პირველ ფაზაში (მე–5 და მე–6 კლასები) მოზარდის იდეალები თვალსაჩინოა და რომელიმე კონკრეტული ინდივიდისადმი განსაკუთრებული პატივისცემით გამოიხატება. მოზარდს სურს, გახდეს ისეთი, როგორიცაა რომელიმე მისი ამხანგი, ოჯახის წევრი, პედაგოგი, ნათესავი, მეზობელი, წაკითხული წიგნის გმირი ან სხვა რომელიმე ცნობილი პიროვნება. ერთის, მას გამბედაობა და ვაჟკაცობა მოს-

წონს, მეორესი – სპორტული ნიჭი და წარმატება, მესამესი პატიოსნება და შრომისმოყვარეობა იზიდავს.

გარდამავალი ასაკის მეორე ფაზაში (მე–7, მე–8 კლასი), ასეთი ცალკეული პირობების მიხედვით გამოსახული იდეალების გვერდით თავს იჩენს განყენებული და განზოგადებული იდეალები, რაც აბსტრაქტული აზროვნების განვითარებასთანაა დაკავშირებული, მოზარდი, თავის იდეალს, რომლის შინაარსაც მაღალი პიროვნული თვისებები შეადგენს, ხშირად სიტყვიერად ისე განსაზღვრავს, რომ კონკრეტულად ვინმეზე არ მიუთითებს.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ გარდამავალ პერიოდში მოზარდი გრძნობს რა ფსიქო–ფიზიკური ძალების ერთბაშად მოზღვავებასა და სიმწიფის მოახლოებას, მისი ფსიქოლოგიური ასაკი ბევრად უსწრებს წინ რეალურ ფიზიკურ ასაკს. მოზარდი რეალურად, ვთქვათ, ცამეტი, თოთხმეტი წლისაა, მაგრამ საკუთარ ასაკზე, საკუთარ შესაძლებლობებსა და საკუთარ პიროვნებაზე უფრო დიდი ასაკის შესატყვისი წარმოადგენა აქვს. მას უფრო სრულყოფილი ჰგონია თავისი თავი, ვიდრე სინამდვილეშია. ყოველივე ეს სრულიად გასაგებს ხდის ამ ასაკისათვის დამახასიათებელი თვითშეფასების საკმაოდ მაღალ დონეს.

ჭაბუკობის ასაკი 15–16 წლიდან იწყება და დაახლოებით 20–21 წლამდე გრძელდება. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ჭაბუკობა არის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების, ნებისყოფისა და ხასიათის ძირითად თავისებურებათა ფორმირების, თვითცნობიერების საბოლოო განვითარებისა და ქცევის ძირითადი პრინციპების დადგენის ხანა. ამავე პერიოდში ხდება მთელი ცხოვრების გზის განსაზღვრა, პროფესიის შერჩევა და დაუფლება.

ყმაწვილებისათვის, რომლებიც ადრეული ჭაბუკობის ასაკში შედიან, დამახასიათებელი ხდება მაღალი შემართება და რომანტიკული განწყობილება. ადამიანი არცერთ ასაკში არაა შინაგანად მომავლისაკენ ისე ძლიერ მიმართული, როგორც ჭაბუკობის პერიოდში. ბავშვი ძირითადად აწმყოთი ცხოვრობს, მოხუცი – წარსულით, ხოლო ჭაბუკების, ქალიშვილების ცხოვრებას აზრს და ღირებულებას აძლევს მომავალზე, ახლო და შორეულ პერსპექტივაზე ფიქრი და ოცნება.

ჭაბუკობის დასაწყისში საკმაოდ განვითარებულია საკუთარი „მე„–ს მაღალ დონეზე შეცნობის უნარი. მოზარდი ახლა ადვილად ახერხებს სხვისი სულიერი სამყაროს წვდომასა და გაგებას. ყოველივე ეს საფუძველად ედება როგორც ფაქიზი სოციალური ურთიერთობის დამყარებას. ისე თვითშემეცნების შემდგომ სრულყოფას. ამის გამო

თვითცნობიერება და თვითშეფასება ჭაბუკობის პერიოდში შედარებით უფრო სწორია.

აქვე, უპრიანი იქნება ჩავეძიოთ ესთეტიკური აღზრდის კულტურის ფენომენს და ავღნიშნოთ, რომ თუ გვსურს ზუსტი წარმოდგენა გვქონდეს ესთეტიკურ აღზრდის მეცნიერული კონცეფციაზე, უპირველეს ყოვლისა ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ ესთეტიკური აღზრდისა და მხატვრული აღზრდის ცნებები.

აქვე უკანასკნელი გარემოება განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ, რადგან მის სწორ გაგებაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული ესთეტიკური აღზრდის მეთოდოლოგიისა და მეთოდიკის შემუშავებაში. საქმე ის არის, რომ მეცნიერულ–ტექნიკური პროგრესის ზემოქმედება გვაიძულებს ძალიან ხშირად გადაჭარბებით ვაფასებდეთ ადამიანის ფსიქიკის რაციონალური დონის მნიშვნელობას და ჯეროვნად არ ვაფასებდეთ მისი ემოციური მექანიზმების როლს. საბოლოო ანგარიშით, ჩვენ არც თუ იშვიათად, ვათანაბრებთ „შემეცნებასა“ და „შემეცნებულს“, უგულებელვყოფთ შეუცნობელსა და ქვეცნობიერს ადამიანის ქცევის, მისი პრაქტიკული საქმიანობის, სულიერი ცხოვრების მოტივაციასა და რეგულაციაში. ამასთან სამყაროსადმი ადამიანის ესთეტიკური დამოკიდებულება გამოირჩევა თავისი უშუალო ემოციურო-

ბით და ესთეტიკური განცდის რაციონალიზაციის, მისი მიზეზების, შინაარსის, შემეცნებისა და სიტყვიერი ფორმულირების ბევრად ნაკლები შესაძლებლობებით, ვიდრე სინამდვილისადმი ადამიანის დამოკიდებულების სხვა ფორმები: სამართლებრივი, პოლიტიკური და თვით ზნეობრივი შემეცნებაც. ამიტომაც ესთეტიკური აღზრდა, უწინარეს ყოვლისა, მიზნად უნდა ისახავდეს ესთეტიკური შემეცნების ემოციური დონის ჩამოყალიბებას; ეს კი ნიშნავს, რომ პიროვნების ესთეტიკური განვითარების მთავარი მიზანი გარკვეული ცოდნის, თეორიული წარმოდგენებისა ან ფაქტობრივი ცნობების გადაცემა კი არ უნდა იყოს, არამედ აღზრდა ამ სიტყვის ვიწრო და კონკრეტული მნიშვნელობით – მოთხოვნილებების, განწყობების, პოზიციების ღირებულებითი მისწრაფებების, იდეალებისა და მათი გემოვნების ჩამოყალიბება.

ამავე დროს, ამ პროცესში განსაკუთრებით დიდია პრაქტიკული სწავლების როლი, როცა აღსაზრდელს ვაოსტატებთ, ამა თუ იმ საქმიანობაში, ვაცნობთ მის ტექნიკასა და ტექნოლოგიას, ვინაიდან კონკრეტული პრაქტიკული საქმიანობის პროცესში ადამიანის სილამაზის განცდა მომდინარეობს ამ საქმიანობის სრულყოფილების, ოსტატობის, ვირტუოზულობის დონიდან.

ამგვარად, ესთეტიკური აღზრდის სისტემა ყოვ-

ლისმომცველი უნდა იყოს და ცხოვრების პირველ წლებში, ბავშვის ცნობიერების ჩამოყალიბების პირველივე ნაბიჯებიდან უნდა იყენებდეს ის ადამიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ყველა სფეროს შესაძლებლობებს.

სინამდვილისადმი ესთეტიკური დამოკიდებულება ეყრდნობა სამყაროს გრძნობისმიერ აღქმას და გამოიხატება აღსაქმელი საგნის განცდით, მაგრამ ამ დამოკიდებულების ბუნება ფიზიოლოგიური კი არ არის, არამედ სულიერია; ამიტომაც პირუტყვს არა აქვს ესთეტიკური გრძნობები, ისინი არც ადამიანისთვისაა თანდაყოლილი, არამედ ყალიბდება აღზრდის პროცესში. აქედან გამომდინარე, ტოტალური ესთეტიკური აღზრდის პირველი რგოლია მშობლების მომზადება ბავშვის ესთეტიკური მგრძნობიარობის დროულად გამოღვიძებისა და ჩამოყალიბების აქტიურად წარმართვის შესაძლებლობათა ეფექტიანი რეალიზაციისათვის. ეს, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ეხება დედებს და ამიტომაც მომავალი დედების მომზადება ჯერ კიდევ სკოლის უფროს კლასებში უნდა დაიწყოს.

ესთეტიკური მეცნიერება ეყრდნობა ესთეტიკური აღზრდის პირველი, მოსამზადებელი ეტაპის ორ დონეს: ნორჩის სენსორული – მხედველობის, სმენის აპარატისა და უანგარო განცდის უნარის, ესეიგი სულიერი გრძნობების განვითარებას.

აღზრდის პირველი დონე გულისხმობს ნორჩისათვის ინფორმაციულად დატვირთული გარემოს შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს მრავალფეროვან მხედველობითსა და სმენისმიერ შთაბეჭდილებებს; ამ მიზანს ემსახურება, ერთი მხრივ, ბავშვის ოთახის მოწყობილობის, დედისა და თვით ნორჩის ტანსაცმლის, მისი ნივთების ფორმა და ფერი, ხოლო, მეორე მხრივ, უფროსების ხმის ჟღერადობა ნორჩებთან ურთიერთობის პროცესში, იავნანა და ყოველგვარი ხელოვნური ხმები, რომლებიც უყალიბებს ბავშვს ბგერების გარჩევის უნარს. აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა შეგრძნებებს – მხედველობითს, სმენისმიერს, აგერთვე შეხების, ყნოსვის, გემოს, სითბოს შეგრძნებებს შორის ასოციაციური კავშირების განვითარებას, ეგრეთ წოდებულ სინესთეზიას, რომელიც ძალზე ამდიდრებს ადამიანის გრძნობების ესთეტიკურ აღქმას.

მეორე დონე გულისხმობს ბავშვის მღელვარების უნარის განვითარებას, დადებით ან უარყოფით ემოციებს, რომლებიც ვიტალურ მოთხოვნილებებთან (შიმშილთან, შიშთან და ა. შ.) კი არ არის დაკავშირებული, არამედ აღძრავს ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ღირებულებითი დამოკიდებულებები – ჯერ დედასთან, შემდეგ ოჯახის სხვა წევრებთან, შინაურ ცხოველებთან მცენარეებთან და ნივთებთან; ასე ყალიბდება ბავშვის

უნარი შეჰხაროდეს ამა თუ იმ ადამიანის ან ნივთის თვით არსებობასაც კი, ესე იგი მის სილამაზეს (და პირიქით, განიცადოს ზიზღი იმ სიმახინჯის მიმართ, რაც ეწინააღმდეგება იდეალის შესახებ წარმოდგენას, რომელიც უყალიბდება მას).

ბავშვის ესთეტიკური განვითარების მეორე ფაზა იწყება დაახლოებით სამი წლის ასაკში და მთავრდება სკოლაში მისი შესვლის დროს. ადამიანის ცხოვრების ამ უაღრესად პასუხსაგები ეტაპი თავისებურებაა: ჯერ ერთი, ის, რომ ბავშვი სავსებით ეუფლება თავის სხეულს, სწავლობს სიარულს, სირბილს, ხელების მოძრაობას, მიმიკის თავისუფლად მართვას, მეორე: ასევე წარმატებით იწყებს ლაპარაკს, რაც სხვა ადამიანებთან მისი ურთიერთობის ძირითადი საშუალებაა, მესამე: აქტიურად ვითარდება მისი ფსიქიკა, შემეცნებითი მექანიზმები („რატომ?“ – აი, ამ ასაკის დამახასიათებელი მთავარი და გამუდმებული შეკითხვა) და უნარი შეგნებულად მართავდეს თავის მოქმედებას („შეიძლება – არ შეიძლება“ როგორც ქცევის შეგნებული რეგულატორები). ამით განუზომლად ფართოვდება ბავშვის თვალსაწიერი და შესაძლებლობა ეძლევა საქმიანობის მისთვის სასურველი ფორმების თავისუფალი არჩევანისა. ამ საფუძველზე იწყება ზნეობრივი, ფიზიკური, მხატვრული, შრომითი აღზრდა და აქტიურდება ყველა ამ სახეობასთან დაკავშირებული ესთეტიკური აღზრდა.

ამ ასაკში ბავშვის აღზრდის პროცესის კონკრეტული მიმდინარეობა დამოკიდებულია იმაზე, ოჯახში ხორციელდება იგი, თუ საბავშვო ბაღის პირობებში. პირველის უპირატესობებს განსაზღვრავს ოჯახში არსებული სიყვარულის ემოციური ატმოსფერო, მეორისას კი – აღმზრდელების პედაგოგიური მუშაობის პროფესიული დონე და ბავშვთა კოლექტივის ზემოქმედება თითოეული ბავშვის განვითარებაზე. მაგრამ ორივე შემთხვევაში აუცილებელია შეგნება იმისა, რომ აღმზრდელობითი საქმიანობის ყველა მიმართულებას – ზნეობრივს, მხატვრულს, შრომითს რაც შეიძლება აქტიური ესთეტიკური ასპექტი ჰქონდეს.

და მართლაც, ბავშვის შრომითი აღზრდის უახლოესი მიზანია მისთვის მუშაობის გარკვეული ჩვევების გამომუშავება. სოფლად ცხოვრების პირობებში ეს ჩვევებია ბოსტანში, ყანაში მუშაობა, პირუტყვის მოვლა, ქალაქში ცხოვრების დროს კი ელემენტარული თვითმომსახურება, კერვა, საჭმელის დამზადება, ხელსაქმე... მაგრამ თავდაპირველი შრომითი აღზრდის უფრო მაღალი მიზანია ბავშვს გაუღვივოს შრომის სურვილი, ინტერესი შრომისადმი, მიუხედავად იმისა, აუცილებელია თუ არა ეს შრომა და მიიღებს თუ არა მისთვის გასამრჯელოს; გამოიმუშაოს დამოკიდებულება შრომისადმი, როგორც ისეთი თამაშისადმი, რომელიც სასურველია მისგან მიღებული სიამოვნებისათვის; როგორც საქმიანობისადმი, რომელიც

გამოსავალს აძლევს ბავშვის შემოქმედებით ძალებს, ხელს უწყობს მის თვითდამკვიდრებას (აი, მე შემიძლია!) და ითვლება ესთეტიკურ დამოკიდებულებად, ხოლო მისი ჩამოყალიბება – ესთეტიკურ აღზრდად.

ბავშვის შრომით აღზრდასთან უშუალო კავშირშია როგორც მისი ფიზიკური, ისე ზნეობრივი აღზრდა, მაგარმ ერთსაც და მეორესაც დიდმნიშვნელოვანი ესთეტიკური ასპექტი აქვს. ფიზიკური აღზრდის უახლოესი მიზანი ისევე უტილიტარულია, როგორც შრომითი აღზრდისა – გაუკაჟოს ჯანმრთელობა ბავშვს და განუვითაროს ფიზიკური ძალები. ხოლო უმაღლესი მიზანია გადააქციოს ადამიანის სხეულის აქტიური ცხოვრება შინაგან მოთხოვნილებად, სიამოვნების წყაროდ, და ეს იქნება არა მარტო კუნთისმიერი, არამედ ესთეტიკური სიამოვნებაც, რომელსაც გამოიწვევს ამხანაგისა და საკუთარი მოძრაობების სილამაზით, დახვეწილობით, გრაციოზულობით ტკბობა, მაგარი, ძლიერი, ჰარმონიულად განვითარებული სხეულის ცქერის სიხარული, მონაწილეობა სპორტულ თამაშ–ასპარეზობებში, რომლებიც იმდენად გამარჯვებით კი არ არის მნიშვნელოვნი, რამდენადაც თვით თავისი პროფესით.

ძველ საბერძნეთში ადამიანის სხეულისადმი მაღალგანვითარებული ესთეტიკური დამოკიდებულება, რომელიც ფიქსირებულია ქანდაკებაში, ფერწერაში, პოეზიაში, იქმნებოდა ბავშვე-

ბისათვის ტანვარჯიშის შესაბამისი სწავლებით, რომლებსაც ხელოვნებასავით მაღალ შეფასებას აძლევდნენ სწორედ მისთვის დამახასიათებელი ესთეტიკური პოტენციალის გამო; ქრისტიანობამ, რომელმაც ადამიანის „ღვთიური სული“ დაუპირისპირა მის „ცოდვილ სხეულს“, ჩამოაყალიბა სხეულისადმი ნახევრადაგდებული, ნახევრადმორცხვი დამოკიდებულება, რომელიც მთლიანად დღემდეც არ აღმოფხვრილა, თუმცა ჩვენს დღეებში სპორტის მასობრივი განვითარება და ტელევიზიის მეშვეობით მისი სანახაობითი მხარის პოპულარიზაცია ხელს უწყობს ფიზკულტურისა და სპორტის ესთეტიკური საწყისის გააქტიურებას და ადრეული ასაკიდანვე აყალიბებს ესთეტიკურ დამოკიდებულებას.

ზნეობრივი აღზრდა ხელს უწყობს ბავშვის სულიერი სამყაროს, სხვა ადამიანებისადმი პატივისცემისა და სიყვარულის ჩამოყალიბებას, მისწრაფებას დაეხმაროს მათ, ურთიერთობა იქონიოს მათთან, ხოლო თუ საჭიროა, საკუთარი ინტერესები შესწიროს სხვათა ინტერესებს; ასეთი ზნეობრივი მიმართება ვრცელდება ცხოველებისადმი, მცენარეებისა და თვით ნივთებისადმი დამოკიდებულებაზეც, როცა მოზარდი სწავლობს მათში დაინახოს ადამიანური, რაღაც ზეშთაგონებული და მნიშვნელოვანი. მაგრამ ადამიანისადმი პატივისცემა და სიყვარული, მეგობრული დამოკიდებულება და მისწრაფება ხელი შეუწყოს,

დაეხმაროს შრომაში და იხსნას უბედურებისაგან, უმაღლეს საფეხურზე ერწყმის სხვა ადამიანისადმი ესთეტიკურ დამოკიდებულებას – უნარს ტკბებოდეს მისით, ახარებდა მისი არსებობა, აღტაცებას ჰგვრიდეს მისი სიდიადე, განიცდიდეს მის ტრაგიკულ მდგომარეობას, იუმორისტულად ეკიდებოდეს მის ყოველ მარცხსა და შეცდომას. ზნეობრივი და ესთეტიკური გრძნობების შერწყმა ადამიანის ჰარმონიული ყოფის უმაღლესი მიზანია. ეს დასტურდება იმით, რომ სწორედ სიყვარულია ადამიანთა შორის ისეთი დამოკიდებულება (არა მარტო ქალისა და კაცის, არამედ მშობლებისა და შვილების, მეგობრებისა და თანამოაზრეების სიყვარული), რომელიც ერთ მთლიანობად აქცევს ზნეობრივ და ესთეტიკურ გრძნობებს. ცხადია, ამ გრძნობების აღზრდაც ერთდროულად ხდება – გავიხსენოთ თუნდაც ხალხური ზღაპრები. მულტფილმები, საბავშვო წიგნები, რომლებშიც განუყოფელია სიკეთე და სილამაზე, ხოლო მეორე მხრივ – ბოროტება და სიმახინჯე, რომლებშიც კარგი შეფასება ნიშნავს „ზნეობრივსაც“, ლამაზსაც“, ხოლო ცუდი – „სისაძაგლე“ და „სიმახინჯეა“.

ადამიანის საქციელის ესთეტიკური შეფასების თავისებურება ის არის, რომ დიდი ყურადღება ექცევა ამ საქციელის ფორმას. მაგრამ ესთეტიკური აღზრდა არ უნდა ეწეოდეს ფორმის აბსოლუტიზირებას, არ უნდა აყენებდეს მას ქცევის

ზნეობრივ შინაარსზე მაღლა და, ამავე დროს, არ უნდა უგულებელყოფდეს, არამედ უდიდეს ყურადღებას აქცევდეს შინაარსისა და ფორმის, სიკეთისა და სილამაზის ერთიანობას. ესთეტიკური დამოკიდებულება აყალიბებს ნატიფ მანერებს: სილამაზეს, ადამიანის ურთიერთობას ადამიანთან – ზრდილობიან, პატივცემულ დამოკიდებულებას, ბავშვის მისწრაფებას ყურადღებას აქცევდეს თავის გარეგნობას – ვარცხნილობას, ტანსაცმელს, სიარულს, ლაპარაკს, ერთი სიტყვით, მთელ თავის სახეს. შემდგომში მოზარდი, ახალგაზრდა, მოზრდილი ადამიანი წააწყდება ცხოვრების მრავალ სირთულესა და წინააღმდეგობას და გაიგებს, რომ რეალურ ცხოვრებაში ზნეობრივი და ესთეტიკური ყოველთვის არ შეესაბამება ერთმანეთს, რომ ბოროტება შეიძლება ლამაზ სამოსელში გაეხვიოს, ხოლო სიკეთეს გარეგნულად მიმზიდველი იერსახე არ ჰქონდეს. მაგრამ პატარაობაში, როცა ბავშვი მხოლოდ ითვისებს კულტურას, ზნეობრივი აღზრდა განუყოფელია ესთეტიკურისაგან, ისევე, როგორც ფიზიკური და შრომითი აღზრდისაგან და სწორედ ოჯახს შეუძლია სრულად განახორციელოს ეს ერთიანობა.

ასევე მჭიდრო და განუყოფელია ამ ეტაპზე ესთეტიკური აღზრდის კავშირი მხატვრულ აღზრდასთან. თავდაპირველად, ბავშვს ხელოვნებას აზიარებენ როგორც მსმენელს – უკითხავენ ზღაპრებს, ლექსებს, ასმენინებენ სიმღერებს,

როგორც მაყურებელს, აჩვენებენ სათამაშოებს, სურათებს, დიაფილმებს და უკვე ამ დროს ესთეტიკურად სრულფასოვანი ნაწარმოებების შერჩევა ემსახურება ბავშვის ესთეტიკური გემოვნების პირველსაწყისების განვითარებას. მაგრამ, თანდათან, 3–6 წლამდე ასაკში მის ცხოვრებაში სულ უფრო დიდ ადგილს იკავებს თვითშემოქმედება – ხატვა, ძერწვა, სიმღერა, ეცკვა, ზოგჯერ ლექსების შეთხზვა, შემდეგ კი, უფროსების უშუალო ხელმძღვანელობით, მუსიკალურ საკრავებზე დაკვრა, სხვადასხვა მხატვრულ წრეში მონაწილეობა. ბუნებრივია, რომ მშობლების პირველი ამოცანაა ყოველნაირად შეუწყონ ხელი ბავშვის მხატვრული თვითგამოხატვის ყველა ფორმას, ყურადღებით მოეკიდონ მისი უნარის განვითარებას და თუ ეს ნამდვილად გამართლებულია, პროფესიულ პედაგოგებთან ასწავლონ ესა თუ ის ხელოვნება.

მაგრამ ამ დროს მშობლები აწყდებიან მთელ რიგ სიძნელეებს, უწინარეს ყოვლისა, მშობელს უნდა შეეძლოს განასხვაოს ბავშვთა თვითმოქმედებისა და ნამდვილი ხელოვნების პრინციპები, არ ზღუდავდეს ბავშვის ფანტაზიას და მისი აზროვნების განსაკუთრებულ წყობას; არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეზღუდოს ბავშვის თვითგამოხატვის თავისუფლება. უნარიანად და შეუმჩნევლად უნდა წარმართოს მისი შემოქმედებითი დამოუკიდებლობა ისე, რომ განუვითარო ბავშვს ესთეტი-

კური მოთხოვნილებანი, ინტერესები, გემოვნება, გაწმინდოს მისი ქცევა უხეშობის, ძალადობის, სისასტიკის ელემენტებისაგან, რომლებიც ხშირად იჩენენ თავს ბავშვების ურთიერთობაში. ამისათვის კი საჭიროა, რომ მშობლებს ჰქონდეთ განვითარებული გემოვნება და, ამავე დროს, ესმოდეთ ბავშვის ფსიქოლოგია, პატივს სცემდნენ მის თავისუფლებასა და ინიციატივას, შესწევდეთ უნარი ბავშვს ნდობა აღუძრან, რათა მან ყურად იღოს მშობლების რჩევა.

როცა ბავშვის ესთეტიკურ აღზრდაზე, როგორც მისი შრომითი, ფიზიკური, ზნეობრივი, მხატვრული აღზრდის დიდმნიშვნელოვან მხარეზე ვლაპარაკობთ, გამუდმებით ვხედავთ იმ კავშირს, რომელიც არსებობს ესთეტიკურ ცნობიერებასა და თამაშს შორის. ეს სულაც არ არის შემთხვევითი, რადგან თამაში ადამიანის საქმიანობის სწორედ ისეთი სახეობაა, რომელიც სიამოვნების მომგვრელია თვით მისი პროცესით, მიმდინარეობით, იმით, თუ რაოდენ უნარიანად, მარჯვედ, ოსტატურად აკეთებს ადამიანი იმ საქმეს, თუნდაც ისე, რომ ამ დროს რაიმე სასარგებლო პრაქტიკული მიზნები არც ამოძრავებდეს. ამიტომაც ბავშვს, რომელიც თავისუფალია საზრდოს შოვნისა და სხვა საარსებო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისაგან (რადგან ამ საზრუნავს უფროსები კისრულობენ), და ჯერაც არ მომწიფებულა იმისათვის,

რომ სერიოზულად ჩაუღრმავდეს მეცნიერებას, ტექნიკას, ხელოვნებას, პოლიტიკას, ისღა დარჩენია, თავისი მეობა გამოალვინოს თამაშში, რომელიც, როგორც ფსიქოლოგიურმა მეცნიერებამ დაამტკიცა, ბავშვის საქმიანობის წამყვანი სახეობაა. ის სასურველიცაა ბავშვისათვის, რადგან სიამოვნებას ანიჭებს მას, სოციალურად ღირებულიცაა, ვინაიდან სწორედ თამაშში ყალიბდება მისი ყველა ადამიანური თვისება, უნარი და ნიჭი. ამიტომაც გასაგებია, რატომ ეზიარება ხოლმე ბავშვი შრომას ყველაზე მეტი წარმატებით, ორგანულად და ესთეტიკური თვალსაზრისით ქმედითად, როცა იგი თამაშის ფორმით ხორციელდება; რატომ არის, რომ ფიზიკური აღზრდა ამავე მიზნით იყენებს სპორტულ თამაშობათა საშუალებებს: რატომ არის, რომ ზნეობრივი და მხატვრული აღზრდა ერწყმის ესთეტიკურ აღზრდას ბავშვის ეგრეთ წოდებულ „როლებიან თამაშებში“ და მხატვრული თვითმოქმედების თამაშთან შერწყმის პირობებში (თოჯინის მორთვა–გალამაზება, კონცერტი, თეატრი და ა. შ.).

სკოლამდელი ასაკის ბავშვების ესთეტიკური აღზრდის ყველა გზისა და საშუალების სრულფასოვანი გამოყენებისათვის საჭიროა როგორც მშობლების, ისე საბავშვო ბაღების აღმზრდელთა შესაბამისი მომზადება. თუ ეს უკანასკნელნი თეორიულ მომზადებას (ავად თუ კარგად) პედაგო-

გიურ ტექნიკუმებსა და ინსტიტუტებში იძენენ, მშობლებს ისღა დარჩენიათ, ინტუიციით ეძებონ ესთეტიკური აღზრდის ეფექტიანი საშუალებები, მაშასადამე, საჭიროა შეიქმნას მათი შესაბამისი განათლების კარგად მოფიქრებული სისტემა. ეს განათლება მათ უნდა მიიღონ ტელევიზიით, იმ პოპულარული წიგნებისა და ბროშურების მეშვეობით, რომლებიც ხელს უწყობს მშობლების ესთეტიკურ თვითგანათლებას. ყოველივე ეს უნდა დავიწყოთ სკოლის უფროს კლასებში და უმაღლეს სასწავლებლებში.

სკოლაში შესვლით იწყება ახალი ეტაპი ბავშვის ცხოვრებაში. იცვლება ესთეტიკური აღზრდის პირობები და წესები, კერძოდ, მცირდება ოჯახის შესაძლებლობანი. ბავშვის, მოზარდის, ჭაბუკის შემდგომ ესთეტიკურ განვითარებაში – უკვე მთავარ როლს ასრულებს სკოლა და თანატოლებთან ურთიერთობის სკოლის გარეშე ფორმები. მაგრამ შემცირება იმას როდი ნიშნავს, რომ იგი „ქრება“. პირველ რიგში თვით ოჯახზეა დამოკიდებული, თუ როგორი იქნება სასკოლო წლებში ბავშვის ესთეტიკურ აღზრდაში მისი მონაწილეობის ხვედრითი წილი. ეს დამოკიდებულია მშობლების, უფროსი და–ძმების, ოჯახის, როგორც მთლიანი ორგანიზმის, როგორც კოლექტივის საერთო ავტორიტეტზეც და ოჯახური ცხოვრების ესთეტიკურ პოტენციალზეც. იქ, სადაც ეს პოტენციალი მცირეა, სადაც ოჯახი სუფევს უთანხმოება,

უხეშობა, ვულგარანგარებიანი დამოკიდებულება ყველაფრისა და ყველას მიმართ, მას არ შეუძლია კარგი ესთეტიკური ზემოქმედება მოახდინოს თავის უმცროს წევრებზე. მაგრამ იქ, სადაც ესთეტიკური კრიტერიუმებით დღენიადაგ და ყოველმხრივ ხელმძღვანელობენ ყველა საოჯახო საქმეში, სადაც შეფასებები „ლამაზი – ულამაზო“ ქცევის, მოქმედების, მანერის, ნივთების მიმართ დადებითი ან უარყოფითი დამოკიდებულების დიდმნიშვნელოვანი განმსაზღვრელია, სადაც ღრმად ფეხმოკიდებულია სხვა ადამიანების უბედურებათა ტრაგედიად აღქმა და განცდა, სადაც განვითარებულია იუმორის გრძნობა არა მარტო სხვების, არამედ საკუთარი თავის მიმართ – იქ ოჯახის ესთეტიკური ზეგავლენა შენარჩუნებულია და ზოგჯერ სძლევს კიდეც ესთეტიკური თვალსაზრისით იმ უარყოფით გავლენას, რომელსაც ზოგჯერ შეიძლება ბავშვი განიცდიდეს სკოლაში, ეზოში, ცუდ კომპანიაში.

ამისათვის საჭიროა ზოგიერთი საერთო და სპეციალური პირობა: პირველს გენეკუთვნება ოჯახური ცხოვრების ისეთი სულისკვეთება, რომელიც გამორიცხავს „მამებისა და შვილების“ პრობლემას, ვინაიდან „მამებს“ აქვთ მოთხოვნილება და უნარი ყურადღებიანად და პატივისცემით მოეკიდონ იმ ახალს, რომელიც გარდუვალად თან სდევს „შვილებს“, ეს, კერძოდ, ეხება ესთეტიკურ კულტურას – „მამების“ დამოკიდებულებას

ახალგაზრდული მოდისადმი, ახალგაზრდობის მხატვრული გემოვნებისადმი, მისი მეტყველების, ქცევების თავისებურებისადმი და ა. შ. მეორეა იმის შეგნება, რომ საჭიროა მუდმივი თვითაღზრდა, ვინაიდან ეს არის მოზრდილი ადამიანებისა და ოჯახის როგორც კოლექტივის ესთეტიკური მოთხოვნილებების, ინტერესების, გემოვნებისგანუწყვეტელი განვითარების ერთადერთი შესაძლებლობა თანამედროვე კულტურა უნდა იძლეოდეს ამის ყველა პირობას – ამაში შედის სამეცნიერო–პოპულარული ლიტერატურა ესთეტიკური ხასიათის მრავალფეროვან პრობლემებზე, მუზეუმებსა და ფილარმონიებში, სპეციალური გადაცემები ამ თემებზე რადიოთი და ტელევიზიით, საჭიროა, აგრეთვე, ადამიანს ესმოდეს ესთეტიკური თვითაღზრდის დიდი მნიშვენლობა და აუცილებლობა. იგი შეიძლება იყოს არა მარტო ინდივიდუალური, არამედ ჯგუფური, კოლექტიური, ოჯახური, რაც უდავოდ აამაღლებს მის ეფექტიანობას, ვინაიდან ესთეტიკურ კულტურას უვითარებს არა მარტო „შვილებს“, არამედ „მამებსაც“, აახლოებს თაობებს, სულიერად ადუღაბებს ოჯახს, – როგორც ჩვენი საზოგადოების დიდმნიშვნელოვან ბირთვს.

ესთეტიკური აღზრდის სიმძიმის გადატანა მას განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებს. მთავარია იმის გაგება, რომ ესთეტიკური აღზრდა სკოლაში უნდა ხორციელდებოდეს უკლებლივ

ყველა საგნის სწავლებისა და მთელი კლასგარეშე მუშაობის დროს. მათემატიკის სწავლებას ეხება საქმე, თუ ბიოლოგიისას, ფიზკულტურას თუ საწარმოო სწავლებას – მიზანი ცოდნის უბრალო ტრანსლაცია და გარკვეული ქმედების სწავლება კი არა უნდა იყოს, არამედ ის, რომ მოსწავლეებს ჩამოვუყალიბოთ ესთეტიკური დამოკიდებულება გარკვეული მეცნიერებისა და პრაქტიკისადმი – ემოციური მიდრეკილება, რომელიც წარმოშობს ცოდნის მიღების სიხარულს. ესე იგი იმ უანგარო სიამოვნებას, რომელიც ესთეტიკური განცდის მთავარ ფორმად ითვლება. მასწავლებელმა, რომელსაც ესმის ეს აუცილებლობა და შეუძლია მიაღწიოს მიზანს, მოსწავლეებს უნდა აღუძრას ამოცანის ამოხსნის სილამაზის, ექსპერიმენტის მოწყობის სინატიფის, ბუნების სიდიადის, აღწერილი ისტორიული მოვლენების ტრაგიზმის ან კომიზმის შეგრძნება ისევე, როგორც ესთეტიკური დამოკიდებულება შრომითი ოპერაციებისადმი. სპორტისადმი; თავისთავად გასაგებია, რომ მაღალი ესთეტიკური პოტენციალი უნდა ჰქონდეს მხატვრული ლიტერატურის, მუსიკის, პლასტიკურ ხელოვნებათა სწავლებას. ამავე დროს, მოსწავლეებს ესთეტიკურ/შემეცნებას უნდა უღვივებდეს სკოლის შენობის არქიტექტურა, სასკოლო ავეჯი, თვალსაჩინო აგიტაციის საშუალებები, ტანსაცმელი, მუსიკა, რომელიც სკოლაში ჟღერს; ესთეტიკურ ეფექტს უნდა ვითვალისწინებდეთ

ლაშქრობების, ექსკურსიების, მთელი კლასგარეშე მუშაობის ორგანიზაციის დროს.

სასწავლო პროცესში და სასკოლო ცხოვრებაში ესთეტიკური აღზრდის ორგანული დანერგვის უზრუნველყოფა შეუძლია მხოლოდ ისეთ პედაგოგს, რომელიც თავისი საქმის ნამდვილი ოსტატია, უყვარს თავისი საგანი და პედაგოგიური მოღვაწეობა, რომელსაც უნდა და შეუძლია კიდეც ეს სიყვარული გადასცეს ბავშვებს, მოზარდებს, ჭაბუკებს. მაშასადამე, სკოლაში ესთეტიკური აღზრდის წარმატება დამოკიდებულია მასწავლებლების მომზადებაზე, რაც უმაღლეს სკოლას ევალება. ჯერჯერობით კი პედაგოგიურ უმაღლეს სასწავლებლებსა და უნივერსიტეტებს არ ესმით ამ ამოცანის მნიშვნელობა და არა აქვთ არც ზოგადი და სპეციალური კურსების, სემინარების ქსელი, არც სახელმძღვანელოები, რომლებიც სტუდენტებს გააცნობენ მათემატიკის, ბიოლოგიის, ისტორიის, ფიზკულტურის სწავლებაში ესთეტიკური აღზრდის შეტანის მიზნებსა და საშუალებებს.

მოსწავლე ახალგაზრდობის ესთეტიკური აღზრდის მესამე საყრდენია მთელი მათი სკოლის გარეშე და ოჯახგარეშე ცხოვრება. იგულისხმება ყოველგვარი სპეციალური მხატვრული და სპორტული სკოლები, კულტურის სასახლეების წრეები, თეატრები, კინოთეატრები და მუზეუმები, დისკოთეკები და სტადიონები, კაფეები და

სასადილოები და რასაკვირველია კომპიუტერიზაცია რომელიც ასეა შემოჭრილი ჩვენს ყოველდღიურობაში და ბოლოს ქალაქის ქუჩები, სადაც ახალგაზრდები დროის საკმაო ნაწილს ატარებენ და აქ ჩვენ ყველგან ვხვდებით გარკვეული სიმძლავრისა და მიმართულების ესთეტიკურ პოტენციალს და უნდა გვესმოდეს, ახალგაზრდობის ესთეტიკური ცნობიერების ჩამოყალიბებაზე ზემოქმედების რა ძალა აქვს მისი ყოველდღიურობის ამ „არასაწარმოო“ ფაქტორებს.

ქალიშვილებისა და ჭაბუკების შემეცნების, კერძოდ, მათი ესთეტიკური შემეცნების, გემოვნების, იდეალების ჩამოყალიბების პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი ფაქტორი, როგორიც არის თანატოლების ურთიერთზეგავლენა. თუ სასკოლო ცხოვრების პირველ ეტაპზე ეს ფაქტორი ჯერაც უმნიშვნელოა, ისევე როგორც სკოლამდელთა ცხოვრებაში, როცა, ძირითადად, ავტორიტეტი მოზრდილებს ეკუთვნით, „დედა–შვილობის“ თამაში იქნება ის, ომობანა, თუ ექიმობანა – სქესობრივი მომწიფებისა და მასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური გარდატეხის პერიოდში „ღირებული სხვა“ რამ ხდება: მეგობარი, ამხანაგი, სატრფო, ხოლო ახალგაზრდულ წრეში „ჰორიზონტალური“ ურთიერთობა თანდათან უკანა პლანზე სწევს ასაკობრივ „ვერტიკალური“ ურთიერთობას. ტყუილად როდი უწოდებენ უფროსები ამ ასაკს „ძნელს“ (მათთვის,მართლაც,

ძალიან ძნელია ურთიერთობა იმ ბავშვებთან და მოსწავლეებთან, რომლებიც უკვე თავს დიდებად, დამოუკიდებლად გრძნობენ, ეკონომიკური თუ არა, ბიოლოგიური თვალსაზრისით მაინც).

პიროვნების ესთეტიკური განვითარებისათვის ამ გარდატეხას აქვს უშუალო და, მართლაც, სერიოზული შედეგები: ჯერ – ერთი, იზრდება თანატოლთა გემოვნების ავტორიტეტი მასწავლებლებისა და მშობლების ავტორიტეტთან შედარებით; მეორე, ესთეტიკურ შემეცნებაზე თანდათან სულ უფრო ძლიერ გავლენას ახდენს სხვადასხვა სქესის წარმომადგენლების ურთიერთობა – სხვა სქესის წარმომადგენლებისა და საკუთარი გარეგნობის შეფასება, რეაქცია საპირისპირო სქესის მიმზიდველობაზე და სურვილი თავი მოაწონოს მას, მოახდინოს შთაბეჭდილება. აქედან წარმოდგება მოდის როლი, რომელიც იჭრება ქალიშვილებისა და ჭაბუკების ესთეტიკურ სამყაროში; მესამე, მნიშვნელოვნად იზრდება ხელოვნების როლი ახალგაზრდების ცხოვრებაში და მაშასადამე, მისი გავლენა ესთეტიკურ განვითარებაზე – „თამაშის ასაკი“ ხომ უკვე გადის, „შრომის ასაკი“ კი ჯერაც არ დამდგარა და ამ ხანგრძლივ ვაკუუმს ავსებს ცხოვრება ხელოვნებაში წარმოსახვით შექმნილ იდეალურ–მხატვრულ „სამყაროებში“, რომლებშიც ჩამოყალიბების პროცესში მყოფი პიროვნება პოულობს ილუზორული საქმიანობის შესაძლებლობას თავისი ჯერაც უმწიფარი მისწ-

რაფებების, ოცნებების, „საჭირო მომავლის“ მოდელების შესაბამისად.

უფროსი ასაკის მოსწავლეთა ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სულიერი განვითარების მთელი ეს ახალი პირობები ყოვლად სერიოზულ პედაგოგიურ პრობლემებს უქმნის მასწავლებლებსაც და მშობლებსაც, ისინი იძულებული ხდებიან იპოვონ „მამებისათვის“ სასურველი მიმართულებით „შვილების“ სულზე ზემოქმედების ახალი მეთოდები. ასეთი ზემოქმედების პირობაა „შვილებთან“ ნამდვილად სწორი ურთიერთობა, რომელიც ემყარება პატივისცემას, შვილის იმ უფლების აღიარებას, რომ თავისუფლად აირჩიოს ქცევის მოდელები, მათი მისწრაფებებისადმი გამგებიან დამოკიდებულებას და სურვილს მიაღწიონ შვილებთან ისეთსავე სულიერ სიახლოვეს, როგორიც არსებობს მათ საკუთარ წრეში. „მამების“ ასეთი პოზიცია მოითხოვს ამ ასაკის „შვილების“ ფსიქოლოგიის ზუსტ გაგებასაც. მათთან ურთიერთობის გარკვეულ უნარსა და ჩვევასაც და, უდავოდ, შესაბამის პედაგოგიურ ნიჭსაც. აქედან წარმოდგება პედაგოგიურ უმაღლეს სასწავლებლებში მომავალი აღმზრდელ–მასწავლებლების პროფესიული შერჩევის პრობლემებიც, მშობლების ფართო პედაგოგიური განათლების საჭიროებაც.

სტუდენტური ცხოვრების წლებს პრინციპული ცვლილებები არ შეაქვს სასკოლო ცხოვრების დროს ჩამოყალიბებულ სურათში – იზრდება მხო-

ლოდ „ჰორიზონტალური“ კავშირურთიერთობისა და პიროვნების თვითაღზრდის ზეგავლენა „ვერტიკალური“ კავშირების („მამები და შვილები“) ხვედრით წონასთან შედარებით. რადიკალური ცვლილებები როგორც პიროვნების სულიერი განვითარების საერთო მიმდინარეობაში, ისე მის ესთეტიკურ აღზრდაში შეაქვს პროფესიულ შრომით საქმიანობაზე გადასვლას. ეს ცვლილებები დაკავშირებულია სწორედ იმასთან, რომ პიროვნების ცხოვრებაში მთავარი ხდება მისი პროდუქტიული, აღმშენებლობითი, პრაქტიკული საქმიანობა ამა თუ იმ სფეროში, რაც ამ პიროვნებას საშუალებას აძლევს გამოავლინოს თავისი ესთეტიკური პოტენციალი, ესთეტიკური კრიტერიუმები გადააქციოს თავისი მოქმედების აუცილებელ ორიენტირად და ამით შრომა – როგორც მისი პროცესი, ისე შედეგები – ესთეტიკური ემოციების წყაროდ. გასაგებია, რომ ყოველივე ეს ავტომატურად არ ხდება; ამისათვის საჭიროა პიროვნების შესაბამისი წინასწარი მზადყოფნა თავისი შრომისადმი ესთეტიკური და არა ანგარებიანი, ნაციონალურ–პრაგმატული, კარიერისტული, ბიუროკრატიული დამოკიდებულებისათვის და ისეთი პირობები, რომლებიც ხელს შეუწყობენ იმას, რომ ადამიანს განუმტკიცდეს და განუვითარდეს თავისი შრომითი საქმიანობის უანგარო ემოციური აღქმა, დამოკიდებულება მისდამი როგორც „ფიზიკური და ინტელექტუალური ძალე-

ბის თამაშისადმი“ (კ. მარქსი). ასეთი პირობების შექმნა, ნაწილობრივ, დამოკიდებულია ყოველ პიროვნებაზე. მაგრამ, უწინარეს ყოვლისა, და უმთავრესად იმაზე, რომ პრაქტიკული საქმიანობის ესა თუ ის სფერო სახელმწიფომ, საზოგადოებამ მოაწყონ მათი საჭიროებებისა და ამ საქმიანობის სპეციფიკურ შესაძლებლობათა შესაბამისად.

უნდა გამოვყოთ პრაქტიკული ცხოვრების რამდენიმე მთავარი სფერო, რომლებიც გამოირჩევიან მათი ესთეტიკური პოტენციალის ხასიათით და, შესაბამისად, თითოეულ მათგანში მონაწილე ადამიანების ესთეტიკურ შემეცნებაზე ზემოქმედების წესებით: ასეთებია საწარმოო სფერო, საზოგადოებრივ–პოლიტიკური და იურიდიული, სპორტული და თამაშობების სფეროები, სამხედრო სფერო; მათთან ერთად განაგრძობენ არსებობას კერძო, ოჯახური ცხოვრებისა და ადამიანთა ინტიმური ურთიერთობის სფერო და ილუზორული, მხატვრული პრაქტიკის სფერო – ადამიანის ცხოვრება ხელოვნებაში, რომელიც მის რეალურ ყოფას აორკეცებს და განაგრძობს „მხატვრული რეალობით“. საკმარისია თუნდაც ძალიან მოკლედ შევეხოთ ადამიანის ცხოვრებისა და საქმიანობის თითოეული ამ სფეროს თავისებურებებს, რათა გამოვალინოთ მათი სპეციფიკური შესაძლებლობანი ესთეტიკურ აღზრდაში.

საწარმოო სფეროდ ჩვენ მივიჩნევთ ადამიანთა პროდუქტიული საქმიანობის ყველა სფეროს,

მათ შორის სულიერ წარმოებასაც (მეცნიერულს, კონსტრუქტორულს, პედაგოგიურ საქმიანობას), სამედიცინო საქმიანობას, რომელიც აერთიანებს ადამიანის სულიერ და მატერიალურ გარდაქმნას. საზოგადოებრივი ცხოვრების ამ სფეროს ესთეტიკური ზემოქმედებას განისაზღვრება, ერთი მხრივ, სოციალური ფაქტორებით – შრომის თავისუფალი ან იძულებითი ხასიათით, საზოგადოებისა თუ პატრონისათვის მუშაობით, სამართლიანი ან უსამართლო გასამრჯელოთი; მეორე მხრივ კი თვით შრომითი საქმიანობის მონაწილეთა პროფესიული მომზადების, მათი ოსტატობის დონითა და მომთხოვნელობით კარგი ხარისხის პროდუქტების შემქნისადმი; მესამე – საწარმოო პროცესის მთელი ვითარების ორგანიზაციით – იმ ნაგებობის არქიტექტურით დაწყებული, სადაც ეს პროცესი მიმდინარეობს და საწარმოო გარემოს, მოწყობილობის, შრომის იარაღების, სპეცტანსაცმლის დიზაინერული შემუშავების ჩათვლით, ნაგებობების გაფორმებით დამთავრებული (განწვანება, თვალსაჩინო აგიტაცია) და თუ ეს შესაძლებელია, საწარმოო მუსიკის გამოყენებით. ასე ემსახურება შრომის ორგანიზაცია, მისი პროფესიული დონე და ტექნიკური ესთეტიკის ძალისხმევა ადამიანთა პრაქტიკულ–აღმშენებლობითი საქმიანობის ყველა სფეროში მათს ესთეტიკურ აღზრდას, რაც, თავის მხრივ, ამაღლებს ამა თუ

იმ საქმიანობის მიმდევრის – ხარატის ან მკერავის, კონსტრუქტორის ან ექიმის, მეცნიერის ან მასწავლებლის ნამუშევრის ესთეტიკურ დონეს.

პრაქტიკის მეორე სფეროა სოციალურ–მმართველობითი, იურიდიული, პოლიტიკური, ორგანიზაციული საქმიანობა და მას აქვს თავისი ესთეტიკური პოტენციალი, რომელსაც ფესვები ადამიანთა ურთიერთობაში აქვს გადგმული და რომელიც არანაკლებ ექვემდებარება ესთეტიკურ რეგულაციას, ვიდრე ბუნებისადმი ადამიანის დამოკიდებულება.

სწორედ აქედან წარმოდგებოდა სოციალური მმართველობის მთელი ისტორიის თანმდევი მისწრაფება ესთეტიკური ელფერი, ემოციურ–შთამბეჭდავი ხასიათი მიენიჭებინა მისთვის; გავიხსენოთ ფარაონების, ხანების, მეფეების ყველა პოლიტიკური წეს–ჩვეულების, რელიგიური კულტის ესთეტიკურად ქმედითი ორგანიზაცია, სამართალწარმოების ანალოგიური გაფორმება (სასამართლო პროცესის ცერემონიალი, მანტიები, მოსამართლეების პარიკები და თავსამკაულები, შენობებისა და ავეჯის არქიტექტურული გადაწყვეტა). ჩვენ უკვე დიდი ხანია შევიცანით ძველი წეს–ჩვეულებების ახლით, სოციალისტურით შეცვლის აუცილებლობა, ოღონდ ისე, რომ წეს–ჩვეულებას შევუნარჩუნოთ სოციალური ქმედების ესთეტიკური ორგანიზაციის არსი. საზეიმო

სხდომა იქნება, ქორწინება, სამართალწარმოება თუ სამოქალაქო პანაშვიდი, ყველა შემთხვევაში მოქმედების ესთეტიკური გაფორმების დონე აღემატება მონაწილეებსა და მაყურებლებზე მის ემოციურ ზემოქმედებას და ამით ხელს უწყობს, რომ ადამიანმა ამ პროცესებისადმი, მათი სოციალური შინაარსისადმი გარკვეული დამოკიდებულება გამოიმუშავოს.

ადამიანთ აპრაქტიკული ცხოვრების მესამე სფეროა სპორტული ცხოვრება და თამაშობები. ერთიც და მეორეც ცნობიერად თუ ქვეცნობიერად ისახავს გარკვეულ უტილიტალურ მიზნებს – სპორტში ეს მიზნებია ფიზიკური განვითარება და ჯანმრთელობის გაკაჟება, პედაგოგიკური მიზნები ბევრი ტიპის თამაშობებს ახლავს, მაგრამ ორივე შემთხვევაში დიდი, ჩვენს დროში კი სულ უფრო მზარდი როლი უკავია ესთეტიკურ ფაქტორს საგულისხმოა, რომ ესთეტიკური კრიტერიუმი დამოუკიდებელი, დამატებითი კრიტერიუმი ხდება სპორტის მთელ რიგ სფეროებში (ასეა ფიგურულ სრიალში, აგრეთვე ფეხბურთში ულამაზესი გოლის, ჭადრაკში ულამაზესი პარტიის შეფასების დროს), ხოლო თამაშობებში, სპორტული იქნება, თუ სხვა სახის, თვით მათი პროცესისაგან მიღებული უანგარო სიამოვნება უნდა იყოს თამაშისადმი ადამიანის სწრაფვის მთავარი სულიერი სტიმული და ბოლოს არსებითია ისიც, რომ თამაშობა და სპორტი ძალიან ხშირად გადადის

ხელოვნებაში, რაც მნიშვნელოვნად ზრდის მის ესთეტიკურ პოტენციალს. ამიტომ სპორტიც და თამაშობებიც არა მარტო აკმაყოფილებენ ადამიანის ესთეტიკურ მოთხოვნილებებს, არამედ აყალიბებენ, ავითარებენ, სრულყოფენ მათ, ერთი სიტყვით, ესთეტიკური აღზრდის აქტიური ინსტრუმენტები ხდებიან.

ყმაწვილის აღზრდის ძირითადი კერა ოჯახია. სასწავლებელში მისვლისთანავე აღზრდის მეორე მძლავრი კერაც წარმოიქმნება – ეს არის სკოლა. აღზრდის ეს ორი ძირითადი კერა თანდათანობით აყალიბებს მოზარდს, ამზადებს მას მომავალი მოქალაქეობრივი ცხოვრებისათვის. ფიზიკური და სულიერ–გონებრივი წვრთნის პროცესზე დიდ ზეგავლენას ახდენს გარემომცველი პირობები (საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები, ქუჩა და ა. შ.) მოზარდის ფორმირებაში ერთ–ერთი წამყვანი როლი განეკუთვნება ამხანაგს, მეგობარს. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ ვისთან მეგობრობს იგი. ძველი რომაული გამოთქმის გახსენება სწორედ აქ არის უპრიანი: „მითხარი, ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი, რა კაციცა ხარო“.

აღზრდა რამდენიმე ძირეული კომპონენტის რთული შენადნობია. ესენია: იდეურ–პოლიტიკური, პატრიოტულ–ინტერნაციონალური, ზნეობრივი, მხატვრულ–ესთეტიკური, შრომითი და ფიზიკური.

ახალი, სრულყოფილი საზოგადოების გაშლილი

მშენებლობის პირობებში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება პოლიტიკურ, შრომითსა და ზნეობრივ აღზრდას.

ზნეობა კლასობრივი კატეგორიაა. ჩვენს საზოგადოებაში მაღალზნეობრივი ადამიანები უნდა იზრდებოდნენ. დღევანდელი სკოლისა და ოჯახის ამოცანაა, აღზარდონ ყოველმხრივ განვითარებული ადამიანები, რომლებშიც შეხამებული იქნება შრომისმოყვარეობის, პატიოსნების, თავაზიანობის, თავმოყვარეობის, ურთიერთპატივისცემისა და სხვა კეთილსახიერი უნარ–ჩვევები.

ადამიანის ზნეობრივი ფორმირება მისი დაბადების დღიდანვე იწყება. ჯერ კიდევ სკოლამდელ ასაკში უყალიბდებათ ბავშვებს საწყისი ზნეობრივი ჩვეულებანი და წარმოდგენები, ანუ ელემენტარული ზნეობრივი უნარ–ჩვევები. მათი სწორად, მართებულად განვითარების მიზნით ჩვენ, მეცნიერ–პედაგოგებსა და, საერთოდ, განათლების დარგის მუშაკებს, გვმართებს რთული, შრომატევადი და მოთმინებითი მუშაობა, რადგან ზნეობრივი აღზრდა გულისხმობს ბევრი ერთმანეთზე გადაჯაჭვული ამოცანის გადაწყვეტას. აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის გამომუშავება; ყოველმა ყმაწვილმა ყველაფერზე მაღლა უნდა დააყენოს ადამიანის პიროვნება, უნდა შეიგნოს, რომ სიცოცხლის აზრი მარტო პირადი კეთილდღეობისათვის ბრძოლა როდია, არამედ საზოგა-

დოებისა და სხვა ადამიანთა დახმარება – მათთვის სარგებლობის მოტანა.

მაღალზნეობრივი ჩვევების ჩამოყალიბება–განვითარებაში დიდ როლს ასრულებს პირადი მაგალითი. საერთო–სახალხო საქმისადმი თავდადება, პრინციპულობა და მაღალზნეობრივი ყოფა–ქცევა ადამიანებთან ურთიერთობაში, დევიზის – „ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის“ გატარება გადამწყვეტ როლს ასრულებს მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდაში. აქაც, ისე როგორც შრომასა და ბრძოლაში, ხელმძღვანელი სპირადი მაგალითი გადამწყვეტია.

საკმაოდ ეფექტური საშუალებაა მოსწავლეთა აღზრდა მამა–პაპათა საბრძოლო და შრომით ტრადიციებზე. ყოველმა მოზარდმა უნდა იცოდეს და პატივს სცემდეს სამშობლოსა და ხალხისათვის თავდადებულ ადამიანებს.

აღზრდის პროცესში ყველაფერი უნდა ემსახურებოდეს იმას, რომ მომავალი მოქალაქე ფსიქოლოგიურად მოვამზადოთ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისათვის. საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისადმი დამოკიდებულება ამოწმებს ადამიანის ცხოვრებისეულ აქტიურობას, მის შემოქმედებით საქმიანობას, სამშობლოს იდეებისადმი ერთგულებას.

სამშობლოს იდეალებისათვის ბრძოლა კი შეუძლებელია ზნემაღალი პიროვნების აღზრდის გა-

რეშე. ზნეობრივ აღზრდა სრულყოფილი მაშინაა, როცა ითვალისწინებს საზოგადოების კეთილდღეობას, ემსახურება სამართლიანობის, მშვენიერებისა და სიკეთის ინტერესებს. აღმზრდელი მასწავლებელით ვითონ უნდა იყოს საღი აზროვნების, ფაქტიზი გრძნობის, მტკიცე ნებისყოფის მქონე და მომთხოვნი, ამასთან სხვებზე მზრუნველიც. უანგარო ურთიერთზრუნვა, თანაგრძნობა და სიყვარული სრულყოფილი ზნეობის უპირველესი ნიშან–თვისებაა.

თუ ზემოთ აღნიშნული რომელიმე მხარე აკლია აღმზრდელ პედაგოგს, ტყუილად შეუდგება იგი აღმზრდელობით საქმიანობას, ყოველ შემთხვევაში, მისი საქმიანობა ვერ უპასუხებს ახალგაზრდობის სამშობლოსა და მშობელი ხალხის სულისკვეთებით აღზრდის თანამედროვე მოთხოვნებს.

ჯერ კიდევ კლასიკურ პედაგოგიკაში არჩევდნენ აღზრდასა და სწავლებას. აღზრდა ზნე–ხასიათის გამომუშავება–განვითარებას ემსახურება, ხოლო სწავლება გონების გახსნას, მსჯელობის გაძლიერებას, ესეიგი ცოდნის შეძენას. მაგრამ საკმარისი არაა ადამიანმა შეიძინოს დიდი ცოდნა, იყოს კარგი მეცნიერი ან ხელმძღვანელი, არამედ აუცილებელია (არამც თუ სასურველი) უპირველესად იყოს იგი ზნემაღალი ადამიანი. „ავი კაცი რამდენადაც მეცნიერია და დიდად სწავლული, იმდენად უფრო ძლიერ საშიშია, უფრო მავნებელია... ჭეშმარიტი განათლება განვითარებული

გონებისა უწრთვნილი ზნე–ხასიათის ერთმანეთთან განუყრელად შეუღლებაა, თუ კაცს ერთი აკლია, ან მეორე, იგი განათლებული არ არის და ისევ გონებაგანუვითარებელი და ზნე–ხასიათით გაწვრთნილი კაცი სჯობია, ვიდრე გონებაგანვითარებული და ზნე–ხასიათით გაუწვრთნელი“ – ბრძანებდა დიდი ილია.

მეორე დიდი კლასიკოსი იაკობ გოგებაშვილიც სკოლის ძირითად ამოცანად თვლიდა მოსწავლეთა ზნეობრივ აღზრდას, ხოლო ზნეობრივ აღზრდად უპირველესად გულისხმობდა სამშობლოს სიყვარულის ჩამოყალიბებას. იგი მოაგონებდა პედაგოგებს, აღმზრდელებს, რომ „საუბედუროდ, ბუნება „პატრიოტობაზე სრულიად არ ზრუნავს, იგი ბადებს ქვეყანაზე არა საზოგადოებას, არამედ ინდივიდუმს, ცალკე პირს და არსებობის დაცვისთვის მას ანიჭებს ეგოიზმს, თავისთავის მოყვარეობას. ხალხი, ერი, კაცობრიობა ბუნებისათვის არ არსებობს და საზოგადოებრივ გრძნობასაც იგი ვერ დაანათლებს ადამიანს“.

ცხადია, დიდი პედაგოგი ამით მიგვანიშნებს, რომ ზნეობრიობის გრძნობის გამომუშავება და აღზრდაც ჩვენზე (აღმზრდელებზეა) დამოკიდებული. მას თავის უბადლო სახელმძღვანელოებში შეჰქონდა ისეთი საკითხავი ტექსტები, რომელთა საფუძველზე შეიძლებოდა არამარტო პატრიოტული და ინტერნაციონალიზმის გრძნობების გამომუშავება, არამედ შრომისმოყვარეობის, პატიოს-

ნების, სამართლიანობის, წესიერების, მოხუცთა და უძლურთა დახმარებისა და სხვა გრძნობების აღზრდა.

მასწავლებელს უნდა შეეძლოს, გამონახოს ბავშვებში საერთო ენა, რითაც შეიქმნება გარკვეული მიკროკლიმატი და რომელიც მას საქმეს გაუადვილებს მთელი სასწავლო წლის განმავლობაში. მოსწავლეებს შორის დამოკიდებულება ყოველთვის უნდა ემყარებოდეს მაღალზნეობრივ გრძნობას. მასწავლებელი უნდა იყოს მომთხოვნი, მაგრამ გულისხმიერი, მკაცრი და სამართლიანი. საჭიროა ბავშვებს გამოვუმუშაოთ ერთმანეთის წარმატებისადმი ინტერესისა და სიხარულის გრძნობა, მეგობრის წარმატების გამო სიხარულის, სიამოვნების განცდა – აი, რა არის მოსწავლეთა ნამდვილი, მაღალი ზნეობა.

საზოგადოებისა და ურთიერთმიმართ პატივისცემის გამომუშავება–აღზრდა უნდა ხდებოდეს ყოველ გაკვეთილზე. ამ გზით მასწავლებელი მიმართავს სხვადასხვა ხერხს: მაგალითად, სასწავლო პრაქტიკაში მიღებულია მოსწავლეთა მიერ დავალების შესრულების შეფასების გაცნობა მთელი კლასისათვის. ამ დროს ხაზი გაესმება იმ მოსწავლე თაგვარებს, რომლებმაც კეთილსინდისიერად შეასრულეს საშინაო დავალება. თუ მოსწავლე დავალების შესრულების დროს შეცდომებს დაუშვებს, მას დაეხმარება სხვა მოსწავლე შეუსწორებს ტაქტიანად. დავალებათა შემოწმე-

ბის ასეთი ხერხი ამაღლებს მოსწავლეთა პირად პასუხისმგებლობის საქმეს მთელი კოლექტივისადმი.

მასწავლებლის ავტორიტეტი იყო, არის და იქნება სწავლების გადამწყვეტი ფაქტორი. ინგლისურის, რუსულის, ფრანგულისა და სხვა ენის მასწავლებლები უნდა იმსახურებდნენ მოსწავლეთა პატივისცემას, რაც გახდება არამშობლიური ენის შესწავლის საფუძველი.

პედაგოგიური ტაქტის ძირითადი მაჩვენებელი, ჩვენი აზრით, სწავლების პროცესში არის დატუქსვის გარეშე, მასწავლებლის დახმარებით მოსწავლეებისაგან შეცდომების გასწორება. არაქართველი ბავშვებისგან ყოველთვის მოსალოდნელია ქართული სპეციფიკური ასო–ბგერების არასწორი გამოთქმა და დაწერა. ასევე სპეციფიკურია ქართული ფრაზის (საუბრის) მეთოდიკა, აქცენტუაცია, რომელსაც ხშირად ვერ დაიცავენ მოსწავლეები. ქართული ენის მასწავლებელმა ისე უნდა შეუწსოროს შეცდომა, რომ შეგირდს ოდნავი დამცირებაც კი არ აგრძნობინოს. მან არც ძლიერ მოსწავლეს უნდა მისცეს უფლება დასცინოს სუსტს.

მასწავლებელმა არ უნდა დაივიწყოს ერთი გარემოება – ის არამარტო ასწავლის, არამედ ზრდის, აყალიბებს მომავალ მოქალაქეებს – ხვალინდელი ქვეყნის თავდადებულ მშენებელს.

ყოველგვარი აღზრდა, მათ შორის ზნეობრივი,

ნიშნავს ადამიანის შეცნობას, მისი ხასიათის გაგებასა და დადებით უნარ–ჩვევების გამომუშავება–განვითარებას.

ყოველ ნორმალურ ადამიანში არის რაღაცა დადებითი, რომელსაც აღმზრდელმა პედაგოგმა უნდა მიაგნოს, გააშალაშინოს, აღზარდოს, ჩვევამდე აიყვანოს. დაუჯერებელია, რომ აღსაზრდელში არ იმალებოდეს ან კარგი მექანიზატორი, ან ნიჭიერი დურგალი, ანდა საუკეთესო სოფლისმეურნე. არაა აუცილებელი აღსზარდელში მაინცდამაინც დიდი საზოგადო მოღვაწე, ცნობილი მეცნიერი ან ბრწყინვალე ხელოვანი ვეძიოთ (თუმცა შეიძლება ესეც იყოს).

„კარგია იყო სწავლული, პოეტი, მხედარი, კანონმდებელი და სხვა, მაგრამ ცუდია, თუ ამასთან ერთად „ადამიანი“ არა ხარ; ხოლო იყო „ადამიანი“ – ეს იმას ნიშნავს, რომ არსებობის სრული და კანონიერი უფლება გქონდეს მაშინაც კი, როცა სხვა არაფერი ხარ, გარდა მხოლოდ ადამიანისა“ – გვასწავლის ბესარიონ ბელინსკი.

ამგვარად, მოზარდთა ფსიქიკა ძალზე ფაქიზია და ინდივიდუალურ მიდგომას საჭიროებს... დიახ, ყველა ადამიანი მოსწავლის ჩინითაა და მასწავლებელს მოითხოვს!

გამოყენებული ლიტერატურა

გურამ აბესაძე – „თანამედროვე პოლიტიკური მეცნიერება“, თბ. 1998.

შალვა ამონაშვილი – „როდესაც მამა სკოლაში მიდის“, თბ. 1985.

მანანა ბოჭორიშვილი – „უზნაძის თეორია და პედაგოგიკა“ თბ. 2012.

ანზორ ბრეგაძე – „რა არის ადამიანი“, თბ. 1997.

ანზორ ბრეგაძე – „შეიცან თავი შენი“, თბ. 1994.

დავით გეგეშიძე – „ადამიანთა სულის სატკივარი“, თბ. 2000.

დავით გეგეშიძე – „ეთნიკური პრობლემები“, თბ. 2002.

დავით გეგეშიძე – „სიკვდილის აპოლოგია“, თბ. 1999.

დავით გეგეშიძე – „დიალოგი სიკვდილთან“, თბ. 2003.

მამია დარჩია – „საზოგადოებრივი ინსტიტუტი“, თბ. 2000.

ალექსი დუბროვსკი – „ღია წერილი მასაწვლებელს“, თბ. 1989.

ჯენი თეიჩმანი – „ფილოსოფია“, თბ. 2000.

ევგენი ილინი – „გაკვეთილის – გაკვეთილი“, თბ. 1987.

ალექსანდრე დოპუზინი – „ბიბლიური ისტორია“, თბ. 1990.

ალექსი ლოსევი – „პედაგოგიკა“, თბ. 1986.
სოფიკო ლობჟანიძე – „სასკოლო ურთიერთობის ეთიკა“, თბ. 2012 წ.
შოთა მალაზონია – „პედაგოგიკა“, თბ. 2001.
ევგენი მედინსკი – „პედაგოგიკის ისტორია“, თბ. 1964.
გივი მერაბიშვილი – „ბავშვთა ფსიქოპროფილაქტიკა“, თბ. 1999.
არტურ პეტროვსკი – „კიდევ ერთი პედაგოგიური პოემა“, თბ. 1984.
სიმონ სოლოვეიჩიკი – „აღ და ბუა“, თბ. 1986.
ვასილ რეზომლინსკი – „ეთოლოგიური აღზრდა“, თბ. 2001.
ვასილ რეზომლინსკი – „დედისადმი სიყვარულის აღზრდა“, თბ. 2001.
სერგო ყურაშვილი – „პოლიტიკა“, თბ. 1998.
იან შჩეპანსკი – „სოციოლოგია“, თბ. 1997.
რუდოლფ შტაინერი – „ბავშვის აღზრდა“, თბ. 1990.
გარი ჩაფიძე – „სიკვდილის ეპიცენტრი“, თბ. 2004.
გარი ჩაფიძე – „პედაგოგიკის ისტორია“, თბ. 2003.
გარი ჩაფიძე – „მე მოსწავლის ჩინით ვარ და მასწავლებელს მოვთხოვ!“, თბ. 2003.
გარი ჩაფიძე – „დემოკრატიის მოდელები“, თბ. 1999.

გარი ჩაფიძე – „ფრთხილად მოზარდია!“, თბ. 2003.

ვლადიმერ ჭანუყვაძე – „პოლიტიკური დიალოგი“, თბ. 2000.

ილია ჭავჭავაძე – ტ. 4, თბ., 1995 წ.

გარი ჩაფიძე – „პედაგოგიური დიალოგები“, წიგნი I, თბ. 2004 წ.

გარი ჩაფიძე – „პედაგოგიური დიალოგები“, წიგნი II, თბ. 2005 წ.

გარი ჩაფიძე – „არატრადიციული გაკვეთილები“ თბ. 2013 წ.

ქეთევან ტუსკია – „ესთეთიკური აღზრდის კერა“, თბ., 1988 წ.

ვასილ კიკნაძე – „აღვზარდოთ მაყურებელი“, თბ., 1988 წ.

ლევან მენაბდე – „ძველი ქართლური კულტურის კერები საზღვარგარეთ“, თბ., 1986 წ.

მარიამ თაბორიძე – „დიდი მამულიშვილური საზრუნავი“, თბ. 1986 წ.

შოთა ქურდაძე – „ცნება სწავლა“, თბ. 1980 წ.

სოციოლოგია დღეს, მ. 1991 წ.

ახალი მიმართულებანი სოციოლოგიაში, მ. 1992 წ.

ვლადიმერ დიმოვი – მ. განათლების სოციოლოგია, ჟურნ. „სოციალნო–პარტიჩესკოე ნაუკი“, 1991 წ.

„განათლების სოციოლოგიურ–კულტუროლოგიური შინაარსი“, თბ. 1991 წ.

ბრაიამ საიმონი – საზოგადოება და განათლება, მ. 1989 წ.

განათლების საზოგადოებრივ–სოციალური დაკვეთა, ჟურნალი „სკოლა და ცხოვრება“, 1991 წ. №4.

ჟურნალი „პერსპექტივები“, 1987 წ. №3.

ჟურნალი „კულტურა“, 1984 წ. №7.

„ლექციების კურსი პედაგოგიკაში“, თბ. 1997 წ.

რევაზ ბალანჩივაძე – ვიქტორ ასათიანი: – „პედაგოგიკის ფილოსოფიური საფუძვლები“, თბ. 1997 წელი.

Абдулатипов Р. – „Обшесто“ М.1991.

Алексеев С. – „Опыт комплексного исследовпния“ М. 1999.

Алмонд Г. Верба С. – „Гражданская культура“ М. 1994.

Ащев Г. – „Свободная мысль“ М. 1994

Бердяев Н. – „Философия свободного духа“ М. 1992.

Багатуров А. Комочин М. „Идеология“ – М. 1992

Бойцева В. – „Правовой институт омбундсмена“ М. 1993

Борисенков А. – „Политическая жизнь общества“ М. 1991.

Вебер М. – „Объективность социального знания“ М. 1990.

Вебер М. – „Политика как призвание и профессия“ М. 1979.

Головачев – „Штрихи к социальному портрету“ М. 1996
Гудименко – „Политическая культура“ К. 1994
Даминдов А. – „Основа политики“ М. 1995.
Евзерев Р. – „Глубинные основы интеграции“ М 1997.
Ерасов Б. – „Религия и цивилизация“ И. 1980.
Зишмерман Д. – „Прямая демокрптия“ М. 1991.
Иващов Л. – „Колективная безопасность“ М. 1998.
Карпухин О. – „Социокультурная безопасность „М. 1998.
Коволер А. – „Права человека“ М. 1997.
Либминан Г. – „Теорий элит“ М. 1997.
Мельников В. – „Зачещание“ Минст. 1996.
Пугачев В. – „Идеология“ М. 1996.
Сахарчук Г. – „Социально-экономические взгляды“ М. 1983.
Сахаров Н. – „Современная элита“ М. 1994.
Трофилов М. – „Лидерство“ М. 1991.
Фетисов А. – „Проблемы легитимности“ М. 1995.
Хермин М. – „Стили лидерства“ Бб. 2003.
Чапидще Г. – „Политология“ Тб. 2003.
Чуднова И. – „Политическая жизнь“ М. 1994.
Этингер – „Международный опыт“ М. 1993.

GARI CHAPIDZE

formula of the Pedagogy

რედაქტორი: დარიკო ონიანი

მხატვრული რედაქტორი: ეკა ქურციკიძე

ტექნიკური რედაქტორი: ნაზიბროლა კაპანაძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა: ირმა ჯიშკარიანი

გამომცემლობა „კოლორი“

ხშირად მეკითხებიან, თუ როგორი ქვეყანა იქნება საქართველო? პირუთვნელად გეტყვით: ისეთი, როგორ თაობებსაც აღვზრდით! გამოდის, რომ ქვეყნის გადარჩენის ბერკეტი ჩვენს ხელში, პედაგოგების ხელშია და ვალდებულნი ვართ, პირნათლად მოვიხადოთ, პატიოსნებით, დაკისრებული მოვალეობის მაღალი პათოსითა და სინდისიერებით საკუთარი ვალი ხალხისა და ქვეყნის წინაშე...

ასეთი დამოძღვრით მიმართავს საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის თავჯდომარე, პროფესორი გარი ჩაფიძე ქართულ პედაგოგიურ სპექტრს თავისი შემოქმედების ორმოცდაათტომეულის ოცდამეთექვსმეტე ტომში.

ISBN 978-9941-0-6081-6